ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო სამნიძე

აბსოლუტური კონსტრუქციები და ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის სინტაქსური სტილისტიკა

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2013

UDC(უაკ) 801.73+811.111'38+811.111'42
ს-229

ნაშრომი ეძღვნება ინგლისურენოვანი ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთ-ერთი მახასიათებლის, ე.წ. „აბსოლუტური კონსტრუქციების“ კომპლექსურ, ინტერპარადიგმულ კვლევას, რაც მიზნად ისახავს იმ სისტემურ-სტრუქტურული, კოგნიტურ-სემანტიკური, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და სტილისტური თავისებურებების წარმოჩენას და განზოგადებას, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს საკვლევი ობიექტის სპეციფიკურ ნიშნობრივ სტატუსს.

მონოგრაფიაში აბსოლუტური კონსტრუქციები განიხილება, როგორც ავტორის კომუნიკაციური ინტენციით და სტრატეგიით მართული ნომინალიზებული სამეტყველო ფენომენი, რომელშიც რეალიზებას პოვებს ტექსტისქმნადობის ნომინაციური, ინფორმაციული, მოდალურ-პრაგმატიკული და სტილისტური ასპექტების მთელი სპექტრი, რაც თხრობას სინტაქსურად მარკირებულ ინდივიდუალურობას სძენს მისი ემოციურობით და ექსპრესიულობით.

ნაშრომში განხორციელებული კვლევა წარმოდგენილია სისტემის სახით, სადაც მიღებული შედეგები ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ერთმანეთს განაპირობებს, მთლიანობაში კი წარმოაჩენს აბსოლუტური კონსტრუქციების განსაკუთრებულ როლს ინგლისურენოვანი ნარატიული ტექსტის სინტაქსურ-სტილისტურად მარკირებულ სტრუქტურაციაში.

წიგნი შეიცავს საინტერესო და მრავალფეროვან თეორიულ მასალას. ავტორი იშვიათი სისრულით ახდენს თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციების რეფერირებას და კრიტიკულ განხოგადებას, რაც დახმარებას გაუწევს ინგლისური ფილოლოგიის ახალგაზრდა მკვლევრებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებზე მუშაობისას.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნინო კირვალიძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მადონა მეგრელიშვილი

პედაგოგიკის დოქტორი,
პროფესორი ირინე გოშხეთელიანი

ISBN 978-9941-434-42-6

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, – 2013

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური მახასიათებლები

§1. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრა 15

§2. პრედიკაციის, პრედიკატულობის, მეორადი პრედიკაციის და პროპოზიციის ცნებები თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში 22

§3. აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტრუქტურული ტიპები თანამედროვე ინგლისურ ენაში 26

§4. სინტაქსური სინონიმია და აბსოლუტური კონსტრუქციები 31

თავი II. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკური ტიპოლოგია ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში

§1. აბსოლუტურ კონსტრუქციათა სემანტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი 47

ნაწილი I. მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპები

§1. წინასწარი შენიშვნები 55

§2. ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები 56

ა) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის ლოკაციური დეტერმინაციით 56

ბ) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის დესკრიფციული დეტერმინაციით 61

§3. ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები 69

ა) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით 71

ბ) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით 73

გ) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები ეგზისტენციალური პრედიკაციით 76

ნაწილი II. ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპები
§1. წინასწარი შენიშვნები 79
§2. ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები აგენსური სუბიექტით და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი 81
§3. ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები 89
ა) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით 89
ბ) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით 92

თავი III. აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციურ განვრცობაში
§1. ტექსტის ინფორმაციული განვრცობა და მისი მოდელირების პრობლემა 100
§2. მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირება ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში და მისი მოდელები 110
§3. ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირება ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში და მისი მოდელები 121

თავი IV. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების სტილისტური ასპექტი ინგლისურენოვან მხატვრულ ნარატიულ ტექსტში
§1. სინტაქსური სტილისტიკა, როგორც ავტორის კომუნიკაციური კომპეტენციის და სტრატეგიის გამოხატულება 130
§2. აბსოლუტური კონსტრუქციები, როგორც ავტორის ესთეტიკურ-შემეცნებითი მოდალობის გამომხატველი სინტაქსურ-სტილისტური საშუალება 145
§3. აბსოლუტური კონსტრუქციების ფუნქციონირება დამოუკიდებელი წინადადების სახით და მათი სტილისტური დანიშნულება 151
ა) ემოციურ-შეფასებითი მოდალობა 151

ბ) ავტორისეული კოგნიციის
ემოციურ-ექსპრესიულობა 153
§4. აბსოლუტური კონსტრუქციების როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური დანიშნულება 157
ა) მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური თავისებურებები 157
ბ) ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური თავისებურებები 160

დასკვნა 170

ანოტაცია ინგლისურ ენაზე 186

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა 214

მხატვრულ წყაროთა სია 227

შესავალი

თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთერთ ლინგვისტურ მახასიათებელს წარმოადგენს ე.წ. „აბსოლუტური კონსტრუქციების“ უხვი გამოყენება, რაც თხრობას განუმეორებელ ინდივიდუალურობას, ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. ემპირიული მასალის ანალიზი ასევე თვალნათლივ წარმოაჩენს ამ კონსტრუქციათა როლს ტექსტისქმნადობაში, რადგანაც, ლინგვოსემიოტიკური სპეციფიურობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი თანმიმდევრული, მრავალჯერადი გამოყენება ერთი წინადადების ფარგლებში, რის შედეგადაც იქმნება თემატურად დახურული მსჯელობათა ჯაჭვი ანუ მიკროტექსტი, რომელიც სტილისტურად არის მარკირებული სინტაქსური პარალელიზმით. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მიკროტექსტს, რომელშიც თხრობა სწორედ ხსენებული კონსტრუქციებით არის განხორციელებული:

> “That purpose was accomplished. It should have been allowed to run down and then stop, (1) **the driver asleep at the wheel,** (2) **the passengers sitting docilely with their mouths wide open waiting for their bus to fly away,** (3) **the estate left unfinished,** (4) **the shops shuttered and overrun with rats,** (5) **the unmilked cows lowing in agony with swollen udders,** (6) **the dogs and cats running wild and bloody-mouthed.**”
>
> (ბრეინი 1981: 241-242)

მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აბსოლუტური კონსტრუქციების განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ მათი გრამატიკული, უფრო ზუსტად კი, სინტაქსური ფუნქციების დადგენით წინადადებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყურადღების მიღმა რჩება პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელიც ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს.

1. ანგლისტიკაში დღემდე დაუდგენილია აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური სტატუსი, რადგანაც, სპეციფიკური აგებულების გამო, ზოგი მეცნიერი მათ განიხილავს როგორც სიტყვათშეთანხმებას, შესაბამისად კი – წინადადების სინტაქსური სტრუქტურის რთულ ადეერბიალურ წევრს (ლიჩი 1989; მაკლინი 2004; ბლოხი 1983; გორდონი, კრილოვა 1973; კაუშანსკაია, კოვნერი et al 1963; განშინა, ვასილევსკაია 1964; ბესკროვნაია 1974; ბლინდუსი 1975; ვენგეროვა 1965; გორდონი 1960), ზოგი – როგორც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას (იესპერსენი 1958: 230; კერმი 1961: 211; გრინბაუმი, ქუირკი 1991: 327; ბაიბერი, კონრადი, ლიჩი 2003; ვოლკოვა 1970); მკვლევართა მცირე ნაწილი კი ამ კონსტრუქციებს დამოუკიდებელ წინადადებად მიიჩნევს (პოუტსმა 1929: 255; ონიონსი 1932: 249; შერვეგსი 1997; ტალერმანი 1998; კომისაროვა 1982; საზონოვა 1990; კულაგინი 1974; ტურანსკი 1968 და სხვ.).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რითია განპირობებული აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. მიგვაჩნია, რომ წინადადებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურ კონსტრუქციას არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი სამეტყველო კომუნიკაციური ერთეულის ფუნქცია იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი; მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია ამ კონსტრუქციის გათანაბრება სიტყვათშეთანხმებასთან, რადგან მას პროპოზიციული სტრუქტურა და მისი შესაბამისი ინტონაციური გაფორმება აქვს.

2. შეუსწავლელია ამ კონსტრუქციათა ნომინაციური ასპექტი. მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ის სტრუქტურულ-სემანტიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მათი ნომინაციური ტიპოლოგიის განხორციელება.

3. დასადგენია აბსოლუტურ კონსტრუქციათა სპეციფიური როლი წინადადების ტექსტადქმნადობის პროცესში, რის შედეგადაც იქმნება პოლიპროპოზიციული სტრუქტურის მქონე წინადადება-მიკროტექსტი, რომელიც ხასიათდება სინტაქსურ-სემანტიკური ასიმეტრიულობით.

4. გამოსაკვლევია, ასევე, ამ კონსტრუქციათა როლი ნარატიული ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციულ განურცობაში. ვვარაუდობთ, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთგანპირობებულობა მათ ნომინაციურ ტიპებსა და ტექსტის ინფორმაციულ მოდელებს შორის.

5. ბოლოს, სრულიად შეუსწავლელია აბსოლუტურ კონსტრუქციათა ტექსტში ფუნქციონირების სტილისტური ასპექტი, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ისეთ პრაგმატიკულ ფაქტორებთან, როგორიც არის ავტორის ესთეტურ-შემეცნებითი სუბიექტური მოდუსი და მისი კომუნიკაციური სტრატეგია. აქედან გამომდინარე დასადგენია, თუ რაში მდგომარეობს ეს სტრატეგია, რა სტილისტური დატვირთვა აქვს აბსოლუტურ კონსტრუქციებს მხატვრულ ტექსტში. მიგვაჩნია, რომ ავტორისეული მოდუსი გამოხატულებას ჰპოვებს არა მარტო ტექსტის საერთო შინაარსში, პერსონაჟების სახეების შექმნასა და ნაწარმოების არქიტექტონიკაში, არამედ მის სტილისტურად მარკირებულ სინტაქსურ სტრუქტურაციაშიც, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ქმედით ფაქტორს წარმოადგენს ნარატიული ჟანრის ტექსტში.

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე შესაძლებელი ხდება აბსულუტური კონსტრუქციების ზემოაღნიშნული რაკურსით კვლევა **ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის** გამოყენებით. ეს ითვალისწინებს მათ განხილვას სისტემურ-სტრუქტურული, კოგნიტურ-სემანტიკური და ანთრიპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმების ჭრილში, რაც საფუძველს იძლევა წარმოჩენილ და განზოგადებულ იქნეს როგორც აბსოლუტურ კონსტრუქციათა სემანტიკური, სინტაქტიკური და ტექსტისწარმომქმნელი თავისებურებები, ასევე, ის პრაგმატიკული ფაქტორები მათი ილო-

კუციური და ემოციურ-ექსპრესიული ასპექტებით, რომლებიც განაპირობებენ ამ ენობრივ ერთეულთა სტილისტურ ფუნქციონირებას მხატვრულ ნარატიულ ტექსტში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აბსოლუტურ კონსტრუქციათა ინტეგრირებული კვლევა სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელით მათი სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების სინთეზირების გზით, რის საფუძველზეც თანმიმდევრულად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

ა) დადგენილია აბსოლუტურ კონსტრუქციათა ნიშნობრივი სტატუსი და განსაზღვრულია მათი ადგილი ენობრივ ერთეულთა იერარქიულ სისტემაში;

ბ) განხორციელებულია ამ კონსტრუქციათა ნომინაციური ასპექტის კვლევა მათი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპებისა და ქვეტიპების დადგენის მიზნით, რომელთა ერთობლიობაც მათივე საგნობრივ-ლოგიკური შინაარსით განპირობებულ ცნებით სისტემას ქმნის;

გ) აბსოლუტურ კონსტრუქციათა თითოეული ნომინაციური ტიპის ნიშნობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოვლენილია მათი როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში. მიღებული შედეგების განზოგადების საფუძველზე კი შემუშავებულია ამ კონსტრუქციათა შემცველი პოლიპროპოზიციული წინადადება-მიკროტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები;

დ) გამოკვლეულია აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი წინადადების ფუნქციურ პერსპექტივაში, რის შედეგადაც ვლინდება ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობის მოდელები, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს წინადადების ტექსტადქმნადობის პროცესი.

ე) აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების სტილისტური თავისებურებები მხატვრულ ნარატიულ ტექსტში გამოკვლეულია ანთროპოცენტრისტულ ჭრილში, როგორც ავტორის კომუნიკაციური სტრატეგიისა და სუბიექტური მოდუსის გამოხატვის საშუალება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ ზემოხსენებული პრობლემების კვლევა ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და მიღებული შედეგებით შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ ისეთი თეორია, რომელიც სრულად წარმოაჩენს აბსოლუტურ კონსტრუქციათა სპეციფიკურ ნიშნობრივ თავისებურებებს და იმ უნიკალურ როლს, რასაც ისინი ასრულებენ როგორც ტექსტისქმნადობის პროცესის სხვადასხვა განზომილებაში, ასევე, ავტორის სუბიექტური მოდუსის და კომუნიკაციური ინტენციის სტრატეგიულ რეალიზებაში. ვიმედოვნებთ, რომ ამით ჩვენი მონოგრაფია გარკვეულ წვლილს შეიტანს ინგლისური ენის ზოგადი თეორიის სრულყოფაში.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიცავს საინტერესო მასალას როგორც ინგლისური ენის სწავლებისათვის, ასევე, ისეთი თეორიული დისციპლინებისათვის, როგორიც არის ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, სტილისტიკა და ტექსტის ინტერპრეტაცია. ამავდროულად, იგივე მასალა და თეორიული განზოგადებები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პროფესიონალ მთარგმნელებს ინგლისური ენის ამ რთული კონსტუქციების ქართულ ენაზე ადეკვატურ თარგმნაში.

კვლევის შედეგად ვამტკიცებთ ნაშრომის ამოსავალ დებულებას, რომ აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს (language-in-use constructs), რომლებშიც ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ შემასმენელს დაკარგული აქვს მოდალურ-ტემპორალური მახასიათებლები და მათთან ერთად კომუნიკაციური ავტონომიურობა, ანუ ინფორმა-

ციის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, თუმცა ინარჩუნებენ პროპოზიციულ სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას მისი შესაბამისი ინტონაციური გაფორმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, აბსოლუტურ კონსტრუქციებს შესწევთ უნარი თავის სტრუქტურაში ასახონ ექსტრალინგვისტური სიტუაცია/ხდომილება მის მოდალურ კომპონენტთან ერთად.

ჩვენი აზრით, აბსოლუტური კონსტრუქციების ასეთი ფუნქციური სპეციფიურობა განპირობებულია იმით, რომ მათში, დიქტალურ (ფაქტობრივ) ინფორმაციასთან ერთად, რეალიზდება გამონათქვამის ილოკუციური ფუნქცია, ანუ ავტორის კომუნიკაციური ინტენცია და მისი სუბიექტური მოდუსის ესთეტურ-კოგნიტური ასპექტის ემოციურობა და აქსიოლოგიურობა (შეფასებითობა), ვინაიდან ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე აზრის ვერბალიზაციის ვარიანტულობის დროს, სწორედ ნომინალიზაცია მატებს წინადადებას ემოციურ შეფერილობას და ექსპრესიულობას, რაც თხრობას სტილისტურად მარკირებულს ხდის.

საკვლევ მასალად აღებული გვაქვს მე-20 საუკუნის ინგლისელი და ამერიკელი მწერლების მხატვრული ნარატიული უანრის ტექსტები. კვლევა წარმოებს ისეთი კონკრეტული ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით, როგორიც არის ენობრივი მოვლენების კომპონენტური, ტრანსფორმაციული, სტრუქტურულ-სინტაქსური, კონტექსტურ-სემანტიკური და სუპერლინეალური ანალიზი.

მონოგრაფია შედგება შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე, განსაზღვრულია კვლევის მიზნები და კონკრეტული ამოცანები, ხაზგასმულია მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. აქვეა ჩამოყალიბებული კვლევის ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის განხორციელების გზები სამგანზომილებიანი ლინგვოსემიოტიკური ანალიზის კონკრეტული მეთოდების გამოყენებით.

პირველ თავში – „აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური მახასიათებლები“ – შემუშავებულია კვლევის კონცეპტუალური აპარატი, რომლის გამოყენებითაც დადგენილია ამ ენობრივ ერთეულთა ნიშნობრივი სტატუსი. ამასთან დაკავშირებით, კრიტიკულად არის განზოგადებული პრობლემის ირგვლივ არსებული ლინგვისტური კონცეფციები, განხილულია პრედიკატულობის და პრედიკაციის ცნებები, პროპოზიციის ცნება და მისი კონფიგურაცია, ნომინალიზაცია და სინტაქსური სინონიმია, გამოვლენილია აბსოლუტურ კონსტრუქციათა სინტაქსურ-სემანტიკური ასიმეტრიულობა და მათი შემცველი წინადადების პოლიპროპოზიციულობა. განხილულია, ასევე, აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტრუქტურული ტიპები.

მეორე თავი, რომლის სათაურია „აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკური ტიპოლოგია ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში“, ეძღვნება აბსოლუტურ კონსტრუქციათა ნომინაციური ასპექტის კვლევას, რომელიც ხორციელდება კონტეინერი წინადადების კონტექსტში მის ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვსა და აბსოლუტურ კონსტრუქციას შორის არსებული სემანტიკური კავშირების დადგენის და განზოგადების გზით, რაც შესაძლებლობას იძლევა, გამოვლენილ იქნას ის სტრუქტურულ-სემანტიკური პარამეტრები, რომელთაც ამ კონსტრუქციების ლოგიკურ-სემანტიკური, ანუ ნომინაციური ტიპოლოგია ეფუძნება. ემპირიული მასალის კონტექსტურ-სემანტიკური და კომპონენტური ანალიზის შედეგად, დგინდება თითოეული ნომინაციური ტიპის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები, რაც განპირობებულია მათში ასახული რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის ან ხდომილების თვისებრივი მრავალფეროვნებით.

მესამე თავში, „აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციურ განვრცობაში“, ამ ენობრივ ერთეულთა კვლევა გადადის ტექსტის დონეზე, რამდენადაც იგი ეთმობა მათი ფუნქციონირების თავისებურებების

გამოვლენას წინადადების ტექსტად ქმნადობის პროცესში. პირველ რიგში, დაზუსტებულია, რომ მოცემულ თავში ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება მიკროტექსტის ცნებითი შინაარსით, როგორც თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებებათა (ჩვენს შემთხვევაში, აბსოლუტურ კონსტრუქციათა) თანმიმდევრობა, რომელიც დახურულ ჯაჭვს ქმნის. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ინფორმაციული ასპექტის კვლევა ტექსტში განხორციელებულია პრაღის ლინგვისტური სკოლის მიერ შემუშავებულ თეორიებზე დაყრდნობით. კვლევის შედეგად წარმოჩენილია, რომ არსებობს გარკვეული კანონზომიერება აბსოლუტურ კონსტრუქციათა ჩვენ მიერ დადგენილ ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპებსა და ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობის მოდელებს შორის, რომლებიც ლინგვისტურ უნივერსალიებს წარმოადგენენ.

მეოთხე თავი, „აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების სტილისტური თავისებურებები მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“, ლოგიკურად კრავს განხორციელებულ კვლევას. აღნიშნულ თავში აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტილისტური ასპექტის კვლევა განხორციელებულია ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ჭრილში, რადგანაც იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ პრაგმატიკულ ფაქტორებთან, როგორიც არის ავტორის სუბიექტური მოდუსი და მისი კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც გამოვლინებას ჰპოვებს მის ესთეტურ-კოგნიტურ აქტივობასა და კომუნიკაციური ინტენციის ვერბალიზაციაში. კვლევის შედეგად წარმოჩენილია აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი ნარატიული ტექსტის სტილისტურად მარკირებულ სინტაქსურ სტრუქტურაციაში. კერძოდ, გამოვლენილია, რომ არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა ამ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპებსა და მათ ფუნქციურ-სტილისტურ დანიშნულებას შორის, რაც თხრობას, ერთი მხრივ, დინამიურობასა და სტატიკურობას

ანიჭებს, ხოლო მეორე მხრივ, ემოციურობასა და ექსპრესიულობას სძენს.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

თავი I

აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური მახასიათებლები

§1. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური სტატუსის განსაზღვრა

თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთერთ ლინგვისტურ მახასიათებელს წარმოადგენს ე. წ. აბსოლუტური კონსტრუქციების უხვი გამოყენება, რაც თხრობას ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. ემპირიული მასალის ანალიზი ასევე თვალნათლივ წარმოაჩენს ამ კონსტრუქციათა სპეციფიკურ როლს ტექსტის წარმოქმნაში. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში აბსოლუტური კონსტრუქციების განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ მათი გრამატიკული, უფრო ზუსტად კი მათი სტრუქტურული ტიპებისა და სინტაქსური ფუნქციების დადგენით წინადადებაში.

ანგლისტიკაში დღემდე არ არის დადგენილი ამ კონსტრუქციათა ლინგვისტური სტატუსი, რადგანაც, სპეციფიკური აგებულების გამო, ზოგი მეცნიერი მათ განიხილავს, როგორც *სიტყვათშეთანხმებას*, შესაბამისად კი – წინადადების სინტაქსური სტრუქტურის ადვერბიალურ წევრს (ლიჩი 1989; მაკლინი 2004; ბლოხი 1983; გორდონი, კრილოვა 1973; კაუშანსკაია, კოენერი et al 1963; განშინა, ვასილევსკაია 1964; ბესკროვნაია 1974; ბლინდუსი 1975; ვენგეროვა 1965; გორდონი 1960), ზოგი – როგორც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას (იესპერსენი 1958: 230; კერმი 1961: 211; გრინბაუმი, ქუირკი 1991: 327; ბაიბერი, კონრადი, ლიჩი 2003; ვოლკოვა 1970); მკვლევარია მცირე ნაწილი კი ამ კონსტრუქციებს დამოუკიდებელ წინადადებად მი-

იჩნევს (პოუტსმა 1929: 255; ონიონსი 1932: 249; შერვეგსი 1997; ტალერმანი 1998; კომისაროვა 1982; საზონოვა 1990; კულაგინი 1974; ტურანსკი 1968 და სხვ.).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რითია განპირობებული აზრთა ასეთი სხვადასხვაობა. ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთ პოზიციას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ, ერთი მხრივ, წინადადებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურ კონსტრუქციას არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულის ფუნქცია იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აბსოლუტური კონსტრუქცია იმდენად განკერძოებული ხდება, რომ იგი დამოუკიდებელი წინადადების სახით ფორმდება:

> Disjointed pictures flashed, one by one through my bewildered mind. **Maxim sitting in the car beside me in the south of France.**
>
> (მორიერი 1995: 110)

ჩვენ ვიზიარებთ მარკ ბლოხის მოსაზრებას და შესაბამისად, ამ ტიპის წინადადებას განვიხილავთ სამეტყველო მოვლენად (language-in-use phenomenon), რომელიც, მიუხედავად დამოუკიდებელი გრაფიკული და ინტონაციური გაფორმებისა, გრამატიკულად და აზრობრივად მთლიანად არის დაქვემდებარებული კონტექსტურ სიტუაციაზე (ბლოხი 1977). მიგვაჩნია, რომ მხატვრულ ნარატიულ ტექსტში დამოუკიდებელი წინადადების სახით გაფორმებული აბსოლუტური კონსტრუქცია წარმოადგენს ავტორის სუბიექტური მოდუსის და კომუნიკაციური სტრატეგიის გამოვლინებას, რომელიც მიზნად ისახავს თხრობის სინტაქსური სტრუქტურაციის გზით მისთვის ემოციურობისა და ექსპრესიულობის მინიჭებას (აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტილისტური ფუნქციონირება დეტალურად იქნება განხილული მონოგრაფიის მეოთხე თავში, – ნ. ს.).

მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია აბსოლუტური კონსტრუქციის გათანაბრება სიტყვათშეთანხმებასთან, რადგა-

ნაც მათ ერთმანეთისაგან მთელი რიგი ფორმალური და სემანტიკური ნიშან-თვისებები განასხვავებს. ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა და განზოგადება შემდეგი სახით:

1) აბსოლუტური კონსტრუქცია განსხვავდება სიტყვათშეთანხმებისაგან იმით, რომ იგი პროპოზიციული სტრუქტურისაა. ენათმეცნიერებაში პროპოზიციის ცნებას ორი მიმართულებით განიხილავენ: გარე სამყაროსთან მიმართებაში და საკუთრივ ლინგვისტურ კონტექსტში (სერლი 1969, 1982; ვენდლერი 1982, დონელანი 1982). პირველი კრიტერიუმის მიხედვით, პროპოზიცია წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ხდომილების (სიტუაციის) იკონისტურ ასახვას. ხოლო თუ პროპოზიციას განვიხილავთ ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ, როგორც სემანტიკური კონსტანტა, რომელიც დამოუკიდებელია როგორც მოდალური, შეფასებითი და ემოციური ასპექტებისაგან, ასევე, წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია (ლებანიძე 2004: 40, 322).

რამდენადაც პროპოზიცია ასახავს სამყაროსეულ ხდომილებას, იმდენად იგი წარმოადგენს ვერბოცენტრისტულ სტრუქტურას, რომელშიც ზმნის სემანტიკა განაპირობებს პროპოზიციის არგუმენტულ კონფიგურაციას. იგი მოიცავს რეფერენციისა და პრედიკაციის აქტების ერთობლიობას. ლინგვისტურ ლიტერატურაში რეფერენციის ცნება გულისხმობს ენობრივ ნიშანთა საშუალებით რეალურად თუ წარმოსახვაში არსებული ობიექტის გადაქცევას მსჯელობას საგნად, მაშინ როდესაც პრედიკაცია ითვალისწინებს გამოყოფილი ობიექტისთვის გარკვეულ ნიშან-თვისებათა მიწერას (სტროსონი 1982, არუთიუნოვა 1982, რასელი 1982). აბსოლუტურ კონსტრუქციაში, მისი პროპოზიციული სტრუქტურის გამო, რეალიზებას ჰპოვებს ლოგიკურ-სემანტიკური პრედიკაცია მისი სუბიექტურ-პრედიკატული წევრებით, რის საფუძველზეც მას შესწევს უნარი თავის სტრუქტურაში ასახოს ექ-

სტრალინგვისტური სიტუაცია, ხდომილება. სიტყვათშეთანხმებას კი ასეთი პროპოზიციულობა არ გააჩნია. იგი მსაზღვრელ-საზღვრულის ლოგიკურ-სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება, რის გამოც მის ექსტრალინგვისტურ რეფერენტს წარმოადგენს არა სიტუაცია ან ხდომილება, არამედ მისი რომელიმე კომპონენტი თანმხლებ ატრიბუტთან ერთად.

2) აბსოლუტურმა კონსტრუქციამ შეიძლება განვრცობილი ხასიათი მიიღოს მასში ასახული ექსტრალინგვისტური სიტუაციის შესაბამისად, მაშინ როდესაც სიტყვათშეთანხმება ასეთ განვრცობას გამორიცხავს:

> Bosinney having exspressed the wish to show them the house from the copse below, Swithin came to a stop.
>
> He sat down by the oak tree, in the sun; square and upright, (1) **with one hand stretched out resting on the knob of his cane,** (2) **the other planted on his knee,** (3) **his fur coat thrown open,** (4) **his hat, roofing with its flat top the pale square of his face,** (5) **his stare, very blank, fixed on the landscape.**
>
> (გოლზუორთი 1974: 141)

3) გარდა ამისა, აბსოლუტურ კონსტრუქციათა პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ისეთი სტრუქტურულ-ფორმალური ელემენტებით, როგორიც არის თანამედროვე ინგლისურ ენაში **it** და **there,** რაც სიტყვათშეთანხმებაში სრულიად დაუშვებელია. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

> 1. "I saw a large pub standing a little off the road. I went in; **it being Thursday,** it was nearly empty ".
>
> (ბრეინი 1981: 293)

> 2. "There **being nothing eatable within his reach,** Oliver replied in the affirmative".
>
> (დიკენსი 1994: 93)

აბსოლუტური კონსტრუქციის ლინგვისტური სტატუსის დადგენას ართულებს წინააღმდეგობა მის სემანტიკურ ასპექტსა და სინტაქსურ ფუნქციებს შორის. გრამატიკის საუნივერსიტეტო ქრესტომათიულ სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში მითითებულია, რომ წინადადების სინტაქსური სტრუქტურაციის პოზიციიდან, აბსოლუტური კონსტრუქცია მის რთულ, მაგრამ ერთ წევრს წარმოადგენს (ლიჩი 1989; მაკლინი 1994; ბლოხი 1983; კაუშანსკაია, კოვნერი et al 1963; განშინა, ვასილევსკაია 1964; გორდონი, კრილოვა 1973). იგი განიხილება როგორც წინადადების ადვერბიალური წევრი, რომლის საშუალებითაც ხდება ქვემდებარითა და შემასმენლით გამოხატული სიტუაციის ან ხდომილების თვისობრივი დახასიათება ან მისი თანმხლები გარემოების დაზუსტება. კერძოდ, ამ კონსტრუქციების გამოყენებით ზუსტდება, თუ *რატომ, როდის, რა პირობით* და *რა თანმხლებ გარემოებაში* ხდება წინადადების მთავარი წევრებით გამოხატული ხდომილების რეალიზაცია.

მაგალითად:

1. **Her mother being ill,** Ann had to stay at home.
   რადგანაც ანას დედა ავად იყო, მას სახლში დარჩენა მოუხდა.

2. **The letter having been posted,** he returned home.
   მას შემდეგ, რაც წერილი გააგზავნა, ის სახლში დაბრუნდა.

3. **Weather permitting,** we'll go on an excursion to Betania.
   ამინდი თუ მოგვცემს საშუალებას, ექსკურსიაზე წავალთ ბეთანიაში.

4. They got into the car and drove away, **the dog running after them barking.**

ისინი ჩასხდნენ მანქანაში და გაემგზავრნენ, **ძაღლი კი ყეფით გამოედევნათ.**

ილუსტრირებულ ყველა მაგალითში სახეზე გვაქვს ორი პროპოზიცია, რომლებიც შესაბამისად ორ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას, ანუ ხდომილებას ასახავენ. მათგან ერთი პროპოზიცია გაფორმებულია ქვემდებარულ-შემასმენლური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრედიკატულობით, რომელიც ზმნის პირიანი ფორმის მოდალურობის განმსაზღვრელი კილოსა და ტემპორალურობის გრამატიკული კატეგორიებით იქმნება; ხოლო მეორე ხდომილება კი, რომელიც აბსოლუტური კონსტრუქციით არის გაფორმებული, მოკლებულია ასეთ პრედიკატულობას, რის გამოც ის ქვემდებარულ-შემასმენლური სინტაგმით გაფორმებული ხდომილების დამაზუსტებელ, თანმხლებ ხდომილებად განიხილება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ სამ წინადადებაში ხდომილებებს შორის კავშირი ლოგიკურ სუბორდინაციას ექვემდებარება: პირველ წინადადებაში ამ სუბორდინაციას მიზეზშედეგობრივი ხასიათი აქვს, რადგანაც აბსოლუტური კონსტრუქციით გამოხატული ხდომილება (her mother being ill) წინადადების ბირთვულ ნაწილში მოცემული ხდომილების (Ann had to stay at home) მიზეზს წარმოადგენს; მეორე წინადადებაში აბსოლუტური კონსტრუქციით გამოხატული ხდომილება (The letter having been posted) აზუსტებს წინადადების ძირითად ნაწილში მოცემული ხდომილების (He returned home) განხორციელების დროს; მესამე წინადადებაში მოცემული ხდომილებები კი პირობითობის ლოგიკურ კავშირს ეფუძნება, რადგანაც აბსოლუტური კონსტრუქციით გამოხატული ხდომილება (Weather permitting) მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი წინადადების ძირითად ნაწილში მოცემული ხდომილების (we'll go on an excursion to Betania) განხორციელება.

ხდომილებებს შორის არსებული ლოგიკურ-სემანტიკური კავშირების სუბორდინაციული ხასიათი თვალსაჩინოდ წარ-

მოჩნდება ამ წინადადებების ტრანსფორმირებულ ეკვივალენტებში:

1. **As her mother was ill,** she had to stay at home.
2. **After the letter had been posted,** he returned home.
3. **If the weather permits,** we'll go on an excursion to Betania.

მათგან განსხვავებით, მეოთხე წინადადებაში ასახული ხდომილებები ერთმანეთთან ლოგიკურ-სემანტიკურ სუბორდინაციულ მიმართებაში კი არ იმყოფებიან, არამედ ორ დამოუკიდებელ, ერთდროულად მიმდინარე ხდომილებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ, გრამატიკული გაფორმების გამო, აბსოლუტური კონსტრუქციით გამოხატული ხდომილება კვლავ წინადადების ადვერბიალურ რთულ წევრად განიხილება. თანამედროვე ინგლისურ ენაში იგი „თანმხლები გარემოების" („adverbial modifier of attending circumstances") სახელით არის ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ ადვერბიალური თანმხლები გარემოება მხოლოდ ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენაა და ქართულსა და რუსულ ენებში ეს კონსტრუქცია ყოველთვის თანწყობილ წინადადებაში შემავალ დამოუკიდებელ წინადადებად ითარგმნება. მაგალითად:

„He turned and left the room, **we, as before, following him.**"

(ჯეროში 1994: 123)

„ის შეტრიალდა და გავიდა და **ჩვენ, როგორც წინათ, თან გაყვევით.**"

„Он повернулся и вышел и **мы, как и прежде, посдедовали за ним.**"

ზემოაღნიშნული მსჯელობები და ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური და ნიშნობრივი სტატუსი განვსაზღვროთ შემდეგნაირად: **აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს, რომლებშიც ზმნის უპირო ფორმით წარმოდგენილ პრედიკატს დაკარგული აქვს პრედიკატულობის გამომხატველი პირის,**

რიცხვის, კოლოსა და ტემპორალურობის კატეგორიალური მახასიათებლები და მათთან ერთად - კომუნიკაციური ავტონომიურობა, ანუ ინფორმაციის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, თუმცა თავად კონსტრუქციები ინარჩუნებენ პროპოზიციის სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას შესაბამისი ინტონაციური გაფორმებით. ამით ისინი ენობრივ ნიშანთა იერარქიულ სისტემაში ერთი საფეხურით დაბლა იწევენ და შუალედურ ადგილს იკავებენ წინადადებისა და სიტყვათშეთანხმების დონეებს შორის. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურ კონსტრუქციებს განვიხილავთ წინადადების რთულ, ადვერბიალურ წევრად, რომლის საშუალებითაც ხდება ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვით გამოხატული რეფერენტული სიტუაციის ან ხდომილების თვისებრივი დახასიათება ან მისი გარემოების დაზუსტება სხვა თანმხლები ხდომილებით.

§2. პრედიკაციის, პრედიკატულობის, მეორადი პრედიკაციის და პროპოზიციის ცნებები

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია დავაზუსტოთ ისეთი ძირითადი სამუშაო ცნებები, როგორიცაა პრედიკაცია, პრედიკატულობა, მეორადი პრედიკატულობა და პროპოზიცია. ეს ოთხივე ცნება ვერბოცენტრისტულ სტრუქტურაციას გულისხმობს, რის გამოც მათი დიფერენცირების საფუძველს ზმნა წარმოადგენს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ზმნა განიხილება, როგორც მეტყველების ცენტრალური ნაწილი, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია მეტყველების სხვა ნაწილთა შორის. ლინგვისტურ ლიტერატურაში (ფრომკინი, როდმანი, ჰაიამსი 2003; ბაიბერი, კონრადი, ლიჩი 2003; ტალერმანი 1998; გრინბაუმი, ქუირკი 1991: 327; ბლოხი 1983) მეტყველების ნაწილები განიხილება, როგორც სიტყვათა ლექსიკურ-გრამატიკული კლასები გრამატიკულობის პრიმატით, რომლებიც ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით:

1. კატეგორიალური მნიშვნელობით;

2. მორფოლოგიურ კატეგორიათა სპეციფიკური სისტემით;
3. გარკვეული სინტაქსური ფუნქციით.

ზმნის კატეგორიალურ მნიშვნელობას წარმოადგენს მოქმედების, ანუ პროცესუალობის აღნიშვნა დინამიკაში, ე. ი. დროში. ზმნის ეს კატეგორიალური მნიშვნელობა განაპირობებს მის აუცილებელ კავშირს არსებითი სახელით გამოხატულ აქტანტებთან, პირველ რიგში, ქვემდებარესთან და დამატებასთან, რომლებიც მოქმედების შემსრულებელ სუბიექტზე ან მის მიმღებზე, ობიექტზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, ამბობენ, რომ წინადადება არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა კი – შეკუმშული წინადადება (ლებანიძე 2004: 145-146). ზმნის სწორედ ეს კავშირი არსებითი სახელით გამოხატულ აქტანტებთან აყალიბებს პრედიკაციის ცნებას. ***პრედიკაცია არის სუბიექტურ-პრედიკატული ურთიერთობების ამსახველი ლოგიკური კატეგორია,*** რომელიც ენობრივ გაფორმებას ჰპოვებს, პირველ რიგში, ქვემდებარითა და ზმნური შემასმენლით შექმნილ პრედიკატულ სინტაგმაში, რომლის ძირითად მახასიათებელსაც პრედიკატულობა წარმოადგენს. ლინგვისტურ ლიტერატურაში ***პრედიკატულობას განიხილავენ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას,*** რომელიც ზმნის პირიანი ფორმის გრამატიკული კატეგორიების სინთეზური რეალიზების შედეგად იქმნება, ასახავს რა მიმართებას გამონათქვამის შინაარსსა და ობიექტურ რეალობას შორის (ფრომკინი, როდმანი, ჰაიამსი 2003; ბაიბერი, კონრადი, ლიჩი 2003; ტალერმანი 1998; გრინბაუმი, ქუირკი 1991: 327; ბლოხი 1983). კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხაზგასმა, ერთი მხრივ, ზმნის პირისა და რიცხვის გრამატიკულ კატეგორიებზე, რომლებიც თავისი არსით სინტაქსურია, რადგანაც მათი მნიშვნელობა ქვემდებარით არის განპირობებული; მეორე მხრივ კი, კილოსა და დროის კატეგორიებზე, რომლებიც პრედიკატულობის მოდალობას ქმნიან, რადგანაც მათი საშუალებით ხდება არა მარტო წინადადებაში მოცემული რეფერენტული ხდომილების დროში დაკონკრეტება სამეტყველო აქტთან მიმართებაში, არამედ ხდე-

ბა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვა ამ ხდომილების მიმართ.

ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობას (ლათ. modus) ზოგადად განიხილავენ, როგორც უნივერსალურ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს როგორც გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, ასევე მასში მოცემული შეტყობინების სხვადასხვა ტიპის სუბიექტურ კვალიფიკაციას. შესაბამისად, განასხვავებენ მოდალობის ობიექტურ და სუბიექტურ სახეებს. ობიექტური მოდალობა ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რომელიც წინადადების გრამატიკულ პარადიგმაში კილოს კატეგორიის საშუალებით რეალიზდება. შესაბამისად, კილოს გრამატიკული კატეგორიის დანიშნულებას წარმოადგენს წინადადებაში მოცემული ხდომილების დახასიათება ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში მისი რეალურობა/არარეალურობისა და ა.შ. პლანში. სუბიექტური მოდალობა კი ავტორის დამოკიდებულებას გამოხატავს გამონათქვამში ასახული ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990: 303). ავიღოთ ორი წინადადება: „The doctor arrived in time“ და „The doctor should arrive in time.“ პირველ წინადადებაში – „The doctor arrived in time“ („ექიმი დროზე მოვიდა“), ხდომილება განიხილება, როგორც წარსულში შემდგარი ფაქტი, რის გამოც იგი მოცემულია ნამყო განუსაზღვრელი დროს თხრობით კილოში. ხოლო მეორე წინადადებაში – „The doctor should arrive in time“ („ექიმი დროზე უნდა მოვიდეს“), ხდომილება – „ექიმის მოსვლა“ ფაქტად კი არ წარმოგვიდგება, არამედ ამ წინადადებაში განსაზღვრულია მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულება ამ ხდომილების მიმართ როგორც აუცილებელი და სავალდებულო, რაც, შესაბამისად, გამოიხატება ზმნური შემასმენლის კავშირებითი კილოსა და მომავალი დროით. აღნიშნული მსჯელობა შესაძლებლობას იძლევა განვაცხადოთ, რომ **პრედიკატულობა არის დროისა და კილოს გრამა-**

ტოკული კატეგორიების საშუალებით წინადადების შეპირისპირება რეალობასთან (ბლოხი 1983: 124).

პრედიკატულობის კატეგორია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ ის წამოადგენს წინადადებისა და აბსოლუტური კონსტრუქციის მადიფერენცირებელ ნიშანს. მაგალითად, წინადადებაში — ***His mother being ill,*** Nick had to stay at home. — *His mother being ill* არის მიზეზის გარემოება, გამოხატული აბსოლუტური კონსტრუქციით, რომელიც მოკლებულია პრედიკატულობას მისი თანმხლები პირის, რიცხვის, დროისა და კილოს გრამატიკული კატეგორიებით, რადგანაც მასში სუბიექტურ-პრედიკატული ლოგიკური ურთიერთობები გაფორმებულია აწმყო მიმღეობით, რომელსაც აღნიშნული კატეგორიები არ გააჩნია. საკმარისია ზმნის უპირო ფორმა შეიცვალოს პირიანი ფორმით, რომ კონსტრუქცია მაშინვე შეიძენს პრედიკატულობას და მასთან ერთად დამოკიდებული წინადადების ფორმას: ***As his mother was ill,*** Nick had to stay at home.

რუსი ენათმეცნიერები ერთმანეთისგან გამიჯნაენ პრედიკატულობის და ე. წ. **მეორადი პრედიკატულობის ცნებებს** (ვორონცოვა 1950; ბარხუდაროვი 1966; კაუშანსკაია, კოვნერი 1983; განშინა, ვასილევსკაია 1964; გორდონი, კრილოვა 1993; ხაიმოვიჩი, როგოვსკაია 1987). პრედიკატულობა წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში რეალიზდება, მაშინ როდესაც მეორადი პრედიკატულობა (რუსული ტერმინოლოგიით « Вторичная предикативность») მხოლოდ სუბიექტურ-პრედიკატულ ლოგიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს: იგი ინგლისურ ენაში ზმნის უპირო ფორმიან კონსტრუქციებში ჰპოვებს გამოხატულებას, რომლებიც წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში რთული ქვემდებარის (1), დამატების (2), განსაზღვრების (3) ან გარემოების (4) ფუნქციით გეველინება:

1. **He** was seen **crossing the street.**
2. I saw **him crossing the street.**

3. He stood fascinated by the sight of **the maid-servant changing her clothes** in front of the mirror in her room.
4. The sea looked grey and uninviting, **great rollers sweeping in to the bay past the beacon on the headland.**

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ *რა მიმართებაშია ერთმანეთთან პრედიკაციისა და პროპოზიციის ცნებები.* ამასთან დაკავშირებით გვინდა დავაზუსტოთ, რომ პრედიკაცია განიხილება ლოგიკურ კატეგორიად, მაშინ როდესაც პროპოზიციის ცნებითი შინაარსი მხოლოდ სემანტიკურ ურთიერთობებს ასახავს, რამდენადაც იგი წარმოადგენს რეფერენტული სიტუაციის ამსახველ იმ აბსტრაჰირებულ, აზრობრივ სტრუქტურას, რომელიც სემანტიკურ კონსტანტად, ანუ ინვარიანტად გვეელინება მისი ენობრივი გაფორმების ვარიანტულობის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში აბსოლუტური კონსტრუქციების შემცველ წინადადებას განვიხილავთ პოლიპროპოზიციულ სტრუქტურად, რომელშიც მთავარი პროპოზიცია (head proposition) გაფორმებულია ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვით და მისი დამახასიათებელი პრედიკატულობის კატეგორიით, ხოლო მისი მსაზღვრელი ან დამაზუსტებელი თანმხლები პროპოზიცია (dependent proposition) კი – მეორადი პრედიკატულობის შემცველი აბსოლუტური კონსტრუქციით.

§3. აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტრუქტურული ტიპები თანამედროვე ინგლისურ ენაში

ემპირიული მასალის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე ინგლისურენოვან ნებისმიერი ჟანრის ტექსტში აბსოლუტური კონსტრუქციების ორი სახე გეხვდება: მიმღეობიანი და მიმღეობის გარეშე.

სახეზე გვაქვს ზმნური პრედიკატის მხოლოდ დევერბალიზაცია-ნომინალიზაცია, რის შედეგადაც ზმნის პირიანი ფორმით გამოხატული შემასმენელი კარგავს პრედიკატულობის გამომხატველ პირის, რიცხვის, კილოსა და ტემპორალურობის კატეგორიებს, თუმცა მიმღეობა ინარჩუნებს პრედიკატის პოზიციას და ზმნის ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობას, რომელიც მის არგუმენტულ კონფიგურაციას განაპირობებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც თითოეული აბსოლუტური კონსტრუქციის პრედიკატული წევრი გამოხატულია სრულმნიშვნელოვანი მიმღეობით:

1. Before Archie could pick her up, Melanie fainted. Then a hubbub ensued, (1) **Archie picking her up,** (2) **India running to the kitchen for the water,** (3) **Pitty and Scarlett fanning her and slapping her wrists.**

(მიჩელი 1995: 671)

2. But no matter how Spitz circled, Joe whirled around on his heels to face him, (1) **mane bristling,** (3) **lips writhing and snarling,** (4) **jaws clipping together as fast as he could snap, and** (5) **eyes diabolically gleaming** – the incarnation of belligerent fear.

(ლონდონი 1978: 30)

მიმღეობიანი აბსოლუტური კონსტრუქციების განხილვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყურადღება შევაჩეროთ დრო-ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაზე, რომელიც რეალიზებულია მიმღეობის ორი ფორმით:

1. პირველი არის აწმყო, ანუ „-ing" ფორმის მიმღეობა, რომელსაც ასპექტის მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე დროის, რამდენადაც ეს ფორმა აღნიშნავს მოქმედების მიმდინარეობას იმ ხდომილების პარალელურად, რომელიც ვერბალიზებულია ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში:

After this the stream came very fast; **chaperons silting up along the wall facing the entrance, the dancers swelling the eddy in the larger room.**

(გოლზუორთი 1974: 190)

სრული ასპექტის პერფექტული ფორმის მიმღეობით გამოხატული ხდომილება კი ყოველთვის წინ უსწრებს დროში ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში რეალიზებულ ხდომილებას:

Bosinney having exspressed the wish to show them the house from the copse below, Swithin came to a stop.

(გოლზუორთი 1974: 141)

2. მეორე კი არის ნამყო მიმღეობის ფორმა, რომლის სემანტიკაც სინკრეტულია. *ერთი მხრივ,* იგი ახლოა სრული ასპექტის მნიშვნელობასთან, რამდენადაც იგი აღნიშნავს ხდომილებას, რომელიც წინ უსწრებს დროში ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემულ ხდომილებას:

His tale told, the Captain left the room hurriedly without bidding good-bye.

(მიჩელი 1995: 671)

მეორე მხრივ, ნამყო მიმღეობა თავისი სემანტიკით ახლოა პასიეის მნიშვნელობასთან და იგი ყოველთვის გამოიყენება ისეთი სტატიკური ექსტრალინგვისტური სიტუაციების აღსაწერად, როგორიც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშია მოცემული:

The background was ideal – (1) **the wringing-machine blown through the kitchen window,** (2) **the stone sink cracked in two,** (3) **a heavy grey sock, darned at the heel, lying half under a lamp of plaster,** and (4) **all the crockery, except one thick half-pint mug, mixed up in fragments with butter and sugar and jam and bread and sausages and golden syrup.**

(ბრეინი 1981: 107)

An army sergent was standing beside Mrs Cummins, **his face caked with perspiration and dirt.**

(სთოუნი 1998: 240)

მიმდეობის გარეშე აბსოლუტურ კონსტრუქციებში კი სახეზე გვაქვს პრედიკატული წევრის არა დეეყრბალიზაცია-ნომინალიზაცია, არამედ მისი სრული იმპლიციტირება. ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთ იმპლიციტირებას ექვემდებარება მხოლოდ ის პრედიკატული წევრი, რომელიც პროპოზიციის არგუმენტებს შორის მხოლოდ რელაციურ მიმართებებს ამყარებს რაიმე მახასიათებლური ნიშნის გარეშე. ამ მიმართებების ექსპლიციტირება ინგლისურ ენაში ხდება მხოლოდ ორი ზმნის – **be** და **have** საშუალებით, რომლებიც, მკვლევართა აზრით, ურთიერთჩანაცვლებადნი არიან (ბახი 1967; თორნი 1973; ნორმანი 1978: 77-94; კაცნელსონი 1972; ბენვენისტი 1974: 211; არუთიუნოვა 1976: 255). მაგალითად:

1. Then she came back, **the glass of water in her hands.**

(მორიერი 1995: 249)

2. St. Louis was a lighthearted town in the French tradition, **with a fiddle in every house.**

(სთოუნი 1998: 101)

3. They walked without hats for long hours in the gardens attached to their house, **books in their hands, a fox terrier at their heels,** never saying a word and smoking all the time.

(გოლზუორთი 1974: 249)

ილუსტრირებულ მაგალითებში მოცემული აბსოლუტური კონსტრუქციები იპლიციტური ფორმით შეიცავენ პრედიკატებს „be“ („ყოფნა“) და „have“ („ქონა“), რომელთა ექსპლიცირებაც სრულიად ადვილად არის შესაძლებელი წინადადების ტრანსფორმაციული გარდაქმნით, რის შედეგადაც იგი შეიძლება წარმოდგენილ იყოს ორი სტრუქტურული ვარიანტით – რთული თანწყობილი ერთი ან მეტი დამოუკიდებელი წინადადებით:

1. Then she came back, **the glass of water in her hands.** > Then she came back, **there was a glass of water in her hands / She had a glass of water in her hands).**

2. St. Louis was a lighthearted town in the French tradition, **with a fiddle in every house.** > St. Louis was a lighthearted town in the French tradition, **there was a fiddle in every house.**

3. They walked without hats for long hours in the gardens attached to their house, **books in their hands, a fox terrier at their heels,** never saying a word and smoking all the time. > They walked without hats for log hours in the gardens attached to their house, never saying a word and smoking all the time. **They had books in their hands** and **a fox terrier at their heels.**

იდეა **be** და **have** ზმნების ურთიერთჩანაცლებაზე საინტერესო განვითარებას ჰპოვებს ჯონ ლაიონზის ლინგვისტურ კონცეფციაში, რომელმაც პირველმა წამოაყენა ჰიპოთეზა ეგზისტენციალური და კუთვნილებითი კონსტრუქციების საერთო გენეზისის უნივერსალური ბუნების შესახებ. ხსენებული ჰიპოთეზის არგუმენტირებას ლაიონზი ახდენს სხვადასხვა ენის ემპირიული მასალის ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე. შედეგად, იგი აკეთებს დასკვნას ეგზისტენციალური და კუთვნილებითი კონსტრუქციების საერთო წარმომავლობის შესახებ, რის შესაბამისადაც ორივე მათგანს ლოკაციური კონსტრუქციის დერივატებად განიხილავს (ლაიონზი 1977). მსგავსი იდეა ხსენებული კონსტრუქციების უნივერსალობასა და ურთიერთჩანაცვლებადობაზე განავითარა, ასევე, ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა ივ კლარკმაც (კლარკი 1978).

§4. სინტაქსური სინონიმია და აბსოლუტური კონსტრუქციები

„სინონიმიის“ ცნება ენაში სათაეს იღებს ლექსიკოლოგიიდან, სადაც ეს მოელენა დაწვრილებითაა შესწავლილი. მოგვიანებით ამ ტერმინის გამოყენება გადმოტანილ იქნა ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, თუმცა კვლევათა დიდი ნაწილი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა იმ ცნებათა სისტემას და ამოსავალ კატეგორიებს, რომლებიც შემუშაებულ იქნა ლექსიკური სინონიმიის შესწავლის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ სინტაქსური სინონიმია ნაკლებ დეტალურადაა შესწავლილი ვიდრე ლექსიკური, მე-20 საუკუნეში ამ ფენომენის კვლევას საკმაოდ ბევრი სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა როგორც ამერიკულ, ისე რუსულ ენათმეცნიერებაში (ჩომსკი 1961; ჰოლ ფართი 1971; სტენიუსი 1973; ჰარისი 1962; ჩომსკი 1962; 1972; ორდანიანი 1977; ოსოვსკაია 1963; მურზინი, შარინა 1971 კოლოსოვა 1972; მაქსიმოვა 1977; პადუჩევა 1974; პოჩეპცოვი გ.გ. 1971; ტრუხინი 1973; ხრაკოვსკი 1973; შვედოვა 1973; შენდელსი 1974). ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სინტაქსური სინონიმიის კვლევა სხვადასხვა ჭრილში და განსხვავებული რაკურსით მიმდინარეობს. მიუხედავად ამგვარი გაზრდილი ინტერესისა, კვლავ სადავო რჩება ყველაზე არსებითი საკითხები: სინტაქსური სინონიმიის რაობის განსაზღვრა და სინონიმურობის კრიტერიუმების დადგენა.

ზემოხსენებული ლინგვისტური შრომების კრიტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ სინტაქსური სინონიმების იდენტიფიკაცია, ანალოგიურად ლექსიკური სინონიმებისა, სამ ძირითად კრიტერიუმს ეფუძნება. ესენია:

1. მნიშვნელობის იგივეობა ან მსგავსება;
2. ფორმალური ნიშნები/მახასიათებლები;
3. სინონიმურ კონსტრუქციათა ფუნქციური ურთიერთ-ჩანაცვლების უნარი.

სინტაქსური სინონიმიის სხვადასხვა განსაზღვრებათა განზოგადება გვიჩვენებს, რომ ყველა მათგანის ცნებითი შინაარსი შესადარებელ კონსტრუქციებს შორის **მნიშვნელობის იგივეობას** ეფუძნება. თავად „მნიშვნელობის“ ცნება კი დაზუსტებას საჭიროებს, რადგან სინტაქსური სინონიმიის განსაზღვრისას ლინგვისტები ხან გრამატიკული მნიშვნელობის სიახლოვეს და მსგავს სინტაქსურ მიმართებებს ეყრდნობიან, ხანაც ერთი და იგივე შინაარსისა და ზოგადაზრობრივი მნიშვნელობის იგივეობას.

სინტაქსური სინონიმიის პირველი დეფინიცია მთლიანად გრამატიკული მნიშვნელობის იდენტურობას ეფუძნებოდა. ტერმინი „გრამატიკული სინონიმები“ ენათმეცნიერებაში შემოტანილ იქნა პეშკოვსკის მიერ. იგი ამ ცნებაში გულისხმობდა გრამატიკული მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლომყოფ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს და სწორედ მათ რიცხვში გამოყოფდა სინტაქსურ და მორფოლოგიურ სინონიმებს (პეშკოვსკი 1930). მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, თანამედროვე ლინგვისტიკაში დომინირებს ის აზრი, რომ სინონიმური კონსტრუქციების საერთო მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის იგივეობით, თუმცა დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ გრამატიკული ფორმის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

სინტაქსური სინონიმიის თეორიის შემუშავებას და სრულყოფას ბიძგი მისცა ამერიკულმა ტრანსფორმაციულმა გრამატიკამ, რომელსაც საფუძველი ზელიგ ჰარისმა ჩაუყარა (ჰარისი 1957; 1962), ხოლო შემდგომი განვითარება კი ჰპოვა ნოამ ჩომსკის შრომებში (ჩომსკი 1957; 1962; 1965; 1972). მე-20 საუკუნის ორმოციანი წლების ბოლოს, ზელიგ ჰარისის მიერ შემუშავებულ იქნა ენობრივ ერთეულთა ანალიზის **ტრანსფორმაციული მეთოდი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელს ხდის, წინადადებებს შორის ფორმალური მიმართებების განსაზღვრის შედეგად ერთი წინადადების სტრუქტურა განხილულ იქნას მეორის სტრუქტურულ ტრან-**

სფორმად (მაგალითად, აქტივი და პასივი, კითხვა და პასუხი და სხვა.).[1] ჰარისმა შემოიტანა და დააფუძნა პრინციპულად ახალი ცნება – ტრანსფორმაციის ცნება, რაც გულისხმობდა ანალიზის მეთოდის შექმნას მეტყველების ისეთი მონაკვეთისათვის, რომელიც თავისი აგებულებით არ უდრიდა მარტივ წინადადებას (მეტია ვიდრე მარტივი წინადადება) და არ ანალიზდებოდა ე.წ. „უშუალო შემადგენელთა"[2] ტერმინების საშუალებით. მორფემათა ანუ სიტყვათა კლასების[3] გამოყენებით, ჰარისი ამუშავებს და ქმნის „ტრანსფორმაციათა ალგებრას", რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება გამოყლენილ იქნეს კავშირები ენის სხვადასხვა დონის ერთეულებს შორის. ჰარისის აზრით, ორი წინადადება შეიძლება ჩაითვალოს ერთმანეთის ტრანსფორმად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივეს აკმაყოფილებს მორფემათა / სიტყვათა ერთი და იგივე ერთობლიობა, ანუ კმაყოფილდება მათი თანადროული შეხვედრის (co-occurrence) მოთხოვნა. „ტრანსფორმაციულ გრამატიკაში" **ტრანსფორმაციად განიხილება ერთი წინადადების ისეთი გარდაქმნა მეორე წინადადებად, რომლის დროსაც ნაწარმოები წინადადება საწყისი წინადადების ეკვივალენტურია შინაარსობრივად და ლექსიკურ ერთეულთა შედგენილობით, მაშინ როდესაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სინტაქსურ-გრამატიკული სტრუქტურით** (კირვალიძე 2008: 48). შესაბამისად, ჰარისი ერთმანეთის ტრანსფორმებად განიხილავს:

---

[1] იხ.: Harris Z.S., Co-occurrence and transformation in linguistic structure, „Language", vol. 33, No. 3 (Part 1), 1957, p. 283 - 340. რუსული თარგმანი იხ. კრებულში: Новое в лингвистике, вып. 11, М. 1962, стр. 528-636.

[2] იხ. იელის ლინგვისტური სკოლის ფუძემდებლის ლეონ ბლუმფილდის მიერ შემუშავებული თეორია წინადადების სინტაქსური ანალიზისშესახებ, რომელიც ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია **„უშუალო შემადგენელთა მახვედრით ანალიზის"** სახელწოდებით (**IC analysis = Immediate Constituents Analysis**). ამ თეორიის არსი მდგომარეობს წინადადების აღწერაში მასში სიტყვაფორმათა დისტრიბუციის ანუ სიტყვათა გარემოცვის პრინციპების შესწავლის გზით (**Bloomfield, L.**, Language. Chicago University Press, 1933).

[3] ჰარისის ლინგვისტურ კონცეფციაში მორფემა გათანაბრებულია სიტყვასთან.

1. წინადადებებს აქტივსა და პასივში (მაგ.: The police brought the criminal in. <> The criminal was brought in by the police.);
2. მტკიცებითსა და კითხვით ფორმებში (Nick speaks English well. <> Does Nick speak English well?);
3. წინადადებასა და მის ნომინალიზებულ ტრანსფორმაციას (მაგ.: I saw that **he was crossing** the street. <> I saw **him crossing** the street.).

მიუხედავად იმისა, რომ ჰარისის თეორიაში ლაპარაკი არ არის წინადადების სემანტიკურ (ე. ი. შინაარსობრივ) ასპექტზე, ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა წინადადების შინაარსობრივი ასპექტის წინა პლანზე წამოწევა, რადგანაც ტრანსფორმები ფაქტიურად ერთი და იგივე სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

მოგვიანებით, ჰარისის მოწაფემ ნოამ ჩომსკიმ განავითარა და უფრო მაღალ დონეზე აიყვანა ენის აღწერის ტრანსფორმაციული მეთოდი (ჩომსკი 1957; 1962; 1965; 1972). სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის შექმნა და თეორიული დაფუძნება. ჩომსკი დაუბრუნდა სინტაქსური პარადიგმებისა და სინტაქსური თეორიების ლოგიკური საფუძვლების იდეებს.

ნომსკიმ კონცეპტუალური საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტური კვლევებს ახალ, კოგნიტურ მიდგომას და შექმნა ანალიზის ტრანსფორმაციული, ე.წ. წარმომშობი მეთოდი, რომლის ბაზაზეც იგი შეეცადა აეგო თავისი ცნობილი უნივერსალური გრამატიკა (Universal Grammar), რაც გულისხმობდა ნებისმიერი ენის წარმომშობი გრამატიკის ზოგადი სტრუქტურის შექმნას. ჩომსკის თეორიაში უნივერსალური გრამატიკის დანიშნულება განისაზღვრებოდა იმით, რომ სხვადასხვა ტრანსფორმაციული წესების გამოყენებით შესაძლებელი იყო, შეზღუდული რაოდენობის ბირთვული წინადადებებისაგან შექმნილიყო განუსაზღვრელი რაოდენობისა და სიგრძის ტექსტები. **თავად ტრანსფორმაციების**

არსი კი მდგომარეობდა ადამიანის აზროვნების (ტვინის) უნიკალურ ბუნებაში, რომლის თანახმადაც კოგნიტური პროცესები რეალიზებას პოულობს წინადადებების სტრუქტურირებაში. ჩომსკი განასხვავებდა წინადადების ზედაპირულ და სიღრმისეულ სტრუქტურებს. იგი ამტკიცებდა, რომ ბირთვული წინადადებების სიღრმისეული ანუ სემანტიკური სტრუქტურები, რომლებშიც ობიექტური სამყარო ბირეკლება, უნივერსალურია ყველა ენისათვის, მაშინ როდესაც მათი ექსპლიცირება ზედაპირულ სტრუქტურებში ვარირების განიცდის ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას თითოეული ენის მორფოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე (კირვალიძე 2008: 50).

ჩომსკის თეორიის მიხედვით, გამოიყოფა ორი სახის სინტაქსური სტრუქტურები: ბირთვული (kernel sentences) და არაბირთვული (non-kernel sentences), რომლებიც ბირთვულ წინადადებათა ტრანსფორმებს წარმოადგენენ. მათი აღწერა მოიცავს ელემენტთა კლასიფიკაციის და შეერთების წესებს, რომელიც ხორციელდება ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენებით. ჩომსკი შეისწავლის გრამატიკული ტრანსფორმაციის ფორმალურ თვისებებს და ასკვნის, რომ ინგლისური ენის გრამატიკა არსებითად გამარტივდება, თუ სტრუქტურულ აღწერას უშუალო შემადგენელთა დონეზე შევზღუდავთ მარტივი ბირთვული წინადადებებით, რომელთაგანაც სხვა წინადადებები აიგება ტრანსფორმაციის რამდენჯერმე გამოყენებით.

ჩომსკის ლინგვისტურ კონცეფციაში გრამატიკული ტრანსფორმაცია არის წესი, რომლის მიხედვითაც ყოველი წინადადება უშუალო შემადგენელთა მოცემული სტრუქტურით გარდაიქმნება ახალ წინადადებად უშუალო შემადგენელთა შეცვლილი სტრუქტურით. ჩომსკი გამოყოფს ტრანსფორმაციათა 24 ტიპს, რომელთა შორისაც ძირითადად მიიჩნია:

1. **სუბსტიტუცია** ანუ ერთი ელემენტის შეცვლა მეორეთი:

John arrives and so do I.
John can arrive and so can I.
John has arrived and so have I.
John has arrived and I know it.

2. **პერმუტაცია** ანუ ელემენტების გადაჯგუფება:
John has arrived.
Has John arrived?
3. **დელეტაცია** ანუ ელემენტის დამატება:
John ate an apple.
John did not eat an apple.
John ate an apple, didn't he?
4. **ელიფსისი** ანუ ელემენტის გამორიცხვა:
Everyone considers John to be a fool.
John is considered to be a fool.

ჩომსკის მიერ „სინტაქსურ სტრუქტურებში" აღწერილი გრამატიკა, ფაქტობრივად, გათანაბრებულია სინტაქსთან, რადგანაც, მისი აზრით, სწორედ სინტაქსს ევალება წარმოქმნას გრამატიკულად სწორი წინადადებები.

ტრანსფორმაციული წარმომშობი გრამატიკის თეორიამ ევოლუცია განიცადა. მისი სახეცვლილი და შედარებით სრულყოფილი ვარიანტი მოცემულია ნაშრომში „სინტაქსური თეორიის ასპექტები"[4], სადაც ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორიც არის „ბირთვული წინადადება", „გრამატიკის უშუალო შემადგენელთა დონე" და სხვა, შეცვლილია ახალი, ისეთი განსხვავებული ცნებებით, როგორიცაა: „სიღრმისეული სტრუქტურა", „ზედაპირული სტრუქტურა", „სემანტიკური ინტერპრეტაცია" და ა. შ.

ამრიგად, ჰარისისა და ჩომსკის შრომებში ტრანსფორმებად განიხილება ორი ისეთი სინტაქსური სტრუქტურა, რომლებიც ერთმანეთის ეკვივალენტურია შინაარსობრივად და ლექსიკურ ერთეულთა შედგენილობით, მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან გრამატიკული სტრუქტურაციით. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტრანსფორმები ფაქტიურად ერთი და იგივე პროპოზიციული სტრუქტურის სინტაქსურ სინონიმებად, ანუ ვარიანტებად განიხილება.**

[4] Chomsky, Noam. Aspects of the theory of syntax. Cambridge: MIT, 1965.

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ეტაპზე საკამათო ხდება საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება სინტაქსურ კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმად მივიჩნიოთ მხოლოდ მათი **პროპოზიციული იდენტობა.** ენათმეცნიერები მიიჩნევენ, რომ სინტაქსურ სინონიმიაზე მსჯელობისას, როდესაც საქმე ეხება წინადადებას, გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი **მოდალობა.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოდალობა წარმოადგენს უნივერსალურ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს როგორც გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, ასევე, მასში მოცემული შეტყობინების სხვადასხვა ტიპის სუბიექტურ კვალიფიკაციას (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990: 303). შესაბამისად, განასხვავებენ მოდალობის ობიექტურ და სუბიექტურ სახეებს. მათგან, ობიექტური მოდალობა ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რომელიც, ტემპორალობის კატეგორიასთან ერთად, მის პრედიკატულობას ქმნის, გამოხატავს რა გამონათქვამის დამოკიდებულებას ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში მისი რეალურობა/არარეალურობისა და ა.შ. პლანში; **სუბიექტური მოდალობა კი ადრესანტის დამოკიდებულებას გამოხატავს რეფერენტული სიტუაციის მიმართ, რის გამოც იგი კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პრაგმატიკულ კატეგორიად მოიაზრება.** მის კონცეპტუალურ საფუძველს შეფასების ცნება წარმოადგენს ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგანაც იგი გულისხმობს არა მარტო შეტყობინების რაციონალურ-ლოგიკურ კვალიფიკაციას, არამედ მეტყველი სუბიექტის ემოციურ კოგნიციასაც, რაც გამოხატულებას ჰპოვებს გამონათქვამის სტილისტურ, სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურაციაში.[5]

[5] ნინო კირვალიძე, „ნომინალიზაცია, როგორც ავტორისეული მოდალობის სინტაქსურ-სტილისტური გამოხატულების საშუალება ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში“//„ენა, თარგმანი, ლიტერატურა“, ტომი X. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: „ენა და კულტურა“. თბილისი, 2005: 101 – 114.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა გამოხატულებას ჰპოვებს სინტაქსური სინონიმიის უახლეს ლინგვისტურ კვლევებში. ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართველი მკვლევრის - ნინო ნიჟარაძის სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც სინტაქსური სინონიმიის ფენომენი განხილულია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა, რამდენადაც ავტორი მას უკავშირებს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას და სტრატეგიულ კომპეტენციას. ამ უკანასკნელს კი იგი განსაზღვრავს, „როგორც მეტყველი სუბიექტის უნარს, თავისი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის საშუალებები, რომლებიც ოპტიმალურად შეასრულებს მისი კომუნიკაციური ინტენციის განხორციელების ფუნქციას“ (ნიჟარაძე 2010: 3). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაშრომი გვთავაზობს **სინტაქსური სინონიმიის კომუნიკაციურ-ფუნქციურ გაგებას.** შესაბამისად, სინონიმური კონსტრუქტები განიხილება, როგორც მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის ხორცშესხმის ოპტიმალური საშუალება, რომელსაც ის იყენებს კომუნიკაციის წარმატებით განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, ყურადღება კონცენტრირებულია იმ ლინგვოპრაგმატიკული და ფსიქოლინგვისტური ფაქტორების გამოვლენასა და განზოგადებაზე, რომლებიც განაპირობებს მეტყველი სუბიექტის მიერ სინონიმურ წყვილთა შორის არჩევანის გაკეთებას.

ავტორი გვთავაზობს სინტაქსური სინონიმიის ახლებურ დეფინიციას იმ ძირითადი სინტაქსურ-სემანტიკური და კომუნიკაციურ-პრაგმატიკული პარამეტრების მითითებით, რომელთა ერთობლიობაც მის სპეციფიკურ არსს წარმოაჩენს და სინტაქსურ კონსტრუქციათა სინონიმურობის კრიტერიუმად გვევლინება. ამ ფენომენის აქამდე არსებული გამოკვლევები კი ვერ გვათავაზობს ვერც თავად ცნების დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებას და ვერც იმ კრიტერიუმებს, რომლებიც სინონიმთა იდენტიფიკაციას და გამოყენებას უზრუნველყოფს კომუნიკაციის პროცესში. ავტორის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალის ის ფაქტი, რომ იგი კომუნიკანტთა სა-

კომუნიკაციო კომპეტენციასა და სინტაქსურ სინონიმიას შორის არსებულ მიმართებას განიხილავს, „როგორც კომუნიკანტთა ენობრივი შემოქმედების მაგალითს, რამდენადაც კომუნიკაციის პროცესში ენობრივი სუბიექტი აკეთებს არჩევანს მის ხელთ არსებულ საკომუნიკაციო სტრატეგიებს შორის, ხოლო არჩევანი კი, თუნდაც მინიმალური, შემოქმედებითი აქტია“ (ნიჟარაძე 2010: 8).

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვეყრდნობით სინტაქსური სინონიმიის ნიჟარაძისეულ განმარტებას (ნიჟარაძე 2010: 17-18) და **სინტაქსურ სინონიმებად მივიჩნევთ სინტაქსური დონის იმგვარ ერთეულებს, რომლებსაც საერთო პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაცია და ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ განსხვავებული სუბიექტური მოდალობა და გრამატიკული სტრუქტურა აქვთ, რის გამოც ისინი ერთი სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებად მოიაზრება.** ამ დეფინიციის საფუძველზე შესაძლებელია სინონიმურ სინტაქსურ სტრუქტურებად მივიჩნიოთ რთული წინადადება და აბსოლუტური კონსტრუქციის/კონსტრუქციების შემცველი მარტივი წინადადება. მსჯელობას სინონიმურ მიმართებაზე რთულ წინადადებასა და ნომინალიზებული, ზმნის უპირო ფორმებიანი კონსტრუქციების შემცველ მარტივ წინადადებებს შორის ლოგიკურად ვასაბუთებთ შემდეგი არგუმენტაციით:

1. ორივე სინონიმიური წყვილი იდენტური პოლიპროპოზიციული სტრუქტურის მქონეა, რამდენადაც ორივე მათგანში ასახვას ჰპოვებს (ნომინირებულია) ორი ან მეტი ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება. აბსოლუტური კონსტრუქცია წარმოადგენს ნომინალიზაციის სამეტყველო მოჟლენის შედეგად ფორმირებულ სინტაქსურ ტრანსფორმს, რომელშიც წინადადება, კარგავს რა პრედიკატულობის კატეგორიას (ანუ ქვემდებარულ-შემასმენლურ გაფორმებას), ერწყმის მეორეს როგორც მეორადი პრედიკაციის შემცველი პროპოზიციული სტრუქტურა, რაც განაპირობებს კიდეც ამ ტიპის მარტივი წინადადების სინტაქსურ-სემანტიკურ ასიმეტ-

რიულობას. თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ სინტაქსური წყვილები:

> He saw a long procession of people coming across the dunes, **(1) all of them carrying parcels and bundles and (2) some of them pulling carts** (morieri 1995: 291). < > She saw a long procession of people coming across the dunes; **(1) all of them were carrying parcels and bundles and (2) some of them were pulling carts.**

მოცემული წინადადებები ერთი და იგივე რეფერენტული ექსტრა-ლინგვისტური სიტუაციის ექსპლიკაციას ემსახურებიან, რის გამოც ისინი სინტაქსურ სინონიმებად განიხილება; მათი ურთიერთტრანსფორმირების შესაძლებლობა კი ორმხრივი ისრით არის აღნიშნული.

2. ორივეს შეუძლია გადმოსცეს ობიექტური რეალობის მოვლენებს შორის არსებული დროითი, მიზეზშედეგობრივი, პირობითი და ა.შ. მიმართებები (იხ. მოცემული თავის პირველი პარაგრაფი. – ნ. ს.);

3. ორივე შეიძლება ჩაითვალოს ერთი სემანტიკური ინვარიანტის სამეტყველო ვერბალურ ვარიანტებად. მათგან, აბსოლუტური კონსტრუქციის შემცველი მარტივი წინადადება სინტაქსური სინონიმური ოპოზიციის პრაგმატიკულად და სტილისტურად მარკირებულ წევრად განიხილება, მაშინ როდესაც რთული წინადადება არამარკირებულ წევრად მოიაზრება;

ხსენებული სინტაქსური სინონიმები, მიუხედავად მათი სემანტიკური მნიშვნელობის იდენტობისა, მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. მათი არა მარტო გრამატიკული, არამედ განსხვავებული პრაგმატიკული და სტილისტური შეფერილობა განაპირობებს მოცემული სინონიმური წყვილიდან იმ სინონიმის არჩევას, რომელიც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის რეალიზებას ტექსტში, რის გამოც ამ ტიპის არჩევანის გაკეთებას ნაშრომში განვი-

ხილავთ აეტორის კომ'უნიკაციური სტრატეგიის გამოვლინებად.

პირველი თავის დასკვნები:

წინამდებარე თავში განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება შეჯამდეს შემდეგი თეორიული განზოგადებების სახით:

1. თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთერთ ლინგვისტურ მახასიათებელს წარმოადგენს ე.წ. „აბსოლუტური კონსტრუქციების“ უხვი გამოყენება, რაც თხრობას ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. ემპირიული მასალის ანალიზმა ასევე თვალნათლივ წარმოაჩინა ამ კონსტრუქციათა სპეციფიკური როლი ტექსტის წარმოქმნაში. მიუხედავად ამისა, ანგლისტიკაში დღემდე დაუდგენელია აბსოლუტური კონსტრუქციების ლინგვისტური სტატუსი, რადგანაც, სპეციფიური აგებულების გამო, მათ განიხილავენ როგორც სიტყვათშეთანხმების, ასევე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების ან დამოუკიდებელი წინადადების რანგში.

ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთ პოზიციას, რადგან მიგვაჩნია, რომ, ერთი მხრივ, წინადადებისაგან განსხვავებით, აბსოლუტურ კონსტრუქციას არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულის ფუნქცია იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აბსოლუტური კონსტრუქცია იმდენად განკერძოებული ხდება, რომ იგი დამოუკიდებელი წინადადების სახით ფორმდება. მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია აბსოლუტური კონსტრუქციის გათანაბრება სიტყვათშეთანხმებასთან, რად-

განაც მათ ერთმანეთისაგან მთელი რიგი ფორმალური და სემანტიკური ნიშან-თვისებები განასხვავებს. ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა და განზოგადება შემდეგი სახით:

ა) აბსოლუტური კონსტრუქცია განსხვავდება სიტყვათშეთანხმებისაგან იმით, რომ მას პროპოზიციული სტრუქტურა აქვს, რომელშიც რეალიზებას პოვებს ლოგიკურ-სემანტიკური პრედიკაცია მისი სუბიექტურ-პრედიკატული წევრებით, რის საფუძველზეც მას შესწევს უნარი თავის სტრუქტურაში ასახოს ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება. სიტყვათშეთანხმებას კი ასეთი პროპოზიციულობა არ გააჩნია – იგი მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება, რის გამოც მის ექსტრალინგვისტურ რეფერენტს წარმოადგენს არა სიტუაცია ან ხდომილება, არამედ მისი რომელიმე კომპონენტი თანმხლებ ატრიბუტთან ერთად.

ბ) აბსოლუტურმა კონსტრუქციამ შეიძლება განვრცობილი ხასიათი მიიღოს მასში ასახული ექსტრალინგვისტური სიტუაციის შესაბამისად, მაშინ როდესაც სიტყვათშეთანხმება ასეთ განვრცობას გამორიცხავს;

გ) გარდა ამისა, აბსოლუტურ კონსტრუქციათა პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ისეთი სტრუქტურულ-ფორმალური ელემენტებით, როგორიც არის თანამედროვე ინგლისურ ენაში **it** და **there,** რაც სიტყვათშეთანხმებაში სრულიად დაუშვებელია.

2. სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული განზოგადებისა და საკუთარი კვლევის განხორციელების საფუძველზე შესაძლებელი გახდა აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინ-

გვისტური და ნიშნობრივი სტატუსი გაგვესაზღვრა შემდეგნაირად: **აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოქმედების შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს, რომლებშიც ზმნის უპირო ფორმით წარმოდგენილ პრედიკატს დაკარგული აქვს პრედიკატულობის გამომხატველი პირის, რიცხვის, კილოსა და ტემპორალურობის კატეგორიალური მახასიათებლები და მათთან ერთად კომუნიკაციური ავტონომიურობა, ანუ ინფორმაციის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, თუმცა თავად კონსტრუქციები ინარჩუნებენ პროპოზიციის სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას შესაბამისი ინტონაციური გაფორმებით. ამით ისინი ენობრივ ნიშანთა იერარქიულ სისტემაში ერთი საფეხურით დაბლა იწევენ და შუალედურ ადგილს იკავებენ წინადადებისა და სიტყვათშეთანხმების დონეებს შორის. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურ კონსტრუქციებს განვიხილავთ წინადადების რთულ, ადეკვატურ წევრად, რომლის საშუალებითაც ხდება ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვით აღნიშნული რეფერენტული სიტუაციის ან ხდომილების თვისებრივი დახასიათება ან მისი გარემოების დაზუსტება სხვა თანმხლები გარემოებით.**

3. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში დაზუსტებულია ისეთი ძირითადი სამუშაო ცნებები, როგორიცაა პრედიკაცია, პრედიკატულობა, მეორადი პრედიკატულობა და პროპოზიცია. ეს ოთხივე ცნება ვერბოცენტრისტულ სტრუქტურაციას გულისხმობს, რის გამოც მათი დიფერენცირების საფუძველად ზმნის ფორმა მიგვაჩნია. **პრედიკაციას** განვიხილავთ, როგორც სუბიექტურ-პრედიკატული ურთიერთობების ამსახველ ლოგიკურ კატეგორიას, მაშინ როდესაც **პრედიკატულობას** მივიჩნევთ ქვემდებარულ-შემასმენლური ურთიერთობების გამომხატველ გრამატიკულ კატეგორიად, რომელიც ზმნის პირის, რიცხვის, დროისა და კილოს კატეგორიების სინთეზური რეალიზების შედეგად იქმნება, ასახავს რა მიმართებას გამონათქვამის შინაარსსა და ობიექტურ რეალობას შორის. ნაშრომში ერთმანეთისგან გამიჯნულია, ასევე, პრედიკატულობის და ე. წ. **მეორადი პრედიკატულობის** ცნებები. მეორადი პრედიკატულობა, მიუთითებს რა სუბიექტურ-პრედიკატულ ლოგიკურ ურთიერთობებზე, გრამატიკულად რეალიზდება ზმნის უპიროფორმებიან კონსტრუქციებში, რომლის ერთ-ერთ ტიპსაც აბსოლუტური კონსტრუქცია წარმოადგენს. **პროპოზიციის** ცნებითი შინაარსი კი მხოლოდ სემანტი-

კურ ურთიერთობებს ასახავს, რამდენადაც იგი წარმოადგენს რეფერენტული სიტუაციის ამსახველ იმ აბსტრაჰირებულ, აზრობრივ სტრუქტურას, რომელიც სემანტიკურ კონსტანტად, ანუ ინვარიანტად გვეელინება მისი ენობრივი გაფორმების ვარიანტულობის დროს.

4. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში აბსოლუტური კონსტრუქციების შემცველ წინადადებას განვიხილავთ პოლიპროპოზიციულ სტრუქტურად, რომელშიც მთავარი პროპოზიცია (head proposition) გაფორმებულია ქვემდებარულ-შემასმენლური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრედიკატულობის კატეგორიით, ხოლო მისი მსაზღვრელი ან დამაზუსტებელი თანმხლები პროპოზიცია (dependant proposition) – მეორადი პრედიკატულობის შემცველი აბსოლუტური კონსტრუქციით.

5. ემპირიული მასალის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვესკვნა, რომ თანამედროვე ინგლისურენოვან ნებისმიერი ჟანრის ტექსტში აბსოლუტური კონსტრუქციების ორი სახე გვხვდება: მიმღეობიანი და მიმღეობის გარეშე. **მიმღეობიან აბსოლუტურ კონსტრუქციებში** სახეზე გვაქვს ზმნური პრედიკატის მხოლოდ დეეერბალიზაცია-ნომინალიზაცია, რის შედეგადაც ზმნის პირიანი ფორმით გამოხატული შემასმენელი კარგავს პრედიკატულობის გრამატიკულ კატეგორიას, თუმცა მიმღეობა ინარჩუნებს ლოგიკური პრედიკატის ფუნქციას და ლექსიკურ-სემანტიკურ მნიშვნელობას, რაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას. **მიმღეობის გარეშე აბსოლუტურ კონსტრუქციებში** კი სახეზე გვაქვს პრედიკატული წევრის სრული იმპლიციერება. კვლევამ გვიჩვენა, რომ ასეთ იმპლიციერებას ინგლისურ ენაში ექვემდებარება მხოლოდ ორი ზმნა – **be** და **have**, რომლებიც პროპოზიციის არგუმენტულ წევრებს შორის მხოლოდ რელაციურ მიმართებებს ამყარებენ რაიმე დამახასიათებელი ნიშნის გარეშე, რის გამოც ისინი ურთიერთჩანაცვლებადნი არიან.

6. ნაშრომში აბსოლუტური კონსტრუქციის /კონსტრუქციების შემცველ მარტივ წინადადებას განვიხილავთ რო-

წინადადების სინტაქსურ სინონიმად. თავად სინტაქსურ სინონიმიას კი ვაფუძნებთ კომუნიკაციურ-ფუნქციურ გაგებაზე, რამდენადაც მას ვუკავშირებთ მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას და სტრატეგიულ კომპეტენციას, რომლის არსიც მდგომარეობს მეტყველი სუბიექტის უნარში თავისი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის საშუალებები, რომლებიც ოპტიმალურად შეასრულებს მისი კომუნიკაციური ინტენციის განხორციელების ფუნქციას. შესაბამისად, **სინტაქსურ სინონიმებად მიგიჩნევთ სინტაქსური დონის ისეთ ერთეულებს, რომლებსაც საერთო პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაცია და ფუნქციური დანიშნულება, მაგრამ განსხვავებული სუბიექტური მოდალობა და გრამატიკული სტრუქტურა აქვთ, რის გამოც ისინი ერთი სემანტიკური ინვარიანტის სინტაქსურ ვარიანტებად განიხილება.**

7. სინონიმური მიმართებები რთულ წინადადებასა და აბსოლუტური კონსტრუქციების შემცველ მარტივ წინადადებებს შორის დასაბუთებულია შემდეგი არგუმენტაციით:

ა) ორივე სინონიმიური წყვილი იდენტური პოლიპროპოზიციული სტრუქტურის მქონეა, რამდენადაც ორივე მათგანში ასახვას ჰპოვებს (ნომინირებულია) ორი ან მეტი ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება. მათგან, აბსოლუტური კონსტრუქცია წარმოადგენს ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად ფორმირებულ სინტაქსურ ტრანსფორმს, რომელიც, კარგავს რა პრედიკატულობის კატეგორიას (ანუ ქვემდებარულ-შემასმენლურ გაფორმებას), ერწყმის მეორეს, როგორც მეორადი პრედიკატულობის შემცველი პროპოზიციული სტრუქტურა, რაც განაპირობებს კიდეც ამ ტიპის წინადადების სინტაქსურ-სემანტიკურ ასიმეტრიულობას;

ბ) ორივეს შეუძლია გადმოსცეს ობიექტური რეალობის მოვლენებს შორის არსებული დროითი, მიზეზშედეგობრივი, პირობითი და ა. შ. მიმართებები;

გ) ორივე შეიძლება ჩაითვალოს ერთი სემანტიკური ინვარიანტის სამეტყველო ვარიანტებად: აბსოლუტური კონსტრუქციის შემცველ მარტივ წინადადებას სინტაქსური სინონიმური ოპოზიციის პრაგმატიკულად და სტილისტურად მარკირებულ წევრად განვიხილავთ, მაშინ როდესაც რთული წინადადება არამარკირებულ წევრად მოიაზრება.

სინტაქსური სინონიმები, მიუხედავად მათი სემანტიკური იდენტობისა, მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. მათი არა ნარტო გრამატიკული, არამედ განსხვავებული პრაგმატიკული და სტილისტური შეფერილობა განაპირობებს მოცემული წყვილიდან იმ სინონიმის არჩევას, რომელიც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის რეალიზებას ტექსტში, რის გამოც ამ ტიპის არჩევანის გაკეთებას ნაშრომში განვიხილავთ ავტორის კომუნიკაციური სტრატეგიის გამოვლინებად.

თავი II

აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკური ტიპოლოგია ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში

§1. აბსოლუტურ კონსტრუქციათა სემანტიკური კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი

პირველ თავში ჩვენ უკვე დავაზუსტეთ, რომ აბსოლუტური კონსტრუქცია წარმოადგენს ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტს, რომელშიც ზმნის პირიანი ფორმით გამოხატულ შემასმენელს დაკარგული აქვს პრედიკატულობის კატეგორია და მასთან ერთად პრედიკატულობის კომუნიკაციური ავტონომიურობა, ანუ ინფორმაციის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, თუმც თავად კონსტრუქცია ინარჩუნებს პროპოზიციის სუბიექტურ-პრედიკატულ სტრუქტურას თავისი ინტონაციური გაფორმებით. ამით აბსოლუტური კონსტრუქციები ენობრივ ნიშანთა იერარქიულ სისტემაში ერთი საფეხურით დაბლა იწევენ და შუალედურ ადგილს იკავებენ წინადადების და სიტყვათშეთანხმების დონეებს შორის.

ჩვენ, ასევე, განვიხილეთ და დავაზუსტეთ პროპოზიციის ცნებითი შინაარსი, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის ან ხდომილების აბსტრაჰირებულ, აზრობრივ სტრუქტურას. ამავდროულად, ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ პროპოზიცია ის სემანტიკური კონსტანტაა, რომელიც დამოუკიდებელია როგორც მოდალური, შეფასებითი და ემოციური ასპექტებისაგან, ასევე, წინადადების ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, რომლებიც წარმოადგენს ნომინალიზაცია. რამდენადაც პროპოზიცია სამყაროსეულ ხდომილებას ან სიტუაციას ასახავს თავის სტრუქტურაში, იმდენად იგი მოიცავს რეფერენციის და პრედიკაციის აქტების ერთობლიობას. მათგან, რეფერენ-

ცია გულისხმობს ამა თუ იმ ენობრივი ერთეულით მსჯელობის საგნის გამოყოფას, მაშინ როდესაც პრედიკაცია ითვალისწინებს მისთვის გარკვეული ნიშან-თვისების მიწერას (კოლშანსკი 1984: 35-38).

პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად წინამდებარე მონოგრაფიაში აღებული გვაქვს ფილმორის მიერ შემუშავებული სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტული მიდგომა, რომლის თანახმადაც, პროპოზიცია შედგება პრედიკატული ბირთვისა და მისი არგუმენტებისგან. თითოეული არგუმენტი ხასიათდება მისი აზრობრივი, სემანტიკური როლით პრედიკატთან მიმართებაში, ანუ მისი „სილრმისეული ბრუნვის" მიხედვით, ხოლო პრედიკატის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სემური შედგენილობით, რაც განაპირობებს მის უნარს, მიიერთოს გარკვეული არგუმენტები (ფილმორი 1968). აქვე გვინდა დავაზუსტოთ, რომ მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება ის ცნებითი შინაარსი, რომელზედაც მიუთითებს ნიშანი და რომელიც დაფიქსირებულია მოცემული ნიშნის მიღმა ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში. სიტყვის მნიშვნელობა რამდენიმე სემის ერთობლიობისგან იქმნება, სემა კი არის ცალკეული ნიშან-თვისების ამსახველი მინიმალური სემანტიკური ერთეული (სოლნცევი 1977).

ფილმორის „სილრმისეულ ბრუნვათა" თეორიის მთავარი მიზანი იყო, შექმნილიყო სემანტიკური როლების იმგვარი სისტემა, რომელიც რელევანტური იქნებოდა ნებისმიერი ეჭ სტრალინგვისტური სიტუაციის აღსაწერად. ბუნებრივია, რომ პირველი ამგვარი ტაქსონომია შემოთავაზებულ იქნა თავად ფილმორის მიერ. ეს ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ სემანტიკურ როლებს (ფილმორი 1968: 24-25):

1. აგენტი (A) — არგუმენტი ანუ ბრუნვა, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს:
John is opening the door.

The wind rattled the windows.

2. **ინსტრუმენტატივი (I)** უსულო ძალა ან საგანი, რომლის საშუალებითაც ხდება მოქმედება:
   John is opening the door with **a hatchet.**
   The wind is opening the door.

3. **დატივი (D)** პირი, რომელიც განიცდის მოქმედებას ან იმყოფება ამა თუ იმ მდგომარეობაში:
   John is painting his **wife.**
   John is eager to paint his wife.

4. **ფაქტიტივი (F)** საგანი ან არსება, წარმოქმნილი მოქმედების შედეგად:
   John has built **a house.**

5. **ობიექტივი (O)** საგანი, რომელსაც ეხება მოქმედება:
   John is writing **a letter.**

6. **ლოკატივი (L)** მოქმედების ადგილი:
   John is driving **in the street.**

ფილმორის „სიღრმისეულ ბრუნვათა“ სისტემა და მის მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რაზეც ხაზგასმით იქნა ყურადღება გამახვილებული შემდგომი პერიოდის გამოკვლევებში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რელევანტურად მიგვაჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტის განხილვა:

ა) თუ გავითვალისწინებთ, რომ *აგენტივი (აგენსი)* ტრადიციულ განსაზღვრებებში განიხილება როგორც *სულიერი არსება,* რომელიც წინასწარგანზრახვით ახორციელებს ან იწვევს მოქმედებას, გაურკვეველი რჩება ზოგიერთი ისეთი არგუმენტის როლი, რომლებიც ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს აგენსს. მაგალითისათვის ავიღოთ წინადადება: „**The wind** rattled the windows.“ აქ სუბიექტი გამოხატულია უსულო არსებითი სახელით, რის გამოც ფილმორი მას ინსტრუმენტალურ როლს მიაწერდა.

კრუზი (კრუზი 2000) ამ გადაწყვეტილებას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. იგი საუბრობს ახალ სემანტიკურ როლზე – ძალაზე [force], რომელიც შეიძლება გამოეყოს აგენსს.

ბ) ეჭვს ბადებს არგუმენტ-ინსტრუმენტატივის განმარტებაც და შესაბამისად, გაუმართლებლად მიგვაჩნია „ქარის“ განხილვა ამ როლში შემდეგ წინადადებაში:

The wind is opening the door.

გ) ინსტრუმენტალური როლი ტრადიციულად გულისხმობს უსულო საგანს, რომლის საშუალებითაც სრულდება მოქმედება. თუმცა კვლავ არსებობს შუალედური შემთხვევები, როცა არგუმენტის როლი ძალიან ჰგავს ინსტრუმენტატივს, თუმცა სინამდვილეში წარმოადგენს სულიერ არსებას. მაგალითად, *sniffer dogs* შემდეგ წინადადებაში:

The police used **sniffer dogs** to locate the drugs.

დ) წინააღმდეგობრივია, ასევე, დატივის ცნებითი შინაარსიც, რომლის შესაბამისადაც ერთ რანგშია განხილული როგორც პირი, რომელიც განიცდის მოქმედებას (John is painting his **wife**), ასევე რაიმე ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში მყოფი პირი (**John** is eager to paint his wife. **Mother** was glad to see us.).

„სიღრმისეულ ბრუნვათა“ სისტემა დენოტაციურ პრინციპზეა დაფუძნებული, თუმცა სემანტიკური როლების რაოდენობის განმსაზღვრელი პრინციპები საკმაოდ სუბიექტურია, რადგანაც ის დამოკიდებულია დანაწევრების ხარისხზე. მკვლევართა მოსაზრებები მკვეთრად განსხვავდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლები უნდა გამოიყოს, ან რამდენი როლის გამოყოფაა შესაძლებელი. როგორც კროფტი აღნიშნავს, სემანტიკური როლების თეორიათა დიდი ნაწილი ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებობს ამგვარი როლების სას-

რული და საკმაოდ მცირე რაოდენობა (კროფტი 1991: 156), თუმცა შეთანხმება მათ რაოდენობასთან და რაობასთან დაკავშირებით ჯერ არა არის მიღწეული. მაგალითად, ანდერსონი გვთავაზობს მხოლოდ სამი სემანტიკური როლისაგან შემდგარ ჩამონათვალს – წყარო, ლოკაცია და მიზანი, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ როლს ამ სამი ძირითად როლის დერივატად განიხილავს (ანდერსონი 1971). მეორე მხრივ, პოლარდი და საგი თითოეულ ზმნას მიაწერენ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ როლებს, რის გამოც სხვადასხვა ზმნას განსხვავებული არგუმენტული კონფიგურაცია გააჩნია (პოლარდი, სეგი 1994). მაგალითად, ზმნა *love* თავისი არგუმენტებისაგან მოითხოვს ორ სემანტიკურ როლს: *lover* და *lovee*. ამ შემთხვევაში განუზომლად იზრდება სემანტიკური როლების რიცხვი და ამასთან, იკარგება განზოგადებული სემანტიკური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა, რაც აკნინებს ამ ცნების (ანუ, სემანტიკური როლის) ლინგვისტურ ღირებულებას.

სემანტიკური როლების არსებულ ტაქსონომიებს უკავშირდება, ასევე, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია როლთა დანაწევრების ხარისხთან (დაუთის ტერმინოლოგიით – „როლთა ფრაგმენტაცია“ (დაუთი 1991: 553). ამ თვალსაზრისით საინტერესოა თუნდაც აგენსის როლის მაგალითის განხილვა. ამ როლში ჯეკენდოფი (ჯეკენდოფი 1983) განიხილავს აგენსს [Agent] და მოქმედს [Actor]; ვან ვალინი (ვან ვალინი 1990) გამიჯნავს აგენტს და ზემოქმედს [effector]; კრუზი (კრუზი 1973) საუბრობს ნებელობით [volitive], ზემოქმედებით [effective], ინიციატორულ [initiative] და აგენტურ [agentive] როლებზე; ლაკოფი (ლაკოფი 1977) კი თოთხმეტ სხვადასხვა ელემენტს განიხილავს.

ბრუნვათა ლოგიკურ-ცნებითი ასპექტის განხილვის ტენდენცია, ძირითადად, ანგლისტებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა სემანტიკური როლების თეორია საკმაო პოპულარულობით სარგებლობს ფლექსიური ენების კვლევების

დროსაც, რომლებშიც არსებითი სახელის ბრუნვის გრამატიკული კატეგორია მრავალწევრიანი მორფოლოგიური პარადიგმით არის წარმოდგენილი (ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც რუსი ლინგვისტების შრომები: ალისოვა 1970; გაკი 1972, აპრესიანი 1973; ბოგდანოვი 1978; სუსოვი 1983).

სიღრმისეულ ბრუნვათა, ანუ სემანტიკური როლების სისტემამ მცირედი კონცეპტუალური ცვლილებები განიცადა. ზემოხსენებულ ნაშრომთა კრიტიკული განზოგადოების შედეგად, გთავაზობთ არგუმენტთა ჩამონათვალს, რომელიც ძირითადად ეფუძნება აართსის მიერ შემუშავებულ ტაქსონომიას (აართსი 2001: 94-95). ჩვენი აზრით, მასში გათვალისწინებულია სიღრმისეულ ბრუნვათა სხვა ანალოგიური სისტემების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შერჩეული არგუმენტთა სისტემა საკმაოდ მოქნილია აბსოლუტურ კონსტრუქციათა სემანტიკური ასპექტის კვლევის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ინგლისური ენის საშუალებით ექსტრალინგვისტური რეალიების აღწერას. ამრიგად, ნაშრომში გამოყენებული სიღრმისეულ ბრუნვათა პარადიგმა ცხრა არგუმენტული წევრით არის წარმოდგენილი. ეს არგუმენტებია:

1. **აგენსი** — არგუმენტი, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს: **Nick** is working in the garden
2. **ექსპერიენსერი** — არგუმენტი, რომელიც რაიმე ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში მყოფ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს: **The girl** felt so miserable she couldn't help crying.
3. **პაციენსი** — არგუმენტი, რომელიც იმ ცოცხალ არსება-ზე მიუთითებს, რომლისკენაც მოქმედება არის ორიენტირებული ან ურთიერთობის ადრესატს წარმოაგენს: He

painted his **wife** in nude.

4. **ელემენტივი** არგუმენტი, რომელიც მოქმედების ან პროცესის უსულო განმახორციელებელზე მიუთითებს. ჩვეულებრივად, ელემენტივის რეფერენტებს წარმოადგენს ბუნებრივი ძალები და მოვლენები, ციური სხეულები და ა.შ.
The wind upset the boat.
The sun was shining brightly.

5. **ობიექტივი** არგუმენტი, რომელიც იმ უსულო საგანზე მიუთითებს, რომლის მიმართაც ხორციელდება მოქმედება: Mother has planted some **flowers** in front of the house.

6. **ინსტრუმენტატივი** არგუმენტი, რომელიც აგენსის მიერ რაიმე ქმედების განხორციელების მიზნით გამოყენებულ საგანზე მიუთითებს:
He opened the door **with his key.**

7. **ბენეფიციარი** არგუმენტი, რომელიც იმ პირზე მიუთითებს, ვის სასარგებლოდაც რაიმე ქმედება ხორციელდება:
Mother is cooking dinner **for granny.**

8. **რეციპიენტი** არგუმენტი, რომელიც მიუთითებს რაიმის მიმღებ ადამიანზე ან ე. წ. კვაზისულიერ . ერთეულზე (მაგ. ორგანიზაცია, დაწესებულება და სხვ.):
John was sent a letter.
The University has received an important donation.

9. **ლოკატივი** მოქმედების ადგილი ან მისი სივრცული ორიენტაცია:
He sent his son **to London.**

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროპოზიციის ცენტრალურ მაორგანიზებელ კომპონენტად მივიჩნევთ პრე-

დიკატს, რომლის სემანტიკაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას, რომელშიც პრედიკატსა და არგუმენტს/არგუმენტებს შორის არსებული ოთხი ძირითადი ტიპის ლოგიკური ურთიერთმიმართებები აისახება. ესენია: მოქმედების ანუ აქციონალობის, პროცესუალობის, მდგომარეობის და თვისებრიობის მიმართებები.

როგორც ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციებს განვიხილავთ ლინგვოპრაგმატიკულ ჭრილში, როგორც სამყაროს სუბიექტური აღქმის შედეგად ფორმირებულ ვერბალურ კონსტრუქტებს, მათი ნომინაციური ასპექტი მაინც ექვემდებარება განზოგადებას და სისტემატიზაციას. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული კვლევის მეთოდოლოგია და კონცეპტუალური აპარატი შესაძლებელს ხდის მოვახდინოთ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის, ანუ მისი პროპოზიციული სემანტიკის განზოგადება.

კვლევის შედგად დადგინდა, რომ გარკვეული ტიპის ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციები ასახვას ჰპოვებს აბსოლუტურ კონსტრუქციათა გარკვეული ტიპის ლოგიკურ-სემანტიკურ კონსტრუქციებში. ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ეს კონსტრუქციები გამოიყენება ძირითადად მახასიათებლური ანუ თვისობრივი სიტუაციების და ხდომილებების აღსანიშნავად. შესაბამისად, გამოვყოფთ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ორ ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპს:

1. მახასიათებლურ კონსტრუქციებს;
2. ხდომილებრივ კონსტრუქციებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავი ორი ნაწილისაგან შედგება. მათგან პირველი ეძღვნება მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების ნომინაციური ასპექტის კვლევას და მათ შემდგომ დიფერენცირებას ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპებად და ქვეტიპებად; ხოლო მეორე ნაწილი კი დათმობილი აქვს ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციების კვლევას.

ნაწილი I

მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპები

§1. წინასწარი შენიშვნები

მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები თავისი სემანტიკით ახდენენ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული რომელიმე არგუმენტული წევრის კვალიფიცირებას სხვადასხვა ნიშნით, რის შედეგადაც მათ შორის მყარდება სუბიექტურ-პრედიკატული თვისებრივი ლოგიკური ურთიერთობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციის შინაარსი წარმოადგენს წინადადების ბირთვულ ნაწილში მოცემული მსჯელობის საგნის თვისებრივ დახასიათებას.

ემპირიული მასალის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციებით მსჯელობის საგნის დახასიათება ხორციელდება ძირითადად გარეგნული ნიშნების და მისი შინაგანი მდგომარეობის მისედვით. შესაბამისად, გამოვყოფთ მახასიათებლურ კონსტრუქციათა ორ ტიპს: ექსტენსიონალურს და ინტენსიონალურს. ეს ორი ტერმინი ნასესხები გვაქვს ლოგიკიდან, სადაც ისინი ფიზიკური საგნობრივი სამყაროს და მისი შემეცნების ლოგიკით განპირობებულ ბინარულ ცნებით ოპოზიციას ქმნიან. მათგან „ექსტენსიონალის“ ცნება რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების ასახვას გულისხმობს მათი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით; ხოლო „ინტენსიონალის“ ცნება ამავე საგნების შინაგან მდგომარეობაზე მიუთითებს. ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება იგივე ტერმინები ენობრივი კონსტრუქტების

განხილვისას (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990: 175; კონდაკოვი 1975: 127, 405).

ჩვენ მიერ გამოყოფილი ექსტენსიონალური და ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციებიც ამ მიდგომას ეფუძნება. კვლევამ გვიჩვენა, რომ თავის მხრივ, მახასიათებლურ კონსტრუქციათა ზემოხსენებული ლოგიკურ-სემანტიკური ტიპებიც შემდგომ დიფერენცირებას ექვემდებარება, რასაც ქვემოთ განვიხილავთ დეტალურად.

§2. ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციების სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები

ექსტენსიონალური მახასიათებლური კონსტრუქციების საშუალებით ხდება მსჯელობის, ანუ რეფერენტული საგნის თვისებრივი დახასიათება გარეგნული ნიშნების მიხედვით. ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ გარეგნული ნიშნების მიხედვით მსჯელობის საგნის თვისებრივი დახასიათება შეიძლება განხორციელდეს მისი ლოკაციური ან დესკრიფციული დეტერმინაციით. შესაბამისად, გამოვყოფთ ექსტენსიონალურ მახასიათებლურ კონსტრუქციათა ორ ტიპს: ლოკაციურს და დესკრიფციულს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის ლოკაციური დეტერმინაციით

ამ ტიპის აბსოლუტურ კონსტრუქციებში განხორციელებულია წინადადების ქვემდებარეთ ან დამატებით აღნიშნული ექსტრალინგვისტური რეფერენტული საგნის ლოკაციური დეტერმინაცია. მაგალითად:

1. James, **sitting back with his hands clasped over the handle of his umbrella,** was brooding on the end of the bench.

(გოლსუორთი 974: 278)

2. I liked sitting there, **with my head against the sofa back.**

(მორიერი 1995: 431)

3. She saw Ashley sitting at the desk, **his chin on his hand.**

(მიჩელი 1995: 315)

4. He followed morosely at Beauty Smith's heels, **his tail between his legs.**

(ლონდონი 1978: 212)

5. He staggered away from me, **his hands to his throat.**

(ბრეინი 1981: 254)

საილუსტრაციოდ მოყვანილ ყველა მაგალითში ფიგურირებს მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც ხდება მსჯელობის საგნის მდგომარეობის დეტერმინაცია, უფრო ზუსტად კი „გეომეტრიული დაზუსტება", სივრცეში მის სხვა საგანთან/საგნებთან ან თავის თავთან მიმართებაში. პირველ ორ მაგალითში მოცემულია მსჯელობის საგნის ლოკაციური დახასიათება მის სხვა საგანთან მიმართებაში. კერძოდ, პირველ წინადადებაში აღწერილია სიტუაცია, თუ როგორ იჯდა ჯეიმსი საკუთარი ქოლგის ტარზე ხელებშემოჭდობილი („with his hands clasped over the handle of his umbrella"). ხოლო მეორე მაგალითში საუბარია იმაზე, თუ როგორ უყვარდა რომანის მთავარ მოქმედ პირს, რებეკას, დივნის საზურგეზე თავმიყრდნობილი ჯდომა ერთ კონკრეტულ ადგილას („with my head against the sofa back"). შემდეგ სამ მაგალითში კი მსჯელობის საგნის მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტება" სივრცეში განხორციელებულია უკვე საკუთარ თავთან მიმართებაში სხეულის სხვადასხვა ნაწილების ლოკაციური დეტერმინაციით: „his chin on his hand"; „his tail between his legs"; „his hands to his throat".

ლოკაციურ აბსოლუტური კონსტრუქციების სემანტიკურ სტრუქტურაში მსჯელობის საგანი წარმოდგენილია ე.წ. „არ-

გუმენტ-პარტიტივით", რომელიც სხეულის რომელიმე ნაწილის აღმნიშვნელი სახელით არის ენობრივად გაფორმებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სემანტიკური სუბიექტის ე.წ. დანაწევრებულ ანუ „გახლეჩილ" აღნიშვნასთან. იგი მთელისა და ნაწილის ლოგიკურ-სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება. ინგლისელი მკვლევარი ჯონ ლაიონზი ამ ურთიერთობებს „part-whole relations"-ს უწოდებს და მას გამოიყენებს შედგენილი სემანტიკური სუბიექტის აღსანიშნავად (ლაიონზი 1977: 311- 317). სუბიექტის დანაწევრებული აღნიშვნის ლინგვისტურ თავისებურებას წარმოადგენს მისი ფუნქციურ-სემანტიკური სინკრეტულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მთელით" წარმოდგენილი სემანტიკური სუბიექტი ყოველთვის არგუმენტ-აგენსის ან პაციენსის ფუნქციას ასრულებს, ხოლო „ნაწილი" კი ყოველთვის არგუმენტ-ობიექტივად მოიაზრება. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებშიც „მთელით" წარმოდგენილია არგუმენტ-აგენსი, რომელიც, ამავდროულად, წინადადების ქვემდებარეა, ხოლო „ნაწილი", ანუ არგუმენტ-პარტიტივი, რომელიც ლოკაციურ აბსოლუტურ კონსტრუქციაში ფიგურირებს, ფუნქციურ-სემანტიკურად სინკრეტულია, რადგანაც კონსტრუქციის შიგნით იგი სემანტიკურ სუბიექტზე მიუთითებს, მაშინ როდესაც კონსტრუქციის გარეთ, არგუმენტ-აგენსთან მიმართებაში, იგი უკვე ობიექტივად მოიაზრება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ლოკაციურ აბსოლუტურ კონსტრუქციაში აქცენტი კეთდება მსჯელობის საგნის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ურთიერთმიმართებაზე, პროპოზიციის ორივე არგუმენტული წევრი პარტიტივით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

1. He found her seated on a chair before her dressing glass, **with her hands before <u>her face.</u>**
(გოლზუორთი 1974: 162)

2. Then he watched the hairy man sleeping by the fire, **head between <u>his knees.</u>**
(ლონდონი 1978: 83)

ხოლო, როდესაც რეფერენტული საგნის დეტერმინაცია ხდება სხვა საგანთან მიმართებაში, ლოკაციური აბსოლუტური კონსტრუქციების სემანტიკურ სტრუქტურაში მეორე არგუმენტული ადგილი შევსებულია უკვე არგუმენტ-პაციენსით ან ობიექტივით.

პაციენსი:

1. He stopped short, **his arm outstretched to Suellen.**
(მიჩელი 1995: 84)

ობიექტივი:

2. June stood at the fireplace, **with a foot on the fender** and **an arm on the mantelpiece.**
(გოლზუორთი 1874: 135)

რაც შეეხება პრედიკატულ წევრს, ყველა ტიპის ლოკაციურ ადვერბიალურ კონსტრუქციაში იგი სემანტიკურად რელაციურია და ბივალენტური (ანუ ორადგილიანი), რადგანაც საგნებს შორის ურთიერთმიმართებებს აღნიშნავს.

ემპირიული მასალის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო ლოკაციურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა კიდევ ერთი ტიპი, რომელიც სტრუქტურულ-სემანტიკური შედგენილობით სრულიად განსხვავდება უკვე განხილული ტიპებისაგან. ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციის საშუალებით ხდება მსჯელობის საგნის მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტება" სივრცეში სხვა ორიენტირთან შეპირისპირების გარეშე. მაგალითად:

1. He started slowly up the hill, **his angular knees and high shoulders bent complainingly.**
(გოლზუორთი 1974: 152)
2. She walked to the long pier glass and looked at herself, **her head held high.**
(მიჩელი 1995: 451)

ამ ტიპის ლოკაციური აბსოლუტური კონსტრუქციების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოდგენილია ორკომპონენტიანი პროპოზიციული სტრუქტურით, რომელშიც მხოლოდ „გახლეჩილი"

სემანტიკური სუბიექტის აღმნიშვნელი არგუმენტ-პარტიტივი და პრედიკატი ფიგურირებს. სხვა ტიპის კონსტრუქციებისგან განსხვავებით, პრედიკატს აქ თავისი საგნობრივი ანუ სიგნიფიკატური (ცნებითი) მნიშვნელობა აქვს, რის გამოც მისი იმპლიცირება დაუშვებელია.

ზოგჯერ ლოკაციური დეტერმინაცია განხორციელებულია პრედიკატული ფრაზით: **to be / to have + ადგილის ზმნიზედა**, რომელთა ზედაპირულ სტრუქტურაშიც პრედიკატული წევრი იმპლიცირებულია:

1. His great chest was low to the ground, **his head forward and down.**

(ლონდონი 1978: 76)

2. Thornton came to, **belly downward.**

(ლონდონი 1978: 76)

3. He was a small emaciated animal and he stood **with his head dispiritedly low.**

(მიჩელი 1995: 318)

4. They moved forward trying to photograph a herd of waterbucks standing, **their heads up.**

(ჰემინგუეი 1978: 235)

5. The team toiled all day, **with a heavy sled behind.**

(ლონდონი 1978: 9)

ამრიგად, ლოკაციური აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით ხდება წინადადების ქვემდებარული ან დამატებითი წევრის ექსტრალინგვისტური რეფერენტული საგნის დახასიათება მისი მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტებით“ სივრცეში. რეფერენტული სიტუაციიდან გამომდინარე, თანამედროვე ინგლისურ ენაში ლოკაციური კონსტრუქციების ორი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი გამოვყავით:

ა) სამკომპონენტიანი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მსჯელობის საგნის დეტერმინაცია მისი სხეულის რომელიმე ნაწილის სხვა ნაწილთან ან სხვა საგანთან (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მიმართებაში;

ბ) ორკომპონენტიანი, რომელიც მსჯელობის საგნის თვისობრივ დახასიათებას ახდენს მისი სხეულის რომელიმე ნაწილის ლოკაციური დეტერმინაციით სხვა ორიენტირთან შეპირისპირების გარეშე.

ბ) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის დესკრიფციული დეტერმინაციით

დესკრიფციული აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით ხდება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის აღწერა მისი გარეგნული მონაცემების მიხედვით. იმ კონსტრუქციების ანალიზი, რომლებშიც აქცენტი კეთდება მსჯელობის საგნის გარეგნულ მონაცემებზე გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ ტიპის სემანტიკური ინფორმაციის გადმოსაცემად გამოიყენება დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ორი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი:

ა) კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით;

ბ) კონსტრუქციები თვისობრივი პრედიკაციით.

დესკრიფციული აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით

დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საერთო სემანტიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ ისინი მსჯელობის საგნის გარეგნობას აღწერენ როგორც მისი იერ-სახის, ისე მისი ქცევის ან ჩაცმის მანერაზე მინიშნებით. სწორედ ეს ნიშან-თვისებები წარმოადგენენ იმ პარამეტრებს, რომლებსაც ეფუძნება დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა შემდგომი სემანტიკური დიფერენცირება.

დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა პირველი ტიპი აქციონალურ-პროცესუალურ პრედიკაციას ეფუძნება. მისი სუბიექტური წევრი გამოხატულია არგუმენტ-პარტიტი-

ვით, რომელიც წესისამებრ სინკრეტულია, ასრულებს რა ერთდროულად შედგენილი სემანტიკური სუბიექტის და ობიექტივის ფუნქციებს:

1. By late afternoon he came he came up the trail, **his tawny hair blowing in the breeze.**

(სთოუნი 1998: 416)

2. The ladies sewed while Archie lay full length on the parlor sofa snoring, **his grey whiskers fluttering at each rumble.**

(მიჩელი 1995: 628)

კონსტრუქციის პრედიკატული წევრი აქციონალური ან პროცესუალური შინაარსისაა, რაც ზედაპირულ სტრუქტურაში შესაბამისად წარმოდგენილია აწმყო მიმღეობის ფორმით. ამ პრედიკატთა სემანტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქციონალობაში ხშირად იმპლიცირდება მოქმედების მიზეზშედეგობრივი მნიშვნელობა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ტიპის დესკრიფციულ კონსტრუქციებში სუბიექტური წევრი ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია ექსტრალინგვისტური რეფერენტული საგნის (სულიერის თუ უსულოს) იერსახის შემქმნელი ატრიბუტების აღმნიშვნელი სახელებით – hair, whiskers, curls, beard და ა.შ., რომელთა მოძრაობაში მოყვანაც კაუზალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ზემომოყვანილ პირველ მაგალითში, დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციაში – „his tawny hair blowing in the breeze" – თმა მოძრაობაში მოდის სიოს ზემოქმედების შედეგად, რაც კონსტრუქციის სემანტიკურ სტრუქტურაში წარმოდგენილია არგუმენტ-ელემენტივით („breeze"), რომელიც მოქმედების განმახორციელებელ ბუნებრივ ძალაზე მიუთითებს. მეორე მაგალითში – „his grey whiskers fluttering at each rumble" – აბსოლუტური კონსტრუქციით გამოხატული მოქმედების კაუზალობა იმპლიცირებულია პრედიკატულ სახელში „rumble", რომელიც ამ სიტუაციაში

მეტაფორულად გამოიყენება ხმაურით ამოსუნთქვის აღსანიშნავად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პრედიკატით გამოხატული მოქმედების კაუზალობა მოცემულია არა კონსტრუქციის შიგნით, არამედ მის გარეთ, წინადადების ქვემდებარულ-პრედიკატულ ბირთვში. მაგალითად:

1. She came on with a rush, **her crisp curls jerking.**
(ფიჯერალდი 1990: 96)

2. The big horse reached the fence, gathered himself and soared over as effortlessly as a bird, **his white curls jerking out behind him.**
(მიჩელი 1995: 28-29)

3. She fled to the house, **her hair streaming after her.**
(სთოუნი 1998: 204)

იშვიათად გვხვდება ისეთი მაგალითები, როდესაც ამ ტიპის დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციებში არგუმენტული ადგილი შევსებულია ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი სახელით „body", რომელიც მოკლებულია ადამიანისათვის დამახასიათებელ ფსიქო-ემოციურ და სულიერ თვისებებს და ფიზიკურ საგნად უფრო აღიქმება. მაგალითად:

1. He came swiftly across the room to the bed, **his big body swinging lightly and noiselessly as a cat's.**
(მიჩელი 1995: 674)

2. In the morning he came up the trail, **his slender body swinging along jerkily.**
(სთოუნი 1998: 416)

ემპირიული ენობრივი მასალა ასევე ცხადყოფს, რომ ზოგჯერ აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციის მქონე დესკრიფციული აბსოლუტური კონსტრუქციები მსჯელობის საგნის გარეგნობას აღწერენ არა მის იერსახეზე ან ქცევის მანერაზე მინიშნებით, არამედ მისი სამოსის მიხედვით, რომლის ენობრივი გაფორმების დიაპაზონიც საკმაოდ ფართოა. მაგალითად:

1. Scarlett stood on the lower step of the train, **her crepe veil fluttering almost to her heels.**
(მიჩელი 1995: 122)
2. She sped gasping up the long hill, **her wet skirts wrapping coldly about her ankles.**
(მიჩელი 1995: 849)
3. She paced the floor in her bare feet, **her night-gown clinging to her legs.**
(სთოუნი 1998: 290)
4. He was sunken in his chair, **his suit wrinkling untidily against his thickening waist.**
(სთოუნი 1998: 416)

ილუსტრირებული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის კონსტრუქციებში აქციონალური პრედიკატი, როგორც წესი, ორადგილიანია. პირველი არგუმენტული ადგილი შევსებულია არგუმენტ-ობიექტივით, რომელიც ზედაპირულ დონეზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჩასაცმელის აღმნიშვნელი არსებითი სახელებით (veil, skirts, night-gown, suit). ამ სიტუაციაში სემანტიკურად განმსაზღვრელია ის ფაქტორი, რომ ჩვეულებრივად ეს სახელები აქტუალიზდება მსჯელობის საგნის მაიდენტიფიცირებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელით, რითაც ხაზი ესმება აბსოლუტური კონსტრუქციის პრედიკატულ ანუ მახასიათებლურ ფუნქციას. მეორე არგუმენტული ადგილი კი პარტიტივით არის შევსებული, რომელიც სინკრეტულია, ასრულებს რა ამჯერად შედგენილი სემანტიკური სუბიექტის და, ამავდროულად, ლოკატივის ფუნქციას.

ამ ტიპის დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციებში ხორციელდება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის გარეგნული მონაცემების აღწერა თვისებრივი პრედიკაციით, რაც გულისხმობს იმას, რომ პროპოზიციის პრედიკატული წევრი სედაპირულ სტრუქტურაში წარმოდგენილია ზედსართავით ან ზედსართავის ფუნქციაში ტრანსპონირებული მიმღეობით.

მაგალითად:

1. Jessie wanted to rise when she saw him in the doorway, **his face bronzed.**
   (სთოუნი 1998: 56)
2. Her face was happy once again, **her skin smooth.**
   (სთოუნი 1998: 227)
3. Melanie lay in the bed, **her figure under the counterpane shrunken and flat.**
   (მიჩელი 1995: 839)
4. She withdrew her hand from his, sat up stiffly in her chair, **her slight body rigid.**
   (სთოუნი 1998: 38)
5. She lay in bed in her night-gown, **her slender body hideous and distorted.**
   (მიჩელი 1995: 291)

ენობრივი მასალის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თვისობრივი პრედიკაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ბინარული, ასევე სამკომპონენტიანი სტრუქტურით. ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი ორკომპონენტიანია, რადგანაც ისინი მხოლოდ არგუმენტ-პარტიტივს და მისი თვისობრიობის აღმნიშვნელ პრედიკატს მოიცავენ.

ორწევრიანისგან განსხვავებით, სამწევრიან სტრუქტურაში ყოველთვის ფიგურირებს ამ თვისობრიობის გამომწვევი

არგუმენტ-კაუზატივი, რომელიც უმთავრესად ექსპლიცირდება ნივთიერების აღმნიშვნელი ამა თუ იმ არსებითი სახელით. მაგალითად:

1. Lieutenant Beale came running, **his face already black with soot.**

(სთოუნი 1998: 313)

2. Melanie's curls were singed, **her face black with smut**.

(მიჩელი 1995: 391)

3. Beside Jessie sat her husband, thinner than she, **his cheeks sunken, his skin gray and blotched with stubble.**

(სთოუნი 1998: 313)

4. Archie sat on a stool by the hearth, **his cheek distended with tobacco he was chewing.**

(მიჩელი 1995: 391)

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში, მსჯელობის საგნის გარეგნობის აღწერა სწორედ სამკომპონენტიანი აბსოლუტური კონსტრუქციებით ხორციელდება: ისინი შეიცავენ როგორც თვისობრიობის პრედიკატს, ასევე ამ თვისებრიობის გამომწვევი ნივთიერების აღმნიშვნელ არგუმენტულ წევრს, რომელიც სინტაქსურ სტრუქტურაში წინდებულიან დამატებად გვევლინება. ეს ცხადად ჩანს ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მაგალითებშიც, რომლებშიც შესაბამისად ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ჰქონდა ლეიტენანტ ბილს სახე გაშავებული ქვანახშირის მტვრისაგან: „his face already black with soot" (1); მელანის კი სახე ჰქონდა გაშავებული მურისაგან: „her face black with smut" (2); ჯესის ქმარს სახის კანი ჰქონდა გაფერმკრთალებული და დამუწუკებული ნაწვერალისაგან: „his skin gray and blotched with stubble" (3); ხოლო არჩის კი ლოყა გამობერვოდა თამბაქოთი, რომელსაც ის ღეჭავდა: „his cheek distended with tobacco he was chewing" (4).

ემპირიული მასალის განზოგადება ცხადყოფს, რომ თვისებრივი პრედიკაციის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს მსჯელობის საგნის გარეგნობის აღწერა როგორც სხეულის და მისი ნაწილების, ასევე იერსახის შემქმნელ ისეთ ატრიბუტებზე მსჯელობით, როგორიცაა ყურები, თმა, ლოყები, წვერი და ა.შ.

მაგალითად:

with her hands looking smudgy (მიჩელი 1995: 510);

his ears red from the cold (მიჩელი 1995: 430);

her hair untidy (მიჩელი 1995: 85);

with hair growing gray (გოლზუორთი 1974: 57);

their red locks indecorous notes in the solemn occasion (მიჩელი 1995: 590);

his grey-shot beard untrimmed (სთოუნი 1998: 299).

იმის მიხედვით, თუ რა პარამეტრით ხდება მსჯელობის საგნის გარეგნობის აღწერა, თვისებრივი პრედიკაციის მქონე აბსოლუტური კონსტრუქციები იყოფა ორ ძირითად სემანტიკურ ტიპად:

ა) პირველ ტიპში ადამიანის აღწერა ხდება მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილისა და იერსახის შემქმნელი კომპონენტების მიხედვით, როგორც ეს წარმოდგენილი იყო ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მაგალითებში;

ბ) სემანტიკურად მეორე ტიპის დესკრიფციულ კონსტრუქციებში კი ადამიანის გარეგნობის აღწერა ხდება ირიბად, მისი ტანსაცმლის მიხედვით. შესაბამისად, პროპოზიციულ სტრუქტურაში სუბიექტური წევრი არგუმენტ-პარტიტივით კი არა, არამედ არგუმენტ-ობიექტივით არის წარმოდგენილი, რომელიც მსჯელობის საგნის მაიდენტიფიცირებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელით აქტუალიზდება. არგუმენტ-ობიექტივი ზედაპირულ სტრუქტურაში კვლავ სხვადასხვა სახის ტანსაცმლის ან აქსესუარე-

ბის აღმნიშვნელი არსებითი სახელებით ეჭ სპლიცირდება. მაგალითად:

1. Mr Lincoln was offended: offended at her coming to the White House in such a state, **her gown dusty with the soot of the train and the road.**

(სთოუნი 1998: 450)

2. Suellen lay on the bed, **her negligee heavy with tagging ends of Irish lace.**

(მიჩელი 1998: 347)

3. Finally, Mammy, coming down the front stairs, **her apron rumpled and spotted, her head rag awry,** saw him and scowled.

(მიჩელი 1998: 738)

4. Uneasily, amongst the green baize card-tables, Dartie sat biting his forefinger, **with his checked trousers crossed, and his patent-leather boots shining** through the gloom.

(გოლზუორთი 1974: 183)

დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა განხილვა შეიძლება დავამთავროთ შემდეგი დასკვნებით:

1. დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საერთო სემანტიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ის, რომ ისინი მსჯელობის საგნის გარეგნულ მონაცემებს აღწერენ როგორც მისი იერსახის, ისე მისი ქცევის ან ჩაცმის მანერაზე მინიშნებით. სწორედ ეს ნიშან-თვისებები წარმოადგენენ იმ პარამეტრებს, რომლებსაც ეფუძნება დესკრიფციულ აბსოლუტურ კონსტრუქციათა შემდგომი სემანტიკური დიფერენცირება.

2. თანამედროვე ინგლისურ ენაში დესკრიფციული აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოდგენილია ორი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელით:

ა) დესკრიფციული კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით, რომელიც ზე-

დაპირულად ყოველთვის სამკომპონენტიანი სტრუქტურით რეალიზდება;

ბ) დესკრიფციული აბსოლუტური კონსტრუქციები თვისობრივი პრედიკაციით, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ორ- ან სამკომპონენტიან სტრუქტურაში.

§3. ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები

ინტენსიონალურია ის აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის დახასიათებას ახდენენ მისი სულიერი სამყაროს ანუ შინაგანი მდგომარეობის („inner states") მიხედვით. მაგალითად:

1. She tiptoed across the room toward the quiet figure, **panic clutching at her heart.**
(Stone I., "Immortal Wife", p. 59)
2. The same look was on the faces of all the women as the song ended, **tears of pride on cheeks, pink or wrinkled, smiles on lips, a deep hot glow in eyes.**
(Mitchell M., "Gone with the Wind", p. 145)
3. He would hold steadily on up Cheapside, **a thought more of dogged purpose in his gaiet.**
(Galsworthy J., "The Man of Property", p. 79)

ლოგიკაში ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური და ემოციური სამყაროს აღმნიშვნელ ზმნებს ინტენსიონალურს უწოდებენ. ეს ის ზმნებია, რომლებიც სუბიექტში მიმდინარე პროცესებს აღნიშნავენ და მის შინაგან მდგომარეობაზე მიუთითებენ (Арутюнова 1976; Долгих 1970).

ი. ლურიემ[6] შეისწავლა ცნება „inner states“ („შინაგანი მდგომარეობა“) და სუბიექტის მდგომარეობა ორ ჯგუფად დაყო: გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობა („mental states“ და „physical states“). იგი შინაგანი მდგომარეობის ცნებას ორი მნიშვნელობით გამოიყენებს:

ა) პირველი მნიშვნელობით ეს ცნება ტერმინის „mental states“ ეკვივალენტურია და სუბიექტის იმ ფსიქიკურ, გარდამავალ და ცვლად მდგომარეობაზე მიუთითებს, რომელიც მხოლოდ დროის მოცემული მონაკვეთით შემოიფარგლება;

ბ) მეორე მნიშვნელობით კი, ტერმინი „inner states“ გამოიყენება სუბიექტის იმ ზოგადი მახასიათებლების (ბუნების, ხასიათის, სულიერი სიძლიერის ან სისუსტის და ა. შ.) აღსანიშნავად, რომლებიც მის ფსიქიკურ კონსტანტებს წარმოადგენს.

ინტენსიონალურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა სემანტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათში სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია არა არგუმენტ-აგენსით, არამედ ექსპერიენსერით, რომელიც ამა თუ იმ ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფ ან რაიმე სულიერი თვისების მატარებელ პიროვნებას აღნიშნავს პროპოზიციის სემანტიკურ სტრუქტურაში.

ენობრივი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში სუბიექტის შინაგანი, ფსიქიკური მდგომარეობის ნომინაციისათვის ძირითადად აბსოლუტურ კონსტრუქციათა სამი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი გამოიყენება, რის შესაბამისადაც გამოვყოფთ ინტენსიონალურ კონსტრუქციათა შემდეგ ქვეტიპებს:

---

[6] Lurie Y. Inner States. In: “Mind”, vol. LXXXVIII, No. 350, April 1989, pp. 241–257. ინტენსიონალობის შესახებ ენაში იხ. ასევე: კირვალიძე ნ., კობახიძე შ. მეტაფორული აზროვნება და ხატოვანი შედარებები. გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი, 2006, გვ. 72 – 88.

1. ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით;
2. ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით;
3. ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები ეგზისტენციონალური პრედიკაციით.

ა) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით

ამ ტიპის ინტენსიონალური კონსტრუქციები ბინარული სტრუქტურისაა. სტრუქტურული კონფიგურაციის მიხედვით გამოვყოფთ ამ კონსტრუქციათა ორ სტრუქტურულ-სემანტიკურ ქვეტიპს:

პირველი ქვეტიპი სუბიექტურ-პრედიკატული სტრუქტურისაა – მისი პირველი წევრი არგუმენტ-პარტიტივია, რომელიც ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ექსპერიენსერით წარმოდგენილი მსჯელობის საგნის მაიდენტიფიცირებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის აქტუალიზებული, მეორე წევრი კი აწმყო მიმღეობით გამოხატული პროცესუალობის გამომხატველი პრედიკატია. უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტ-პარტიტივი შეიძლება ენობრივად გაფორმებული იყოს ადამიანის სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი არსებითი სახელით, თუ ის პრედიკატულ წევრთან კომბინაციაში რეფერენტული სუბიექტის ინტენსიონალობის ნიშანს ქმნის: მაგალითად:

1. Melanie was pink with anger, **her gentle eyes snapping fire, her nostrils quivering.**
(მიჩელი 1995: 718)
2. The following morning Jessie stood in front of the Parker House dressed in her black silk, **her heart racing.**
(სთოუნი 1998: 274)

3. He turned round at last to speak to Irene and saw her standing over in the garden entrance with her husband and Bosinney, **her face quivering** and **her lips trembling.**

(გოლზუორთი 1974: 183)

ამ ტიპის ინტენსიონალურ აბსოლუტურ კონსტრუქციებში სუბიექტის ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობა ყოველთვის კაუზალურ ხასიათს ატარებს. ბინარული სტრუქტურის კონსტრუქციებში მისი გამომწვევი მიზეზი ანუ არგუმენტ-კაუზატივი წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ან წინარე ტექსტშია მოცემული. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კაუზატივი თავად კონსტრუქციაშია მოცემული, მისი სტრუქტურა სამწევრიანი ხდება და მეორე არგუმენტული ადგილი, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში წინდებულიანი დამატებით არის წარმოდგენილი, ადამიანის შინაგანი მდგომარეობის აღმნიშვნელი ისეთი აბსტრაჰირებული სახელებით ექსპლიცირდება, როგორიცაა horror, courage, jealousy, pleasure, pride, rage, vitality, annoyance, relief, uncertainty, embarrassment, gentleness, incredulity, sadness, sympathy, panic, anger, hope, temper, excitement, anxiety, happiness და ა.შ.

მაგალითად:

1. „I shall ask her tonight", he said, **his face quivering with anxiety.**

(მიჩელი 1995: 404)

2. **Her teeth chattering with horror,** Jessie could only reply in the affirmative.

(სთოუნი 1974: 58)

3. Scarlett had cast her eyes demurely, **her heart beating with wild pleasure.**

(მიჩელი 1995: 27)

ინტენსიონალურ კონსტრუქციათა მეორე ქვეტიპში სტრუქტურულ-სემანტიკური კონფიგურაცია იცვლება კომპონენტთა ადგილმონაცვლეობით: პირველი წევრი წარმოდგენილია ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობის აღმნიშვნელი იმ

ტიპის აბსტრაჰირებული სახელებით, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი. ასეთ დროს ხდება ხსენებული თვისობრივი სახელების „განივთება“, რის გამოც ისინი სუბიექტური წევრის ფუნქციას ასრულებენ. ამ გრძნობების მატარებელი სუბიექტი კი სემანტიკურ დონეზე ექსპერიენსერის პარტიტივით არის წარმოდგენილი, რომელიც სინტაქსურ დონეზე კვლავ დამატებად განიხილება. მაგალითად:

1. “Rhett, for god’s sake” she began desperately, **her courage and control breaking.**
(მიჩელი 1995: 482)
2. Jessie turned about, **a new vitality seizing her.**
(სთოუნი 1998: 213)
3. On his right hand, sat the secretary, **an all-too-sad sadness beaming in his fine eyes.**
(გოლზუორთი 1974: 161)
4. They looked at each other, **an expression of incredulity coming over their faces.**
(სთოუნი 1998: 277)
5. **A slow, warm smile lighting her face,** she said, “Could we start for
San Francisco tomorrow morning?”
(სთოუნი 1998: 277)

ბ) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით

ინტენსიონალურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა მეორე ტიპი თვისობრივ პრედიკაციას ეფუძნება. მაგალითად:

1. She swept into the reception room of Miss English’s Academy, **her hazel eyes bright with anger.**
(სთოუნი 1998: 1)
2. **Her grey eyes unemotional,** Lily replied.
(სთოუნი 1998: 500)
3. She remained sitting with her chin in her hands, **her eyes wide with astonishment.**

(მიჩელი 1998: 163)

4. She had a glimpse of Aunt Pittypat's plump upturned face, **her eyes owlish with surprise and disapproval.**

(მიჩელი 1995: 687)

ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თვისებრივი პრედიკაციის მქონე აბსოლუტურ კონსტრუქციებში ძირითადი აქცენტი კეთდება სუბიექტის იმ თვისებებზე, რომლებიც მის ფსიქიკურ მდგომარეობასა და შეგრძნებებზე მიანიშნებენ. პროპოზიციის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ:

ა) არგუმენტ-პარტიტივი, რომელიც დანაწევრებული სუბიექტის სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს და ზედაპირულ დონეზე მსჯელობის საგნის მაიდენტიფიცირებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელით აქტუალიზდება;

ბ) თვისებრიობის პრედიკატი, რომელიც ზედსართავი სახელით ექსპლიცირდება;

გ) არგუმენტ-კაუზატივი, რომელიც ადამიანის შინაგანი მდგომარეობის აღმნიშვნელი აბსტრაჰირებული სახელებით არის გაფორმებული.

ამ ტიპის ინტენსიონალურ კონსტრუქციებშიც არგუმენტ-პარტიტივი ექსპლიცირებულია სხეულის იმ ნაწილებისა და ორგანოების აღმნიშვნელი სახელებით, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის ემოციურ თუ სულიერ განწყობას. ყველაზე ხშირად გვხვდება კონსტრუქციები, რომლებშიც სუბიექტური წევრი თვალების, სახის და გულის აღმნიშვნელი არსებითი სახელებით არის წარმოდგენილი. ზემომოყვანილ მაგალითებში სწორედ ლექსემა **„eyes"** („თვალები") ფიგურირებდა. შემდეგ ადგილზეა კონსტრუქციები არსებითი სახელით **„face"** („სახე") და **„heart"** („გული"). მაგალითად:

1. „I agree, Senator Benton", John replied, **his face aglow.**

(სთოუნი 1998: 29)

2. Frank came in, **his face sallow with grief.**
(სთოუნი 1998: 432)
3. He picked up her fan from the counter and began fanning her solicitously, **his face grave but his eyes still dancing.**
(მიჩელი 1998: 153)
4. Scarlett leaped to her feet, **her face hot with unexpected anger.**
(მიჩელი 1998: 713)

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხშირად ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე მინიშნება ხდება მისი სახის ფერით, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს კონსტრუქციის პრედიკატულ წევრში, რომლის თვისებრიობაც წარმოჩნდება სხვადასხვა ფერის აღმნიშვნელი ზედსართავებით. მაგალითად:

- her face **crimson** with the shame of their last meeting (მიჩელი 1995: 153);
- his face **black** with fury (სთოუნი 1998: 190);
- his face **white** with anger (ბრეინი 1981: 205);
- her face becoming **pink** again (მორიერი 1995: 159);
- her face **red** with shame (მიჩელი 1995: 284).

იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც თვისებრივი პრედიკაციის ინტენსიონალურ კონსტრუქციებში პირველი არგუმენტული ადგილი ივსება აბსტრაჰირებული სახელებით **„voice"** და **„smile"**, რომლებიც ადამიანის ისეთი იმანენტური თვისებების აღსანიშნავად გამოიყენება, როგორიც არის ხმა და ღიმილი. მაგალითად:

1. "It's only a cow", said Scarlett, **her voice rough with fright.**
(მიჩელი 1995: 333)
2. They were on the porch and Rhett was bowing right and left, **his voice cool and soft.**
(მიჩელი 1995: 775)

3. "I told you he was a gentleman, didn't I?" she said turning to Pittypat, her smile **bright through the teardrops on her face.**

(მიჩელი 1995: 168)

გ) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები ეგზისტენციონალური პრედიკაციით

ლინგვისტურ ლიტერატურაში ეგზისტენციონალურს უწოდებენ ისეთი ტიპის წინადადებებს, რომლებშიც ხდება მტკიცება სამყაროს გარკვეულ მონაკვეთში რაიმე საგნის არსებობის ან არარსებობის შესახებ (არუთიუნოვა 1976). ეგზისტენციონალური წინადადებები ყოველთვის სამკომპონენტიან სტრუქტურაში რეალიზდება (ბახი 1967; თორნი 1973; ნორმანი 1978: 77-94; კაცნელსონი 1972; ბენვენისტი 1974: 211; არუთიუნოვა 1976: 255). „ყოფნის" (ინგლ. ***Exist***) აღმნიშვნელი პრედიკატი, როგორც წესი, ორადგილიანია და მხოლოდ რელაციურ ფუნქციას ასრულებს. პირველი არგუმენტული ადგილი შევსებულია იმ საგნის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) აღმნიშვნელი სახელით, რომლის არსებობა / არარსებობის მტკიცებაც ხდება წინადადებაში. ხოლო მეორე არგუმენტული ადგილი წარმოადგენს ლოკატივს, რომელიც წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებს. ენობრივი მასალის განზოგადება ცხადყოფს, რომ ადამიანის შინაგანი მდგომარეობის ნომინაცია ხშირად ხდება ეგზისტენციონალური სტრუქტურის გამოყენებით. მაგალითად:

1. He sprang up, **an alarmed expression on his face.**

(სთოუნი 1998: 468)

2. Jessie scanned the room in a flash and saw Lieutenant Fremont, handsome in his full-dress uniform, **a smile on his face.**

(სთოუნი 1998: 24)

3. She saw Prissy leaning out of the upstairs window, **fright and worry on her face.**

(მიჩელი 1995: 304)

4. She looked back at June, **no smile on her lips.**

(გოლზუორთი 1974: 297)

5. They clucked to their horses and rode along in silence for a while, **a flush of embarrassment on Stuart's brown cheeks.**

(მიჩელი 1998: 16)

6. She had even laughed when she saw Melanie **with a worried pucker in her brows.**

(მიჩელი 1998: 703)

7. She looked up, her bronzed face harassed, **fright in her eyes.**

(სთოუნი 1998: 284)

ამ სტრუქტურული ტიპის ინტენსიონალური კონსტრუქციების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათში სუბიექტური წევრი გაფორმებულია ადამიანის ემოციური, ფსიქიკური თუ სულიერი განცდების და მდგომარეობის აღმნიშვნელი აბსტრაჰირებული სახელებით; მეორე წევრი კი წარმოდგენილია ექსპერიენსერის პარტიტივით, რომელიც ადამიანის სხეულის იმ ნაწილებისა და ორგანოების აღმნიშვნელი სახელებით არის გაფორმებული, რომლებიც ამა თუ იმ სულიერი თუ ფსიქიკური მდგომარეობის ლოკალიზატორად მოიაზრება. რამდენადაც პრედიკატი მხოლოდ რელაციურ ფუნქციას ასრულებს „გასაგნებულ" თვისებასა და მის ლოკალიზატორს შორის, მას სხვა მნიშვნელობა არ გააჩნია, რაც განაპირობებს მის იმპლიცირებას ზედაპირულ სტრუქტურაში. ენობრივი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებობს მყარი კავშირი გარკვეული სახის ფსიქიკურ კონსტანტებსა და შესაბამის ლოკალიზატორებს შორის. ასეთ ლოკალიზატორებად გვევლინება სახე, თვალები და გული, რომლებზეც უკვე გვქონდა მსჯე-

ლობა ინტენსიონალური კონსტრუქციების სხვა ტიპების განხილვისას.

ამრიგად, ინტენსიონალურია ის აბსოლუტური კონსტრუქციები, რომელთა საშუალებითაც ხდება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის შინაგანი მდგომარეობის დახასიათება და რომლებიც თანამედროვე ინგლისურ ენაში რეალიზდება სტრუქტურულ-სემანტიკური სამი ტიპით: აწმყო მიმღეობიანი, თვისებრივი და ეგზისტენციონალური პრედიკაციით.

ნაწილი II

ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპები

§1. წინასწარი შენიშვნები

პირველ ნაწილში ჩვენ უკვე განვიხილეთ მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც თავისი სემანტიკით ახდენენ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის სხვადასხვა ნიშნით კვალიფიცირებას, რის შედეგადაც მათ შორის მყარდება სუბიექტურ-პრედიკატული თვისებრივი ლოგიკური ურთიერთობები. იმისდა მიხედვით, თუ რა ნიშნით ხდება რეფერენტული საგნის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვისებრივი დახასიათება გამოვყავით მახასიათებლური კონსტრუქციების სამი ტიპი:

ა) ლოკაციური კონსტრუქციები, რომელთა საშუალებითაც ხდება რეფერენტული საგნის დახასიათება მისი სივრცეში მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტებით";

ბ) დესკრიფციული კონსტრუქციები, რომლებიც რეფერენტულ საგანს ახასიათებენ გარეგნული მონაცემების მიხედვით;

გ) ინტენსიონალური კონსტრუქციები, რომლებიც ამავე საგნის შინაგანი მდგომარეობის დასახასიათებლად გამოიყენება.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტიპის აბსოლუტურ კონსტრუქციებში რეალიზებული პროპოზიცია არა მარტო გრამატიკულად, არამედ სემანტიკურადაც დაქვემდებარულია ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, რადგანაც მათში სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია მხოლოდ „ნაწილის" სახით არგუმენტ-პარტიტივით, რომელიც ზედაპი-

რულ სტრუქტურაში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით ექსპლიცირდება, ხოლო თავად სუბიექტი „მთელის“ სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს აბსოლუტური კონსტრუქციები თავისი პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაციით ახდენენ წინადადების ბირთვულ ნაწილში მოცემული მსჯელობის საგნის თვისებრივ დახასიათებას, რის გამოც ისინი მახასიათებლურ კონსტრუქციებად წარმოგვიდგება.

ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში მრავლად მოიპოვება აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც უკვე ხდომილების ნომინაციისათვის გამოიყენება, რის გამოც მათ საკუთარი სემანტიკური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მათ ხდომილებრივი კონსტრუქციები ვუწოდეთ. ეს კონსტრუქციები მხოლოდ გრამატიკულად არიან დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, მაშინ როდესაც სემანტიკურად ისინი დამოუკიდებელნი არიან.

ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მათი შემდგომი ნომინაციური დიფერენცირება. დადგინდა, რომ აბსოლუტური კონსტრუქციები ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის ხდომილების სახელდებისათვის:

1. პირველი არის ხდომილება, რომლის მოქმედ სუბიექტს ადამიანი ან სხვა სულიერი არსება წარმოადგენს;
2. მეორე ტიპის ხდომილებაში კი მოქმედების აქტიურ შემსრულებლად უკვე ბუნებრივი ძალა ან მოვლენა გვევლინება.

შესაბამისად, პირველი ტიპის ხდომილებების აღმნიშვნელ კონსტრუქციებს ჩვენ ვუწოდეთ აბსოლუტური კონ-

სტრუქციები აგენსური სუბიექტით, ხოლო მეორე ტიპის ხდომილებების მანომინირებელ კონსტრუქციებს კი ფონურ კონსტრუქციებად განვიხილავთ. ქვემოთ გთავაზობთ თითოეული მათგანის დეტალურ ანალიზს.

§2. ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები აგენსური სუბიექტით და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი

ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციები გამოიყენება ისეთი ექსტრალინგვისტური ხდომილებების აღსანიშნავად, რომლებშიც მოცემულია სულიერი არსების მიერ განხორციელებული რაიმე ქმედება ან მისი თვისებრივი დახასიათება. შესაბამისად, მათ სემანტიკურ სტრუქტურაში სუბიექტი, რომელიც მოქმედების შემსრულებელ ცოცხალ არსებაზე მიუთითებს, წარმოდგენილია აგენსით; ხოლო რაიმე ფსიქიკურ ან ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ცოცხალი არსება კი წარმოდგენილია არგუმენტ-ექსპერიენსერით, რომელიც ლინგვისტურ ლიტერატურაში აგენსის სემანტიკურ ვარიანტად განიხილება.

ემპირიული მასალის განზოგადება გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის ხდომილებრივ კონსტრუქციათა თავისებურებას წარმოადგენს სუბიექტური წევრის ენობრივი გაფორმების მრავალფეროვნება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ ფუნქციას შეიძლება ასრულებდნენ, პირველ რიგში, **ინდივიდის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები.** მაგალითად:

1. They parted at St. Paul's, **Soames branching off to the station, James taking his omnibus westwards.**
(გოლზუორთი 1974: 299)
2. Before Archie could catch her, Melanie had fainted. Then a hubbub ensued, **Archie picking her up, India**

running to the kitchen for water, Pitty and Scarlett fanning her and slapping her wrists.

(მიჩელი 1995: 671)

მეორე ადგილზეა ხდომილებრივი კონსტრუქციები, რომლის სუბიექტური წევრიც ზედაპირზე ექსპლიცირდება **ტაქსონომიური არსებითი სახელებით**, რომელთა საშუალებითაც ხდება სულიერ არსებათა იდენტიფიკაცია-აღნიშვნა მათთვის ობიექტურად დამახასიათებელი ონტოლოგიური, ანუ ბუნებრივი ნიშან-თვისებების მიხედვით.

სამყარო უპირველესად აღიქმება როგორც ფიზიკურ საგანთა ერთობლიობა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს მის კონცეპტუალურ ხატში, კერძოდ, ონტოლოგიური ანუ ბუნებრივი კლასების ცნებაში, რომელიც ვერბალურად არის განივთებული ტაქსონომიურ სახელებში. ამ სახელთა ცნებითი შინაარსის განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაქსონომიურია სახელი, რომელიც ამა თუ იმ ონტოლოგიური კლასის წარმომადგენლის სახელდებას ახდენს მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით. ეს სახელები ჩვეულებრივად იღებენ ტერმინოლოგიურ-მეცნიერულ განმარტებებს, სადაც მითითებულია მათ მიერ აღნიშნული ექსტრალინგვისტური საგნის ყველა ის არსებითი, იმანენტური ნიშან-თვისება, რომელთა ერთობლიობაც მოცემული სახელის ცნებით შინაარსს ქმნის. მაგალითისათვის ავიღოთ ტაქსონომიური სახელის „ადამიანი" განმარტება The Concise Oxford Dictionary of Current English (1984) ლექსიკონიდან:

> **human** – n. of or belonging to the genus Homo, distinguised from animals by superior mental development, power of articulate speech and upright posture (p. 485).

მოცემული ტაქსონომიური სახელის განმარტება ნამდვილად ტერმინოლოგიურ-მეცნიერულია, რადგანაც მასში ექსპლიცირებულია ყველა ის ზოგადკატეგორიალური ნიშან-თვისება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სახის ცოცხალი არსებებისაგან. ეს თვისებებია: აზროვნება, დანა-

წევრებული მეტყველება და სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა, რომელთა წყალობითაც ადამიანს შეუძლია განახორციელოს შრომითი, შემეცნებითი, ინტელექტუალური, კომუნიკაციური და ა.შ. სახის აქტივობა და რომელთა ერთობლიობაც სიტყვა „ადამიანის“ ცნებით შინაარსს ქმნის.

საგნობრივი სამყარო ასახვას ჰპოვებს ყველა ცივილიზებული ერის ენაში. ნებისმიერი ასეთი ენის განმარტებით ლექსიკონებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათში საკმაო რაოდენობით ფიგურირებს ტაქსონომიური სახელები, რომლებიც სამყაროს ონტოლოგიურ კლასიფიკატორებს წარმოადგენს, რადგანაც სწორედ მათი საშუალებით ხდება მეტყველების დროს ექსტრალინგვისტური საგნის იდენტიფიკაცია ამა თუ იმ ბუნებრივ კლასად. მაგალითისათვის ავიღოთ ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებშიც სუბიექტური წევრი ტაქსონომიური სახელებით არის გაფორმებული:

1. There were crowds in front of every other counter but theirs, **girls chattering, men buying.**

(მიჩელი 1995: 152)

2. For weeks upon end they would camp, here and there, **the dogs loafing** and **the men burning holes through frozen muck and gravel and washing countless pans of dirt by the heat of the fire.**

(ლონდონი 1978: 82)

ამ ტიპის ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციებში სემანტიკური სუბიექტი ანუ არგუმენტ-აგენსი შეიძლება გაფორმებული იყოს ასევე **ნომინალური არსებითი სახელებით,** რომლებიც ადამიანის სახელდებას ახდენენ უკვე არა ონტოლოგიური, არამედ მისი ამა თუ იმ ფუნქციურ-თვისებრივი ნიშნის მიხედვით. ტაქსონომიურისაგან განსხვავებით, ნომინალური[7] სახელები ექსტრალინგვისტური საგნის სახელდებას

[7] ცნება „ნომინალური“ ნასესხები გვაქვს ლოგიკიდან, სადაც იგი გამოიყენება ცნება „რეალურის“ საპირისპიროდ. ამასთან, პირველადია რეა-

ახდენენ არა მისთვის ობიექტურად დამახასიათებელი იმ ზოგადკატეგორიალური ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლითაც ერთი ონტოლოგიური კლასი მეორისაგან განსხვავდება, არამედ ამ საგნისადმი რაიმე დამატებითი თვისების მიწერის გზით. შესაბამისად, ამ სახელთა აღნიშვნის საგანს წარმოადგენს არა რეალურად არსებული რომელიმე ბუნებრივი ონტოლოგიური კლასი, არამედ ადამიანის ინტელექტუალურ-შემეცნებითი მოღვაწეობის კონსტრუქტი, რომელიც ამავე კლასს უკვე თვისებრიობის სხვა კუთხიდან წარმოაჩენს (გაკი 1987, 49-57; შატუნოვსკი 1993, 73-80).

კვლევა გვიჩვენებს, რომ რამდენადაც თვისებრივად მრავალმხრივია ფიზიკურად არსებული ესა თუ ის საგანი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), იმდენად დიდია ნომინალურ სახელთა რიცხვი, რომელთა საშუალებითაც ამ საგნის იდენტიფიკაცია ხორციელდება რეალურ მეტყველებაში. ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება, თუნდაც, ადამიანი და ის ნომინალური სახელები (კირვალიძე, ინაური 1997; 1999), რომლებიც მის თვისებრივ მრავალფეროვნებას წარმოაჩენენ და რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით ჰპოვებს გამოხატულებას ადამიანი მის სამ განზომილებაში, როგორც: ა) გონიერი, მოაზროვნე არსება (homo sapiens), ბ) მეტყველი სუბიექტი (homo loquens) და გ) შრომისუნარიანი, სოციალური არსება (homo faber). მაგალითად:

1. After this the stream came fast, **chaperons silting up along the wall facing the entrance, the dancers** swelling the eddy in the larger room.

ლური ცნებები, რომლებიც რეალურად არსებულ საგნებს და მოვლენებს ასახავენ; ხოლო ნომინალური ცნებები კი მეორადად განიხილება, რადგანაც ისინი ამავე სამყაროს უკვე ახლებურად, თვისებრიობის სულ სხვა კუთხით წარმოაჩენენ (იხ. Кондаков Н. Логический словарь, М.: "Наука", 1975, с. 339; Уфимцева А.А. Лексическое значение. Принцип семиологического описания лексики. М.: «Наука», 1986, с. 117-124).

(მიჩელი 1995: 190)

2. The dogs were tired, **the drivers grumbling.**

(ლონდონი 1978: 53)

3. In the midst of cheering from the East India ships in the river, and the military on shore, **the band playing "God save the King", the officers waving their hats,** and **the crews hurrahing gallantly,** the transports went down the river and proceeded to Ostend.

(თეკერეი 1994: 92)

იშვიათად გვხვდება ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციის აგენსური სუბიექტური წევრის მეტაფორული ნომინაცია, რომლის დროსაც ერთი საგნის სახელი გადატანილია მეორეზე რაიმე თვისების საფუძველზე, რომელიც მათ შორის ობიექტურად არ არსებობს. ასეთ დროს, მსჯელობის საგნის მეტაფორული ნომინაცია განპირობებულია ადრესანტის/ავტორის ასოციაციური კოგნიციით, რომელშიც მისი სუბიექტური შეფასებითი მოდალობა რეალიზდება. მაგალითად:

1. The Newfoundland went first, followed by the three short-haired pointers, **the two mongrels hanging more grittily on to life, but going in the end.**

(ლონდონი 1978: 62)

2. They had made short work of the snowshoe rabbit, these dogs that were ill-tamed wolves; and they were now drawn up in expectant circle, **the two devils fighting more desperately.**

(ლონდონი 1978: 49)

ზოგჯერ ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციის აგენსური სუბიექტის იდენტიფიკაცია ხორციელდება მისი რაიმე თვისების მიხედვით, რაც შესაბამისად ექსპლიცირდება **სუბსტანტივირებული ზედსართავი სახელებით.** მაგალითად:

1. The animals had been frightened, cold, ravenous, wild as forest creatures, **the strong attacking the**

weak, the weak waiting for the weaker to die so they could eat them.

(მიჩელი 1995: 399)

2. There were other run-ways and alleys where rabbits were hanging in the air, **Old One-Eye following and observant, learning the method of robbing snares.**

(ლონდონი 1978: 132)

უფრო იშვიათად გვხვდება ისეთი ხდომილებრივი კონსტრუქციები, რომლებშიც მოქმედი სუბიექტის თვისებრივი სახელდება ხდება მისი **ეროვნების თუ რასობრივი მახასიათებლის მიხედვით:**

It sounded like St. Louis in the early days, **soft Spanish intermingled with the French patios, Indians and Negroes talking their own dialects, the American and English swearing at everybody in their haste to arrange for transportation.**

(სთოუნი 1998: 249)

ხდომილებრივ აგენსურ კონსტრუქციებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სუბიექტური წევრის **კვანტორულ ნომინაციას**[8], რომელიც ენობრივად გაფორმებულია განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით each, everybody, everyone, everything, anyone, anybody, anything, no-one, nobody, nothing, all და ა. შ., რომელთა სემანტიკაც კონტექსტურად არის განპირობებული. ტერმინები „კვანტორი" და „კვანტორული ერთეული" ლინგვისტურ ლიტერატურაში ნასესხებია მათემატიკური ლოგიკიდან, სადაც ისინი განისაზღვრება როგორც ეგზისტენციალური და უნივერსალური კვანტიფიკაციის ოპერატორები, რომლებიც სიმრავლის ელემენტზე მიუთითებენ მისი ინდივიდუალიზაციის გარეშე. შესაბამისად, ენათმეცნიერებაში კვანტორულ

[8] Падучева Е.В., Высказывание и его соотнесённость с действительностью. Референциальные аспекты семантики местоимений. М.: «Наука», 1985. Evans G., Pronouns, quantifiers and relative clauses.//Canadian journal of philosophy, №3, 1997, p.467-536.

ლექსიკურ ერთეულებად განიხილება ის სიტყვები, რომლებიც ადამიანის ან საგნის იდენტიფიცირებას ახდენენ აბსტრაჰირებულად როგორც ადამიანთა/საგანთა კლასის ერთერთი წარმომადგენლის, მისი ინდივიდუალიზაციის გარეშე, რაც ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს მათ სალექსიკონო დეფინიციებში. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე კვანტორული ერთეულის განმარტებას ვებსტერის ლექსიკონიდან (Webster's Third New International Dictionary of the English Language. USA, 1991):

everybody / everyone	=	each individual of the whole without exception, all;
everything	=	each object of the whole number wit-ho ut exception, all;
somebody /someone	=	a person of uncertain identity;
something	=	an indeterminate or unknown thing;
anybody / anyone	=	whatever person, a person no matter who;
anything	=	whatever thing, a thing no matter what;
nothing	=	not anything;
all	=	the whole number; the entire thing; the aggregate; the total.

უაღრესად სპეციფიურია კვანტორულ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციონირება ტექსტში, რაც განპირობებულია ამ სიტყვათა კონცეპტუალური სიცარიელით. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ კონკრეტული რეფერენციის განხორციელება, რადგანაც არ არსებობს ადამიანი ან საგანი, რომელიც სახელდებული იქნებოდა ისეთი კვანტორებით, როგორიცაა: „ყინმე", „ვიღაც", „რაღაც" და ა. შ. აქედან გამომდინარე, კვანტორული ერთეულები წარმოგვიდგება როგორც ცარიელი, ინტენსიონალობას მოკლებული არარეფერენტული სახელები, რომლებსაც მხოლოდ ექსტენსიონალი გააჩნიათ. ლინგვისტურ ლიტერატურაში ექსტენსიონალი განისაზღვრება როგორც ღია სიმრავლე პოტენციურად შესაძლო ყველა

რეფერენტისა, რომელთა არსებობაც განპირობებულია ენობრივი განსაზღვრულობით (ლინგვ. ენციკლ. ლექსიკონი 1990: 164).

მეტყველი სუბიექტი რეფერირების კვანტორულ საშუალებებს გამოიყენებს საგანთა ამა თუ იმ ონტოლოგიური კლასის წარმომადგენელზე ზოგადი მსჯელობისას, როდესაც მათი მნიშვნელობის დაკონკრეტება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ კონტექსტზე დაყრდნობით. მაგალითად:

1. By eight in the morning it had turned into a full-scale reception, **with people laughing and crying and everybody talking at once.**

(სთოუნი 1998: 121)

2. There was little but alleys and a confusion of mean houses, for St. Louis had grown by accretion, **everyone building how and where he pleased.**

(სთოუნი 1998: 98)

3. The devoted maiden friends came now from their rooms, **each wearing a differently coloured frock.**

(გოლზუორთი 1974: 189)

ხდომილებრივ აგენსურ კონსტრუქციებში **პრედიკატული წევრი** მოქმედების ან პროცესუალობის გამომხატველი მიმღეობის აწმყო ფორმით ექსპლიცირდება და იგი შეიძლება იყოს როგორც მონოვალენტური, ასევე ბივალენტური. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პროპოზიციის პირველი წევრი ყოველთვის აქტიურად მოქმედი სუბიექტია, რომელიც ენობრივად ფორმდება საკუთარი, ტაქსონომიური და ნომინალური არსებითი სახელებით, სუბსტანზირებული ზედსართავი სახელებით, კვანტორული ერთეულებით ან მეტაფორული სახელადი ფრაზებით. მეორე ადგილი კი ყოველთვის ივსება არგუმენტ-პაციენსით ან ლოკატივით, რომლებიც სინტაქსურ სტრუქტურაში შესაბამისად დამატების ან ადგილის გარემოების ფუნქციას ასრულებენ.

§3. ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპები

მხატვრულ ლიტერატურაში ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციები გამოიყენება სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენების და ხდომილებების, გარემომცველი და ზოგადი ხასიათის იმ სიტუაციების აღსანიშნავად, რომელთა ფონზეც სიუჟეტი ვითარდება. აგენსური კონსტრუქციებისგან განსხვავებით, ფონურ აბსოლუტურ კონსტრუქციებში მოქმედების აქტიურ შემსრულებლად განიხილება არა ადამიანი ან სხვა ცოცხალი არსება, არამედ ბუნების ძალები და საგნები ან ციური სხეულები. აქედან გამომდინარე, ამ ტიპის კონსტრუქციების სემანტიკური სტრუქტურის სუბიექტურ წევრად გვევლინება არგუმენტ-ელემენტივი, რომელიც სუბიექტს ახასიათებს როგორც რაიმე მოქმედების აქტიურ, მაგრამ უსულო შემსრულებელს, ან როგორც რაიმე მდგომარეობაში მყოფ უსულო საგანს. შესაბამისად, გამოვყოფთ მათ ორ ქვეტიპს:

ა) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით;

ბ) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით.

ა) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით

ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით გამოიყენება ისეთი ხდომილებების აღსანიშნავად, სადაც მოქმედების ან პროცესის შემსრულებლად გვევლინება ბუნების ძალები და მოვლენები ან სამყაროს ისეთი ნაწილები და ციური სხეულები, როგორიცაა მზე, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, მდინარე, ოკეანე და ა. შ. ამ ტიპის კონსტრუქციათა სემანტიკური სტრუქტურა ძირითადად სამწევრიანია, რადგანაც იშვიათად გვხვდება კონსტრუქციები,

რომლებშიც ბუნებრივ მოვლენებს ორიენტაცია არ გააჩნიათ. ენობრივი მასალის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ტიპის ფონურ კონსტრუქციებში სუბიექტური წევრი ყოველთვის არგუმენტ-ელემენტივია, რომელიც ექსპლიცირდება ზემოთ მითითებული ბუნებრივი ძალების, მოვლენების, სამყაროს ნაწილებისა და ციური სხეულების აღმნიშვნელი არსებითი სახელებით. მოქმედების ან პროცესუალობის პრედიკატი შესაბამისად ენობრივ გაფორმებას ჰპოვებს მიმღეობის აწმყო ფორმით. სტრუქტურის მესამე წევრს კი არგუმენტ-ობიექტივი ან ლოკატივი წარმოადგენს, რომლებიც ხდომილების სივრცობრივ ორიენტირებად განიხილება. მაგალითად:

1. **With <u>the aurrora borealis</u> flaming coldly overhead, or <u>the stars</u> leaping in the frost dance, and <u>the land</u> numb and frozen under its pall of snow,** this song of huskies might have been the defiance of life.
   (ლონდონი 1978: 43)
2. For a long time he sat there in the dark, **<u>the moon</u> through the skylight above laying a pale smear towards him down the stairway.**
   (გოლზუორთი 1974: 237)
3. She walked with him along the cliff, **with <u>the sun</u> sparkling on the water.**
   (სთოუნი 1998: 417)
4. For a long time he sat there in the dark, **<u>the moon</u> through the skylight above laying a pale smear towards him down the stairway.**
   (გოლზუორთი 1974: 237)
5. They made their first landing, **<u>the tropical night</u> coming upon them with the swiftness of a falling star.**
   (სთოუნი 1998: 250)

მხატვრული ლიტერატურის განზოგადება ცხადყოფს, რომ ფონურ კონსტრუქციებში სუბიექტური წევრის ექსტრალინგვისტურ რეფერენტთა დიაპაზონი საკმაოდ დიდია, რად-

განაც მოქმედების ან რაიმე პროცესის განხორციელება შეუძლიათ ბუნების ისეთ მოვლენებსა და ძალებს, როგორიც არის ქარი, წვიმა, თოვლი, წყალი, ცეცხლი და ა. შ. მაგალითად:

1. Rhett Butler stood in the doorway, **the wild wind whipping his cape about him in snapping folds.**
(მიჩელი 1995: 663)
2. As she travelled westward, Jessie found the earth more sandy, **with rain coming at night.**
(სთოუნი 1998: 92)
3. With a ferocious snarl the dog bounded straight up into the blinding day, **the snow flying about him in a flashing cloud.**
(ლონდონი 1078: 32)
4. He breakfasted by gaslight, **the fog of late November wrapping the town as in some monstrous blanket.**
(გოლზუორთი 1974: 267)
5. **A bright fire burning in the fireplace, the cedar wood was giving off a pungent fragrance.**
(სთოუნი 1998: 37)
6. The creeks crook their way down into the little river, **the river crawling through the woods like a green alligator.**
(კაპოტე 1987: 58)

იშვიათად გვხვდება კონსტრუქციები, რომლის სუბიექტურ წევრადაც თვისებრიობის აღმნიშვნელი ისეთი აბსტრაჰირებული სახელები გვევლინება, როგორიც არის smell, odour, the chimes, smoke და ა.შ.

მაგალითად:

1. He threw down the cigar violently and it smoked acridly on the carpet, **the smell of scorching wool rising to their nostrils.**
(მიჩელი 1995: 787)

2. The hospitals stank of gangrene, **the odour assaulting her nostrils long before the doors were reached.**

(მიჩელი 1995: 135)

3. From far in the clear air the bells of the church where he and Irene had been married were pealing in "practice" for the advent of Christ, **the chimes ringing out above the sound of traffic.**

(გოლზუორთი 1974: 314)

4. **Smoke curling from the chimneys,** little by little the autumn mist faded away.

(მორიერი 1995: 409)

ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით გამოიყენება ბუნებრივი მოვლენების და სიტუაციების დინამიკაში აღსაწერად, რის გამოც მათში დაუშვებელია მიმღეობის აწმყო ფორმით გამოხატული პრედიკატული წევრის იმპლიცირება.

ბ) ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით

ამ ტიპის ფონური კონსტრუქციები თვისებრივ პრედიკაციას ეფუძნება. მაგალითად:

1. She lay quietly in her high bed, **the air cold from the window above the garden.**

(სთოუნი 1998: 70)

2. Up the dim street she fled, **the night air wet on her lips.**

(მიჩელი 1995: 849)

აქციონალური პრედიკაციის ხდომილებრივი ფონური კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, თვისებრივ კონსტრუქციებში მოცემულია ბუნების სხვადასხვა ძალებისა და მოვლენების, ციური სხეულებისა და სამყაროს ნაწილების, ფლორისა და მდინარეების თვისებრივი დახასიათება, რაც შესაბამის გაფორმებას ჰპოვებს ზედსართავ სახელებსა და მიმღეობის ნამყო ფორმაში, რომელიც სხვადასხვა მდგომარეობაზე მიუთითებს. მაგალითად:

1. On the opposite slope of the watershed they came down into a level country and ran steadily hour after hour, **the sun bright overhead.**

(ლონდონი 1978: 85)

2. When Scarlett first opened the door the thick atmosphere of the room, **with all windows closed** and **the air reeky with sick-room odours** and **medicine smells,** almost made her faint.

(მიჩელი 1995: 344)

3. She remembered the County in its glory, **the well-tended fields glorious with cotton.**

(მიჩელი 1995: 412)

ემპირიული მასალა იძლევა კიდევ ერთი განზოგადების შესაძლებლობას. კერძოდ, ბუნების მოვლენები და სიტუაციები ხშირად მეტაფორულად არის მოცემული კონსტრუქციებში, რასაც საფუძვლად უდევს მეტყველი სუბიექტის მიერ სამყაროს რეალური სურათის მიფოპოეტური აღქმა, რომელიც თავის მხრივ ავტორის ესთეტურ-კოგნიტიური ნიჭით და მისი პოეტური ასოციაციური აზროვნების უნარით არის განპირობებული. ასეთ დროს მეტყველება ხდება უაღრესად ექსპრესიული და ემოციურად შეფერილი, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ტექსტის ორმაგ – სინტაქსურ და ლექსიკურ სტილისტურ მარკირებაში. მაგალითად:

1. She went on deck in time to watch the tropical sunrise, **the sun bursting above the horizon as though it were shot out of a cannon, day breaking with the same roar with which the sea was breaking on the white beach of Chagres.**

(სთოუნი 1998: 247)

2. Like giants they toiled, **days flashing on the heels of days like dreams as they heaped the treasure up.**

(ლონდონი 1978: 83)

3. At sunset, with the skies flaming cerise and indigo, she walked for an hour about the deck, storing up strength for the difficult days ahead.

(სთოუნი 1998: 246)

მეორე თავის დასკვნები:

1.. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპოლოგიას ვაფუძნებთ მათი ნომინაციური ასპექტის კვლევას. ენობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციებს განვიხილავთ ლინგვოპრაგმატიკულ ჭრილში როგორც სამყაროს სუბიექტური აღქმის შედეგად ფორმირებულ ვერბალურ კონსტრუქტებს, მათი ნომინაციური ასპექტი მაინც ექვემდებარება განზოგადებას და სისტემატიზაციას. ჩვენს მიერ შემუშავებულმა კვლევის მეთოდოლოგიამ და კონცეპტუალურმა აპარატმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის განზოგადება, რომელიც მათ პროპოზიციულ სტრუქტურაშია რეალიზებული.

2. პროპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზაციის საფუძვლად წინამდებარე ნაშრომში აღებული გვაქვს სიმბოლური ლოგიკის პრედიკატულ-არგუმენტული მიდგომა, რომლის თანახმადაც, პროპოზიციის ცენტრალურ მაორგანიზებელ კომპონენტად მივიჩნევთ პრედიკატს, რომლის სემანტიკაც განაპირობებს მის არგუმენტულ კონფიგურაციას, რომელშიც პრედიკატსა და არგუმენტ/არგუმენტებს შორის არსებული ოთხი ტიპის ლოგიკური ურთიერთმიმართებები აისახება. ესენია მოქმედების ანუ აქციონალობის, პროცესუალობის, მდგომარეობის და თვისობრიობის მიმართებები.

3. კვლევის შედგად დადგინდა, რომ გარკვეული ტიპის ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციები ასახვას ჰპოვებს აბსოლუტურ კონსტრუქციათა გარკვეული ტიპის

ლოგიკურ-სემანტიკურ კონსტრუქციებში. ემპირიული მასალის ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ეს კონსტრუქციები გამოიყენება ძირითადად მახასიათებლური, ანუ თვისებრივი სიტუაციების და ხდომილებების აღსანიშნავად. შესაბამისად, გამოვყავით აბსოლუტურ კონსტრუქციათა ორი ლოგიკურ-სემანტიკური ტიპი – მახასიათებლური და ხდომილებრივი კონსტრუქციები.

4. მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები ახდენენ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის კვალიფიცირებას გარეგნული ნიშნებით და მისი შინაგანი მდგომარეობის მიხედვით, რის შესაბამისადაც გამოვყავით მახასიათებლურ კონსტრუქციათა ორ ტიპი: ექსტენსიონალური და ინტენსიონალური. დადგინდა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში არსებობს ექსტენსიონალურ ადვერბიალურ კონსტრუქციათა შემდეგი ტიპები:

ა) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის ლოკაციური დეტერმინაციით, რომელთა საშუალებითაც ხდება რეფერენტული საგნის დახასიათება მისი სივრცეში მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტებით“;

ბ) ექსტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები სუბიექტის დესკრიფციული დეტერმინაციით, რომელთა საშუალებითაც მსჯელობის საგნის გარეგნობის აღწერა ხდება უკვე მისი იერსახის, ან მის ქცევის და ჩაცმის მანერაზე მინიშნებით. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ამ ტიპის სემანტიკური ინფორმაციის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება დესკრიფციულ კონსტრუქციათა ორი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი: კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით და კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით.

გ) ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები, რომელებიც გამოიყენება ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული სუბიექტური წევრის სულიერი სამყაროს ან შინაგანი მდგომარეობის („inner states“) დასახასიათებლად. დადგინდა, რომ ინგლისურ ენაში ინტენსიონალურ კონსტრუქციათა სამი სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი გამოიყენება: ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები აქციონალურ-პროცესუალური პრედიკაციით; ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები თვისებრივი პრედიკაციით და ინტენსიონალური აბსოლუტური კონსტრუქციები ეგზისტენციონალური პრედიკაციით.

5. მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა განხილვამ შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა განზოგადება, რომ ამ კონსტრუქციებში რეალიზებული პროპოზიცია არა მარტო გრამატიკულად, არამედ სემანტიკურადაც დაქვემდებარულია ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, რადგანაც მასში სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია მხოლოდ „ნაწილის“ სახით არგუმენტ-პარტიტივით, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით ექსპლიცირდება, ხოლო თავად სუბიექტი „მთელის“ სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს. ამან საშუალება მოგვცა, რომ ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციები გაგვეხილა მახასიათებლურ კონსტრუქციებად.

6. ენობრივი მასალის ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში მრავლად მოიპოვება აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც უკვე ხდომილების ნომინაციისათვის გამოიყენება, რის გამოც მათ საკუთარი სემანტიკური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ჩვენ მათ ხდომილებრივი კონსტრუქციები ვუწოდეთ.

ეს კონსტრუქციები მხოლოდ გრამატიკულად არიან დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, მაშინ როდესაც სემანტიკურად ისინი დამოუკიდებელნი არიან. ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა მათი შემდგომი დიფერენცირება. დადგინდა, რომ აბსოლუტური კონსტრუქციები ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის ხდომილების სახელდებისათვის:

ა) პირველი არის ხდომილება, რომლის მოქმედ სუბიექტს ადამიანი ან სხვა სულიერი არსება წარმოადგენს;

ბ) მეორე ტიპის ხდომილებაში კი მოქმედების აქტიურ შემსრულებლად უკვე ბუნებრივი ძალა ან მოვლენა გვეცლინება.

შესაბამისად, პირველი ტიპის ხდომილებების აღმნიშვნელ კონსტრუქციებს ჩვენ ვუწოდეთ აბსოლუტური კონსტრუქციები აგენსური სუბიექტით, ხოლო მეორე ტიპის ხდომილებების მანომინირებელ კონსტრუქციებს კი ფონურ კონსტრუქციებად განვიხილავთ.

7. ხდომილებრივ აგენსურ კონსტრუქციებში პროპოზიციის პირველი წევრი ყოველთვის წარმოდგენილია აქტიურად მოქმედი სუბიექტით ან რაიმე ფსიქიკურ-ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ცოცხალი არსებით – არგუმენტ-ექსპერიენსერით, რომლებიც ენობრივად შეიძლება გაფორმებულ იქნეს საკუთარი სახელებით, ტაქსონომიური და ნომინალური არსებითი სახელებით, სუბსტანზირებული ზედსართავი სახელებით, კვანტორული ერთეულებით ან მეტაფორული სახელადი ფრაზებით. პრედიკატული წევრი კი მოქმედების ან პროცესუალობის გამომხატველი მიმღეობის აწმყო ფორმით ექსპლიცირდება და იგი შეიძლება იყოს როგორც მონოვალენტური, ასევე ბივალენტური (რომლის დროსაც მეორე ადგილი ყოველთვის ივსება არგუმენტ-პაციენსით ან ლოკატივით, რომლებიც სინტაქსურ სტრუქტურაში, შესაბამისად, დამატებად ან ადგილის გარემოებად განიხილება).

8. ფონური კონსტრუქციები გამოიყენება სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენების და ხდომილებების, გარემომცველი და ზოგადი ხასიათის იმ სიტუაციების აღსანიშნავად, რომელთა ფონზეც ნარატიული ტექსტის სიუჟეტი ვითარდება. აგენსურისგან განსხვავებით, ამ ტიპის კონსტრუქციებში მოქმედების აქტიურ შემსრულებლად მოიაზრება არა ადამიანი ან სხვა ცოცხალი არსება, არამედ ბუნების ძალები და მოვლენები, ან სამყაროს ისეთი ნაწილები და ციური სხეულები, როგორიცაა მზე, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, მდინარე, ოკეანე და ა. შ. აქედან გამომდინარე, სემანტიკური სტრუქტურის სუბიექტურ წევრად გეევლინება არგუმენტ-ელემენტივი, რომელიც სუბიექტს ახასიათებს, როგორც რაიმე მოქმედების აქტიურ, მაგრამ უსულო შემსრულებელს, ან როგორც რაიმე მდგომარეობაში მყოფ უსულო საგანს. შესაბამისად, გამოვყოფთ მათ ორ ქვეტიპს:

ა) ხდომილებრივი ადვერბიალური კონსტრუქციები აქციონალური პრედიკაციით, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი მოვლენებისა და სიტუაციების დინამიკაში აღსაწერად, რის გამოც მათში დაუშვებელია მიმღეობის აწმყო ფორმით გამოხატული წევრის იმპლიცირება;

ბ) ხდომილებრივი ადვერბიალური კონსტრუქცია თვისობრივი პრედიკაციით, რომლებშიც მოცემულია ბუნების სხვადასხვა ძალებისა და მოვლენების, ციური სხეულებისა და სამყაროს ნაწილების, ფლორისა და მდინარეების თვისობრივი დახასიათება, რაც შესაბამის გაფორმებას ჰპოვებს ზედსართავ სახელებსა და მიმღეობის ნამყო ფორმაში, რომლებიც სხვადასხვა მდგომარეობაზე მიუთითებს.

9. ემპირიული მასალა იძლევა კიდევ ერთი განზოგადების შესაძლებლობას. კერძოდ, ბუნების მოვლენები და სიტუაციები ხშირად მეტაფორულად არის მოცემული კონსტრუქციებში, რასაც საფუძვლად უდევს მეტყველი სუბიექტის მი-

ერ სამყაროს რეალური სურათის მიფოპოეტური აღქმა, რომელიც, თავის მხრივ, ავტორის ესთეტურ-კოგნიტიური ნიჭით და მისი პოეტური ასოციაციური ა'სროვნების უნარით არის განპირობებული. ასეთ დროს მეტყველება ხდება უაღრესად ექსპრესიული და ემოციურად შეფერილი, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ტექსტის ორმაგ (სინტაქსურ და ლექსიკურ) სტილისტურ მარკირებაში.

თავი III

აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციურ განვრცობაში

§1. ტექსტის ინფორმაციული განვრცობა და მისი მოდელირების პრობლემა

წინამდებარე თავი მიზნად ისახავს აბსოლუტურ კონსტრუქციათა ინფორმაციული ასპექტის კვლევას, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მათი ფუნქციური თავისებურებების გამოვლენა თავდაპირველად წინადადების, შემდეგ კი – ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციულ განერცობაში.

პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ, თუ რა ცნებითი მნიშვნელობით გამოიყენება მოცემულ თავში ტერმინი „ტექსტი“. ლინგვისტურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სტრუქტურული პოზიციიდან, ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა. ამ განმარტების მიხედვით, ტექსტის ქვედა ზღვარი დახურულია, რადგანაც იგი აუცილებლად გულისხმობს მინიმუმ ორი წინადადების თანმიმდევრობას. ზედა ზღვარი კი ღიაა, რაც განპირობებულია თემის დიაპაზონის ცვალებადობით (კირვალიძე 2008: 15). შესაბამისად, არსებობს **ტექსტის ორი სტრუქტურული ტიპი:** მიკროტექსტი და მაკროტექსტი. *მიკროტექსტში* წინადადებები ერთიანდება ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ, მაშინ როდესაც *მაკროტექსტში* უკვე მიკროტექსტები ერთიანდებიან ერთი მაკროთემის ირგვლივ, რომელიც მიკროთემებიდან არის ნაწარმოები. აბსოლუტური კონსტრუქციების ინფორმაციული ასპექტის კვლევისას, ტერმინი „ტექსტი“ გამოიყენება მიკროტექსტის გაგებით, რომლის მიღმაც იგულისხმება თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა დახურული ჯაჭვი.

ნებისმიერი ტექსტის კითხვა წარმოადგენს რთულ გონებრივ პროცესს, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მკითხველის მიერ იმ ინფორმაციის (მესიჯის) აღქმა-დეკოდირება, რომელიც ავტორის მიერ არის ჩადებული ტექსტში. მკვლევრები ერთხმად მიუთითებენ, რომ კომუნიკაცია წარუმატებლად ითვლება და შეწყდება, თუ ტექსტი არ შეიცავს ახალ, აქტუალურ ინფორმაციას (ბოგრანდი, დრესლერი 2002: 244; ჰელიდეი 1967:179). აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ ხდება ინფორმაციის მიწოდება და შემდგომი განვრცობა ტექსტში. ამ მხრივ, მსოფლიო აღიარება მოიპოვა ჩეხი ენათმეცნიერების კვლევებმა, რომლებიც საფუძვლად დაედო ტექსტის ინფორმაციული განვრცობის მოდელირებას (მათეზიუსი 1967; მათეზიუსი 1975; დანეში 1974; ფირბასი 1986).

პირველი თეორია, რომელიც ითვალისწინებდა წინადადების სტრუქტურულ ანალიზს მისი წევრების ინფორმაციული პოტენციალის მიხედვით, ცნობილია „წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორიის" სახელწოდებით და იგი შემოთავაზებულ იქნა მათეზიუსის მიერ (მათეზიუსი 1967; მათეზიუსი 1975). ამ თეორიის თანახმად, კომუნიკაციის პროცესში (ჩვენს შემთხვევაში, საქმე გვაქვს კომუნიკაციის წერით ფორმასთან, რაც გულისხმობს ტექსტის ქმნადობისა და აღქმის პროცესს. – ნ.ს.) ყოველი მომდევნო წინადადება ინფორმაციულ პლანში წინამორბედს ეყრდნობა, წასწევს რა შეტყობინებას უკვე ცნობილი ან ადვილად მისახვედრი პუნქტიდან ახალ, აქტუალურ ინფორმაციამდე. შესაბამისად ხდება წინადადების დანაწევრება თემად და რემად. მათეზიუსის ლინგვისტურ კონცეფციაზე დაყრდნობით, თემა განისაზღვრება როგორც გამონათქვამის ამოსავალი პუნქტი ანუ ის, რის შესახებაც შეტყობინება კეთდება. უმეტეს შემთხვევაში, თემა ან უკვე ცნობილია კომუნიკანტებისათვის (given), ან მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში მისი დადგენა პრობლემას არ წარმოადგენს. რემა კი იმ ახალ ინფორმაციაზე

მიუთითებს (new), რისი შეტყობინებაც ხდება თემასთან დაკავშირებით.

ინგლისურ ენაში წინადადების წევრების ფიქსირებული წყობის გამო აქტუალური დანაწევრება ჩვეულებრივად ემთხვევა მის გრამატიკულ დანაწევრებას ქვემდებარედ და შემასმენლად, რაც იმას ნიშნავს, რომ შეტყობინების ამოსავალი პუნქტი ანუ თემა, როგორც წესი, წინ უსწრებს მესიჯის ბირთვს ანუ რემას. **ასეთ თანმიმდევრობას მათეზიუსი ობიექტურს უწოდებს.** ამ შემთხვევაში გადასვლა ხდება ნაცნობიდან უცნობზე, რაც მსმენელს უადვილებს მოსმენილის გაგებას. ხშირად მეტყველ სუბიექტს სურს, რომ ყურადღება გაამახვილოს და ხაზი გაუსვას იმას, რისი შეტყობინებაც ხდება. ასეთ დროს წინადადების თემა-რემატული დისტრიბუცია (განლაგება) ინვერტირებული ხდება, ანუ რემა წინ უსწრებს თემას. აქტუალური დანაწევრების ასეთი თანმიმდევრობა უკვე **სუბიექტურ წყობად** არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ობიექტურ თანმიმდევრობას მათეზიუსი არამარკირებულს უწოდებს, სუბიექტურს კი – მარკირებულს.

ენობრივი საშუალებები, რომლითაც წინადადების აქტუალური დანაწევრების ობიექტური და სუბიექტური თანმიმდევრობა გამოიხატება, სხვადასხვა ენაში ერთმანეთისგან განსხვავდება. ინგლისურ ენაში ობიექტური თანმიმდევრობა წინადადების გრამატიკულ სტრუქტურას ემთხვევა. მაგალითად, წინადადებაში „I bought a book yesterday" – „I" არის თემა, „bought a book" – რემა. სუბიექტური თანმიმდევრობისას კი ინგლისურ ენაში გამოიყენება შემდეგი ენობრივი საშუალებები:

1. **ლოგიკური მახვილი,** რომელიც უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს გამონათქვამის ბირთვის ანუ რემის აღსანიშნად:
   The student is reading a ' book. = What is the student reading?
   (ანუ, აქ „წიგნი" არის რემა)

The ' student is reading a book. = Who is reading a book?

(აქ „სტუდენტი“ არის რემა)

2. **სიტყვათა ინვერტირებული წყობა:**

Inside (რემა) was a vase of flowers (თემა).

3. **კონსტრუქცია there is / there are:**

There is a book (რემა) on the table (თემა).

4. **ემფატიკური კონსტრუქციები - It is that; It is who.**

It is Nick (რემა) who broke the vase (თემა).

5. **წინდებულიანი კონსტრუქციები ვნებით გვარში :**

The text was translated (თემა) by me (რემა).

ამრიგად, ინფორმაციის თემა-რემატულმა დისტრიბუციამ (განლაგებამ) წარმოაჩინა, რომ შეუძლებელია კომუნიკაციის მოქცევა წინადადების ჩარჩოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივ ერთეულთა კომუნიკაციური (ფუნქციური) ანალიზი მოითხოვს მათ განხილვას უფრო მაღალ, კონკრეტულად კი – ტექსტობრივ დონეზე.

მათეზიუსის ამ იდეამ შემდგომი განვითარება ჰპოვა პრაღის ლინგვისტური სკოლის ახალი თაობის წარმომადგენლების – იან ფირბასის, ფრანტიშეკ დანეშის და სხვათა შრომებში (ფირბასი 1964; 1986; დანეში 1974). მე-20 საუკუნის 70–80-იან წლებში ამ ლინგვისტებმა შეიმუშავეს ე.წ. „წინადადების ფუნქციური განვრცობის პერპექტივის თეორია“ (“Functional Sentence Perspective Theory”), რომელიც წარმოაჩენს, თუ როგორ ხდება კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის განვრცობა.

ჩეხმა ენათმეცნიერებმა აღმოაჩინეს და ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთეს, რომ ტექსტის ინფორმაციულ განვრცობას საფუძვლად უდევს აზრის ლოგიკური განვითარება და მენტალური პროცესები. ამ თეორიის თანახმად, ტექსტის მაორგანიზებელ ძირითად

ელემენტს წარმოადგენს თემა, მაშინ როდესაც რემა მხოლოდ წინ წასწევს შეტყობინებას.[9]

1974 წელს მსოფლიო აღიარება მოიპოვა ფრანტიშეკ დანეშის[10] მიერ შემუშავებულმა ტექსტის ინფორმაციული განვრცობის მოდელებმა. რამდენადაც ეს მოდელები ადამიანის კოგნიტურ-მენტალურ პროცესებს, ანუ აზრის განვითარებას ეფუძნება, იმდენად, ისინი საერთოა ბევრი ენისთვის. ამის გამო, ტექსტის ინფორმაციული განვრცობის მოდელებს ლინგვისტურ ლიტერატურაში უნივერსალიებად განიხილავენ. დანეშის მიხედვით, ტექსტის ზედაპირული ანუ სტრუქტურული გაბმულობა (კოჰეზიურობა) და მისი აზრობრივი მთლიანობა (კოჰერენტულობა) უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციის თემა-რემატულ ორგანიზებასთან, რაც, თავის მხრივ, აზრობრივ პროცესებს ეფუძნება.

რაში მდგომარეობს ამ თეორიის ორიგინალურობა? კომუნიკაციის პროცესში, ტექსტის განვრცობის პარალელურად, კომუნიკანტებს უგროვდებათ საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომლის კონტროლირებაც ხორციელდება მეტყველი სუბიექტის მიერ გამონათქვამ-მესიჯის თემის შერჩევით და დაფიქსირებით. დანეშმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ სწორედ თემატური პროგრესია უზრუნველყოფს ტექსტის შინაგან გაბმულობას, ხოლო თემა-რემატული დისტრიბუციის ტიპი ანუ მათი ურთიერთშეხამება განაპირობებს ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული მოდელირების ვარიაციულობას. დანეშის აზრით, ტექსტის თემატური პროგრესია მისი სიუჟეტის მაორგანიზებელ ღერძს წამოადგენს.[11]

---

[9] იხ. იან ფირბასის აზრი: "Themes will be the main constructing elements of the text, while Rhemes will push the message forward." (J. Firbas - On the dynamics of written communication in the light of the theory of Functional Sentence Perspective. - In: C. Cooper, S. Greenbaum (eds.), *Studying Writing: Linguistic Approaches*. Beverlie Hills: Sage, 1986, pp. 40 – 71.

[10] F. Daneš - Functional sentence perspective and the organization of the text. - In: F. Daneš (ed). *Papers on Functional Sentence Perspective*, Prague: Academia / The Hague: Mouton, 1974, pp. 106 -128.


[11] "Text connexity is represented, among other things, by thematic progression, i.e. the

მიუხედავად თემატური ელემენტების წინა პლანზე წამოწევისა, დანეში ხაზს უსვამს თემა-რემატული ურთიერთობების განუყოფლობას და მიუთითებებს, რომ მხოლოდ რემასთან მიმართებაში და მასთან ერთად ხდება ტექსტის ინფორმაციულ სტრუქტურაში თემატური პროგრესიის ტიპების დადგენა.

ენობრივი მასალის კვლევის შედეგად, დანეში გვთავაზობს ტექსტის ინფორმაციული განვრცობის სამ ძირითად მოდელს ანუ ტიპს. ესენია:

1. **ინფორმაციის მარტივი ხაზოვანი თემატური პროგრესია (Simple linear thematic progression of information)**, რომლის დროსაც თითოეული წინადადების რემა მომდევნო წინადადების თემად გადაიქცევა. ეს მოდელი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სქემის სახით:

სქემა 1



ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის აღნიშნული მოდელის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ფრაგმენტს რობერტ ფ. უორენის ცნობილი რომანიდან „მეფის

---


choice and ordering of utterance themes, their mutual concatenation and hierarchy, as well as their relation to the hyperthemes of the superior text unit (such as paragraph, chapter, etc.); to the whole text, and to the situation. Thematic progression might be viewed as the skeleton of the plot" (Daneš, F., Functional Sentence Perspective and the organization of the text, 1974, p. 114).

მთელი მხედრიონი“ (“All the King’s Men”), სადაც ფრჩხილებში მოცემული სიმბოლოები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს, თუ როგორ ხაზოვნად ხდება თითოეული რემის თემატიზაცია ყოველ მომდევნო გამონათქვამში:

> Then Lucy Stark **(T-1)** got up from her chair, walked to the Boss**(R-1)** and laid her hand on his right arm **(R-1)**. He **(T-2)** drew away, without looking at her **(R-2)**. But she **(T-3)** took him by the forearm and drew him **(R-3)**, and after a momentary ressistance he **(T-4)** followed her **(R-4)**. She **(T-5)** led him beck to the big chintz-covered chair **(R-5)**. “Sit down, Willie. Sit down and rest”**(R-6)**, she said very quietly **(T-6)**.
>
> (უორენი 1984: 345)

ამ მაგალითში, ინფორმაციის ამოსავალ პუნქტს, ანუ თემას, რომლის შესახებაც კეთდება შეტყობინება, წარმოადგენს ლუსი სტარკი; ხოლო ის, რისი შეტყობინებაც ხდება მასთან დაკავშირებით არის რემატული კომპლექსი, რომლის პიკიც არის„ბოსი“. მომდევნო გამონათქვამში წინა წინადადების რემა გადაიქცევა თემად, ხოლო თემა კი რემად. და ასე გრძელდება თხრობითი ნაწილის დასრულებამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის განვრცობა ტექსტში ხორციელდება მარტივი ხაზოვანი თემატური პროგრესიით.

2. **ინფორმაციის თემატური პროგრესია მუდმივი ანუ გამჭოლი თემით (Thematic progression with a constant theme).** ამ ტიპის მოდელით ინფორმაციის განვრცობა ხდება მონოთემატურ დესკრიფციულ მაკრო- ან მიკროტექსტებში, რომლებშიც ხორციელდება მსჯელობის საგნის თვისებრივი დახასიათება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი მიკროტექსტის მანძილზე თემა რჩება უცვლელი და ყოველ მომდევნო წინადადებაში შემოდის მასთან დაკავშირებული ახალი შეტყობინება ანუ რემა. ეს მოდელი სქემატურად შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:




როგორც მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, მოცემული მოდელით ხდება ტექსტის ინფორმაციული განვრცობა დესკრიფციული სასიათის ტექსტებში. საილუსტრაციოდ მოგვყავს ტექსტობრივი ფრაგმენტი ჰაქსლის რომანიდან „Crome Yellow", რომელშიც ავტორი შთამბეჭდავ ფერებში გვიხატავს მთავარი მოქმედი პირის – აივორ ლომბარდის უაღრესად საინტერესო ვერბალურ პორტრეტს:

> Nature and fortune had vied with one another in heaping on **Ivor Lombard** all their choicest gifts. **He** had wealth and **he** was perfectly independent. **He** was good-looking, possessed an irresistible charm of manner, and **he** was the hero of more amorous successes than **he** could remember. **He** had a beautiful untrained tenor voice; **he** could improvise with a startling brilliance, rapidly and loudly, on the piano. **He** was a good amateur medium and telepathist, and had a considerable first-hand knowledge of the next world. **He** could write rhymes versed with an extraordinary rapidity. For painting symbolical pictures **he** had a dashing style. **He** excelled in amateur theatricals and, when occasion offered, **he** could cook with genius. **He** resembled Shakespeare in knowing little Latin and less Greek. For a mind like **his**, education seemed supererogatory. Training would only have destroyed **his** natural aptitude.
>
> (ჰაქსლი 1980: 135-136)

3. ინფორმაციის სხივური თემატური პროგრესია ჰიპერთემიდან ნაწარმოები მიკროთემების საშუალებით(თპემატიც progression of information with derived micro-themes from hypertheme). ეს მოდელი წარმოდგენილია შემდეგი სქემის სახით:

სქემა 3



დანეშის აზრით, ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის ეს მოდელი ხშირად გვხვდება ქალაქებისა და სოფლების აღწერისას, ტურისტულ ცნობარებში, ენციკლოპედიურ სტატიებსა და ნარატიულ ტექსტებში. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ საგაზეთო სტატიას, რომელიც ეძღვნება ერთი კონკრეტული დასახლების – სეინტ ვინსენტის გეოგრაფიულ და სოციალურ აღწერას[12]:

> **St. Vincent** is small: 18 miles long and 11 wide, mountainous and lush (1). **Banana plantations** cling to steep volcanic hills (2) and **coconut palms** sway in the brisk trade winds which lash the Atlantic coast (3), stirring up its black sand (4). **The people** are warm, friendly and poor (5). **Unemployment** is between 30 and 40 per cent (6) but few go hungry in such lush surroundings (7).
>
> (*The Observer,* Sunday, 5 September, 2004)

[12] მოცემული მაგალითი ნასესხები გვაქვს წიგნიდან: N. Kirvalidze, A University Course to Text Linguistics. Tbilisi: Ilia Chavchavadze State University Publishing House, 2008, p. 80-81.

მოცემული ტექსტი მონოთემატურია თავისი შინაარსით, რამდენადაც მასში მოცემული ინფორმაცია მთლიანად სენტ ვინსენტის დასახლებას ეძღვნება. ამ ტექსტის ინფორმაციული განვრცობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში თემატური პროგრესია ხორციელდება მიკროთემების საშუალებით (banana trees, coconut palms, the people, unemplyment), რომლებიც მთავარი თემის, ე.წ. ჰიპერთემის/მაკროთემის (ჩვენს მაგალითში ეს არის St. Vincent) შემადგენლებად მოიაზრება. რითია განპირობებული სტატიის ავტორის ეს სტრატეგია, როდესაც იგი მკითხველის ორიენტირებას ახდენს ციცაბო ვულკანურ ბორცვებზე შეფენილ ბანანის პლანტაციებსა და პალმების ღელვაზე, ადგილობრივი ხალხის სითბოსა და ბუნების სიმდიდრეზე? პასუხი შეიძლება იყოს ერთი. ტექსტი აღებულია გაზეთის საკვირაო დამატებიდან და იგი ორიენტირებულია საშუალო ფენის ინგლისელ ტურისტ მკითხველზე, რომელიც კონსერვატულია თავისი ბუნებით და ტრადიციული წარმოდგენა აქვს ტროპიკული ქვეყნების სილამაზესა და ცხოვრების სტილზე. ენციკლოპედიური სტატიებისაგან განსხვავებით, ამგვარ ტექსტებს სარეკლამო ფუნქციური დანიშნულება და, შესაბამისად, ორმაგი კომუნიკაციური დატვირთვა აქვთ: მათ მიზანს წარმოადგენს როგორც ინფორმაციის მიწოდება მკითხველებისათვის, ასევე მათზე ზემოქმედების მოხდენა, რათა შვებულების გასატარებლად არჩევანი შეაჩერონ ტექსტში აღწერილ ადგილზე.

ასეთია დანეშის მიერ შემოთავაზებული ტექსტის ინფორმაციული განვრცობის უნივერსალური მოდელები, რომლებიც აზრის განვითარების მენტალურ პროცესებს და მიმართულებებს აირეკლავენ. ეს მოდელები საყრდენ, ბაზისურ მოდელებს წარმოადგენენ, რამდენადაც ტექსტის კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობის დროს ხშირად ხდება მათი გართულება სინტაქსური პარალელიზმით, კოორდინაციული და სუბორდინაციული მიმართებებით, ნომინალიზებუ-

ლი კონსტრუქციებითა და სხვა, რაც იწვევს მოცემული სქემების შესაბამის მოდიფიკაციას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილული მოდელები აბსტრაჰირებულ სქემებს წარმოადგენენ, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ ინფორმაციის განვრცობის სტრუქტურულ კანონზომიერებებს მიკროტექსტის დონეზე მთლიანი ტექსტის დონეზე კი ეს მოდელები ურთიერთქმედებენ მეტყველი სუბიექტის ან ავტორის კომუნიკაციური ინტენციისა და კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის შესაბამისად.

§2. მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების ფუნქციონირება ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში და მისი მოდელები

უაღრესად საინტერესოა ნარატიული ტექსტის ინფორმაციული განვრცობის კვლევა აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით, რამდენადაც ვვარაუდობთ, რომ არსებობს გარკვეული კანონზომიერება აბსოლუტურ კონსტრუქციათა ჩვენს მიერ დადგენილ ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპებსა და ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობის მოდელებს შორის. წინამდებარე პარაგრაფში გთავაზობთ მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების კვლევას ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში, რის საფუძველზეც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ამ პროცესის სტრუქტურული კანონზომიერებანი აბსტრაჰირებული მოდელების სახით მიკტოტექსტის დონეზე.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული თეორიული განზოგადების თანახმად, მახასიათებლურია აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც თავისი სემანტიკით ახდენენ წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის სხვადასხვა ნიშნით კვალიფიცირებას, რის შედეგა-

დაც მათ შორის მყარდება სუბიექტურ-პრედიკატული თვისობრივი ლოგიკური ურთიერთობები. იმისდა მიხედვით, თუ რა ნიშნით ხდება რეფერენტული საგნის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) თვისობრივი დახასიათება გამოეყავით მახასიათებლური კონსტრუქციების სამი ტიპი:

ა) ლოკაციური კონსტრუქციები, რომელთა საშუალებითაც ხდება რეფერენტული საგნის დახასიათება მისი სივრცეში მდგომარეობის „გეომეტრიული დაზუსტებით";

ბ) დესკრიფციული კონსტრუქციები, რომლებიც რეფერენტულ საგანს ახასიათებენ გარეგნული მონაცემების მიხედვით;

გ) ინტენსიონალური კონსტრუქციები, რომლებიც ამავე საგნის შინაგანი მდგომარეობის დასახასიათებლად გამოიყენება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ტიპის აბსოლუტურ კონსტრუქციებში რეალიზებული პროპოზიცია არა მარტო გრამატიკულად, არამედ სემანტიკურადაც დაქვემდებარულია ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, რადგანაც მათში სემანტიკური სუბიექტი წარმოდგენილია მხოლოდ „ნაწილის" სახით არგუმენტ-პარტიტივით, რომელიც ზედაპირულ სტრუქტურაში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით ექსპლიცირდება, თავად სუბიექტი კი „მთელის" სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ტიპის აბსოლუტური კონსტრუქციები თავისი პრედიკატულ-არგუმენტული პროპოზიციული კონფიგურაციით ახდენენ წინადადების ცენტრალურ ნაწილში მოცემული მსჯელობის საგნის თვისობრივ დახასიათებას, რის გამოც ისინი მახასიათებლურ კონსტრუქციებად წარმოგვიდგება. მაგალითისათვის ავიღოთ რამოდენიმე ფრაგმენტი ნარატიული ჟანრის ტექსტიდან:

1. As Jessie stepped into the room she caught a picture: Lieutenant John Charles Fremont on a high stool leaning over the table, (1) **a heavy drawing pencil in his right hand,** (2) **the widespread fingers of his left hand holding down the pages of a journal;** (3) **his shirt sleeves rolled up high,** (4) **his plain Army shirt open at the throat,** (5) **his dark hair rumpled and falling slightly over his brow,** (6) **his face filled with the intensity of the man who is devoted to the job on hand.**

(სთოუნი 1998: 28)

2. This gray-haired and sunken-cheeked person before her stood awkwardly, (1) **his arms not seeming to fit into their sockets,** (2) **his torso twisted at an ugly angle,** (3) **his legs slumped within the discolored trousers,** (4) **his face at war with itself,** (5) **the mouth taut, awry,** (6) **the features twisted.**

(სთოუნი 1998: 157)


3. Beside her sat her husband, thinner than she, (1) **his cheeks sunken,** (2) **his skin gray and blotched with stubble,** (3) **his face engraved with heavy lines of fatigue,** (4) **his eyes a little wild,** (5) **his clothes threadbare.**

(სთოუნი 1998: 121)

საილუსტრაციოდ მოყვანილი თითოეული მაგალითი წარმოადგენს დესკრიფციული შინაარსის მონოთემატურ მიკროტექსტს, რომელშიც ტექსტის ინფორმაციული განვრცობა მიმდინარეობს თემატურად ურთიერთ-დაკავშირებული მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების თანმიმდევრობით, რომლებიც რთულ რემატულ პიკებს ქმნიან თემასთან მიმართებაში. თითოეულ ფრაგმენტში თემად გვევლინება ლეიტენანტი ჩარლზ ფრემონტი, რომლის თვისებრივი აღწერაც ხდება სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით. აბსო-

ლუტური კონსტრუქციების პროპოზიციული კონფიგურაცია, რომელიც ექსტრალინგვისტური თვისობრივი სიტუაციის იკონისტურ ასახვას წარმოადგენს, განაპირობებს მათ შემდგომ ინტრასტრუქტურულ ინფორმაციულ დიფერენცირებას ქვეთემებად და ქვერემებად, რის გამოც ისინი რთულ, ე.წ. „გახლეჩილ რემებს“ ქმნიან თემასთან მიმართებაში, რომლებშიც „მთელისა და ნაწილის“ სემანტიკური ურთიერთობებია რეალიზებული. ზემოთ მოყვანილი ტექსტობრივი ფრაგმენტების ინფორმაციულ-კომუნიკაციური განერცობა განზოგადებას ექვემდებარება და იგი შეიძლება დაკონკრეტდეს, როგორც **„ტექსტის თემატური პროგრესია გამჟღლი თემით და რთული გახლეჩილი რემებით.“** ეს მოდელი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემის სახით:

სქემა 1



ქვემოთ მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განერცობა ჩვენ მიერ გამოვლენილი სქემით ხორციელდება:

1. In the doorway appeared Ashley, (1) **his face white,** (2) **his head lolling,** (3) **his bright hair tousled,** (4) **his long body wrapped from neck to knees in Rhett's black cape.**

(მიჩელი 1995: 669)

2. When John looked at his wife he saw a young woman of twenty-six with flashing hazel eyes, (1) **her brown hair a little thinner than before but gleaming richly as it was combed over her ears and gathered low at the back of her neck; (2) her skin as clear as a child's in spite of the rigors of Panama and California, (3) her delicate sloping shoulders white and firm and warm to the eye above her Empire gown of deep blue brocade.**


(სთოუნი 1998: 301)

3. James, standing sideways, (1) **the concave lines of his tall, lean figure displayed to advantage in shirt-sleeves and evening waistcoat, (2) his head bent, (3) the end of his white tie peeping askew from underneath one white Dundreary whisker, (4) his eyes peering with intense concentration, (5) his lips pouting, was hooking the top hooks of his wife's bodice.**

(გოლსუორთი 1974: 291)

ემპირიული მასალის ანალიზი წარმოაჩენს ამ მოდელის ერთ საინტერესო მოდიფიკაციას, რომელიც შედარებით ნაკლებად გვხვდება ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში. ეს არის **„ინფორმაციის თემატური პროგრესია გამჭოლი თემით და პარალელური ქვეთემებით, რომლებიც თემის კონსტიტუენტებად გვევლინება."** ეს მოდელი სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

სქემა 2



თვალსაჩინოებისათვის გავაანალიზოთ ტექსტობრივი ფრაგმენტი თეოდორ დრაიზერის ცნობილი რომანიდან „ჯენი გერჰარდტი“:

They stood before each other now, (1) **Lester** pale and rather flaccid, (2) **Robert** clear, wax-like, well-knit and shrewd; (3) **Robert** the clean, decisive man, (4) **Lester** the man of doubts. (5) **Robert** the spirit of business energy and integrity embodied, (6) **Lester** the spirit of commercial self-sufficiency, looking at life with an uncertain eye. **Together they made a striking picture.**

(დრაიზერი 1976: 200)

მოცემული მაგალითი წარმოადგენს დესკრიფციული შინაარსის მიკროტექსტს, რომელიც კონტრასტულ ფერებში გვიხატავს ძმები კეინების – ლესტერისა და რობერტის ვერბალურ პორტრეტს. საწყის გამონათქვამში ავტორი ახდენს თემის შემოყვანას ანაფორული პრონომინალური ერთეულით – they, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შეტყობინება კეთდება ადრესატისათვის კონტექსტიდან უკვე ცნობილ პიროვნებებზე – ძმებ კეინებზე. მომდევნო გამონათქვამებში კი უკვე მათი ინდივიდიალური დახასიათება ხორციელდება, რაც განაპირობებს თემის დაშლას ორ ქვეთემად (Lester and Robert), რომლებიც ერთმანეთის პარალელურად განიერცობა კონტრასტული შინაარსის მქონე რემების საშუალებით. ენობრივად ეს რემები მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციებით არის გაფორმებული. ბოლო წინადადებაში ავტორი კვლავ ერთად წარმოგვიდგენს ძმებ კეინებს, შესაბამისად კი ახდენს ქვეთემების გაერთიანებას მთავარ თემაში, რითაც ლოგიკურად კრავს და ჩარჩოში ათავსებს კომუნიკაციურად დასრულებულ მონაკვეთს, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკაში მიკროტექსტად განისაზღვრება. ანალოგიურად შეიძლება გავაანალიზოთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტობრივი ფრაგმენტები, რომლებშიც ინფორმაციის განვრცობა ხდება იგივე სქემით, ანუ თემატური პროგრესიით გამჭოლი თემით და პარალელური ქვეთემებით, რომლებიც თემის შემადგენელ ელემენტებს წარ-

მოადგენენ:

1. Yes, **there they were.** (1) **Giles,** in his white Arab dress laughing loudly, showing the knife at his side, (2) **Beatrice** swathed in an extraordinary green garment and hung about the neck with trailing beads, (3) poor **Frank** self-conscious and slightly foolish in his striped jersey and sea-boots, (4) **Maxim,** the only normal one of the party, in his evening clothes. **They all stood there dumbfounded, staring at her.**

(მორიერი 1995: 245)

2. There was a hum of conversation and quick looks were flashed at them as they walked down the isles, **an uncommonly handsome couple:** (1) twenty-three-year-old **Jessie** in a sea-green redingote with a brown velvet bonnet which matched her hair, (2) her slender cheeks brushed with color from the walk in the sharp winter air, (3) her eyes glistening from the confidence in which the people of the courtroom engulfed them, (4) her mouth red and moist; and (5) tightly gripping her arm, **her thirty-four-year-old husband** looking older and dignified because he was no longer shaving the beard, (6) his black hair combed forward a little over the brow and waving back across his ears, (7) his vitality evident beneath his full dress uniform. **Together they made a striking picture.**

(სთოუნი 1998: 301)

სრულიად აშკარაა, რომ საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა ერთი, ზემოაღნიშნული სქემით მიმდინარეობს. ორივე მაგალითი იდენტურია ასევე კომპოზიციურ-სტრუქტურული თვალსაზრისით, რადგანაც მათ სამკომპონენტიანი ჩარჩოს აგებულება აქვთ, რომელიც ლინგვისტურ ლიტერატურაში „ფრეიმინგის" (framing) სახელით არის ცნობილი. შესაბამისად, ისინი შედგება:

ა) ინტროდუქციული ნაწილისაგან, რომელშიც ხდება მოცემული ტექსტობრივი ფრაგმენტის თემის შემოყვანა კრებითი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებით. პირველ მაგალითში ეს არის ნაცვალსახელი they, რომელიც ადრესატისთვის კონტექსტიდან ცნობილი პირების აღსანიშნავად გამოიყენება, მეორე მაგალითში კი თემა შემოყვანილია უაღრესად ფართო სემანტიკის მქონე ლექსემით couple, რომლის მნიშვნელობის დაკონკრეტებაც ხდება მოგვიანებით, კატაფორულად, პიროვნების აღმნიშვნელი ანთროპონიმით Jessie და სახელადი ფრაზით her thirty-four-year-old husband;

ბ) ორივე მაგალითის შუა ნაწილი თემის დაზუსტებას და მის დეტალიზაციას ეძღვნება, რაც ხორციელდება მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით, რომლებსაც საკუთარი თემა-რემატული სტრუქტურაცია აქვთ, რის გამოც ისინი რემატულ პიკებს ქმნიან თემასთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ თითოეულ კონსტრუქციაში მსჯელობის საგნის თვისობრივი კვალიფიცირება ხდება მისი ქცევის მანერის, გარეგნული მონაცემების თუ შინაგანი, სულიერი მდგომარეობის მიხედვით;

გ) მესამე ნაწილი იმეორებს საწყის გამონათქვამს, რითაც ლოგიკურად კრავს და ჩარჩოში აქცევს ტექსტობრივ ფრაგმენტს. ჩვენს მიერ მოყვანილი სხვადასხვა ავტორების ეს მაგალითები მათი კომუნიკაციურ-ინფორმაციული, სტრუქტურულ-სემანტიკური და კომპოზიციური ანალოგიით კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ენობრივი მოვლენების ინვარიანტულობას საფუძვლად უდევს მენტალური პროცესების უნივერსალობა.

ენობრივი მასალის ანალიზი წარმოაჩენს, რომ მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციები ი'შვიათად გამოიყენება ტექსტის ინფორმაციული განვრცობისას **„მარტივი ხაზოვანი თემატური პროგრესიის მოდელით,"** რომლის დროსაც წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული რემა ან რემატული კომპლექსი თანმხლები აბსოლუტური კონსტრუქციის თემად გადაიქცევა. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ტექსტის ინფორმაციული განვრცობა ამ ტიპის მოდელით ხორციელდება:

1. He threw down the cigar and it smoked acridly on the carpet, **the smell of scorching wool rising to their nostrils.**

(მიჩელი 1995: 787)

2. The hospitals stank of gangrene, **the odor assaulting her nostrils long before the doors were reached.**

(მიჩელი 1995: 135)

3. It looked as though every window bore lights, **the lights defying the mist to dim their brilliance.**

(მიჩელი 1995: 849)

4. She went on deck in time to watch the tropical sunrise, **the sun bursting above the horizon as though it were shot out of cannon.**

(სთოუნი 1998: 247)

5. I went off to sleep without knowing it, into a dream in which I was riding in the Fiat with her, **the car skidding wildly round fantastic bends in a country a mixture of Lincolnshire and Prussia.**

(ბრეინი 1981: 68)

6. In the evening the Benton house was full of her friends, **each trying to say something comforting to her.**

(სთოუნი 1998: 214)

7. Like giants they toiled steadily in the daytime,
days flashing on the heels of days like dreams.

(ლონდონი 1978: 83)

მოცემულ მაგალითებში აბსოლუტური კონსტრუქციები მახასიათებლური სემანტიკის მქონეა, რამდენადაც მათში რეალიზებულია წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული სიტუაციის ან ხდომილების თვისებრივი დახასიათება მისი ერთ-ერთი კომპონენტის დაკონკრეტების გზით, რომელიც ლექსიკურ ერთეულებს შორის არსებულ სემანტიკურ იზოტოპიას ემყარება. ეს გულისხმობს იმას, რომ წინადადების ბირთვში მოცემული რემატული კომპლექსი შეიცავს ახალ, აქტუალურ ინფორმაციას რეფერნტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის ან ხდომილების შესახებ, რომელიც აბსოლუტურ კონსტრუქციაში თემად გადაიქცევა, ხდება რა მისი შემდგომი თვისობრივი დახასიათება. ლექსიკურად, რემის თემატიზაცია დაფუძნებულია სემანტიკურ იზოტოპიაზე, ანუ მათ გამომხატველ სიტყვებს შორის არსებულ აზრობრივ კავშირებზე. საილუსტრაციოდ წარმოდგენილ მაგალითებში რემის თემატიზაცია ხორციელდება შემდეგ გადასვლებში:

რემა (რემატული კომპლექსი) > თემა (თემატური კომპლექსი)


1. (R) smoked acridly on the carpet > (T) the smell of scorching wool (R) rising to their nostrils;
2. (R) stank of gangrene > (T) the odor (R) assaulting her nostrils;
3. (R) every window bore lights > (T) the lights (R) defying the mist to dim their brilliance;
4. (R) to watch the tropical sunrise > (T) the sun (R) bursting above the horizon;
5. (R) was riding in the Fiat > (T) the car (R) skidding wildly round fantastic bends in a country
6. (R) was full of her friends > (T) each trying

to say something to
comfort her;

7. (R) toiled steadily in the daytime > (T) days flashing on the heels of days like dreams.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გამოყენების სიხშირის კოეფიციენტის მიხედვით, მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციებისთვის ტიპობრივია ტექსტის კომუნიკაციური განვრცობა ინფორმაციის თემატური პროგრესით გამჭოლი თემით და რთული „გახლეჩილი რემებით“, რომლებიც „მთელის და ნაწილის“ სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება. მეორე ადგილზეა ინფორმაციის თემატური პროგრესია გამჭოლი თემით და პარალელური ქვეთემებით, რომლებიც კრებითი შინაარსის თემის შემადგენლებად გვევლინება. რაც შეეხება ინფორმაციის მარტივ ხაზოვან თემატურ პროგრესიას, რომლის დროსაც რემის თემატიზაცია ეფუძნება მათ შორის არსებულ ლექსიკურ-სემანტიკურ იზოტოპიას, შეიძლება ითქვას, რომ მახასიათებლური კონსტრუქციები ნაკლებად ფუნქციონირებენ ტექსტის ამგვარ განვრცობაში, რაც შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ამ მოდელში აბსოლუტური კონსტრუქციების რაოდენობა, ფაქტიურად, ერთით შემოიფარგლება (იხ. სქემა 3):

სქემა 3



§3. ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირება ტექსტის ინფორმაციულ განვრცობაში და მისი მოდელები

ნაშრომის მეორე თავში უკვე დავადგინეთ, რომ მახასიათებლურისაგან განსხვავებით, ხდომილებრივი კონსტრუქციები გამოიყენება იმ ექსტრალინგვისტური ხდომილების ან სიტუაციის აღსანიშნავად, რომელთა საშუალებითაც განიერცობა ან ზუსტდება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული რეფერენტული სიტუაცია ან ხდომილება. დადგინდა ასევე, რომ ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციებს საკუთარი სემანტიკური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ, რის გამოც ისინი მხოლოდ გრამატიკულად არიან დაქვემდებარებული წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, მაშინ როდესაც სემანტიკურად ეს კონსტრუქციები დამოუკიდებელნი არიან.

ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საგნობრივ-ლოგიკური შინაარსის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა მათი შემდგომი ნომინაციური დიფერენცირება, რის საფუძველზეც გამოვყავით მათი ორი ქვეტიპი:

1. აგენსური კონსტრუქციები, რომლებიც ისეთ ხდომილებებს აღნიშნავენ, რომლის მოქმედ სუბიექტს ადამიანი ან სხვა სულიერი არსება წარმოადგენს;
2. ფონური აბსოლუტური კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენისა და ხდომილების, ან გარემომცველი ზოგადი ხასიათის იმ სიტუაციების აღსანიშნავად, რომელთა ფონზეც ნარატიული სიუჟეტი ვითარდება. შესაბამისად, ამ ტიპის კონსტრუქციებში მოქმედების აქტიურ შემსრულებლად განიხილება ბუნების ძალები და მოვლენები, ან სამყაროს ისეთი ნაწილები და

ციური სხეულები, როგორიცაა მზე, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, მდინარე, ოკეანე და ა.შ.

როგორ მიმდინარეობს ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით და ექვემდებარება თუ არა ეს პროცესი სქემატურ განზოგადებას? არის თუ არა შესაბამისობა ამ ტიპის კონსტრუქციების სემანტიკურ და ინფორმაციულ სტრუქტურებს შორის? შევეცდებით, ემპირიული კვლევის მასალაზე წარმოვაჩინოთ და განვაზოგადოთ ყველა ეს მომენტი. განვიხილოთ ტექსტობრივი ფრაგმენტი, რომელიც წარმოქმნილია მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით:

> They remembered how Washington had treated them when they left, (1) **with few people calling,** (2) **the army wanting no part of their indicted brother,** (3) **the Cabinet officers remaining away for fear of embarrasing the administration,** (4) **the congressmen unwilling to take sides.**
>
> (სთოუნი 1998: 300)

საილუსტრაციოდ მოყვანილი წინადადება ინფორმაციულად განივრცობა მიკროტექსტის რანგში ოთხი ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციით, რომელთა საშუალებითაც ხდება ნაწარმოების მთავარი გმირების გამგზავრების მომენტში ვაშინგტონში შექმნილი სიტუაციის აღწერა, რომ:

1) მხოლოდ ცოტა ხალხი თუ სტუმრობდა მათ;
2) არმიას არ სურდა რამე საერთო ჰქონოდა დამნაშავედ აღიარებულ მის ოფიცერთან;
3) კაბინეტის მოხელეებიც თავს იკავებდნენ იმის შიშით, რომ ადმინისტრაცია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ;
4) კონგრესმენებს კი არ სურდათ რაიმე პოზიციის გამოხატვა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თითოეული აბსოლუტური კონსტრუქცია ინფორმაციულად გარკვეული მესიჯის

მატარებელია თავისი საკუთარი თემით და რემით, მაგრამ მათ ყველას აერთიანებთ ერთი მაკროთემა – „სიტუაცია ვაშინგტონში“, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვიდან და ეს ერთიანობა ხაზგასმულია გრამატიკულადაც, რამდენადაც ყველა აბსოლუტური კონსტრუქცია სინტაქსურად არის დაქვემდებარებული ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე, ქმნიან რა პოლიპროპოზიციულ წინადადება-მიკროტექსტს, რომელიც დამოუკიდებელი აბზაცის სახით არის გამოტანილი ტექსტში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციის განვრცობა ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით განზოგადებას ექვემდებარება და იგი ხორციელდება **სხივური მოდელით**, რომელიც შეესაბამება დანეშისეულ ინფორმაციის თემატურ პროგრესიას ჰიპერთემიდან ნაწარმოები თემების საშუალებით.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ტექსტობრივ ფრაგმენტს ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციებით, რომლებიც წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვს განავრცობენ მასში მოცემული ხდომილების სხვა, თანმხლები ხდომილებების საშუალებით:

1. Before Archie could catch her, Melanie had fainted. Then a hubbub ensued, (1) **Archie picking her up,** (2) **India running to the kitchen for water,** (3) **Pitty and Scarlett fanning her and slapping her wrists.**

(მიჩელი 1995: 671)

2. It sounded like St. Louis in the early days, (1) **soft Spanish intermingled with the French patios,** (2) **Indians and Negroes talking their own dialects,** (3) **the American and English swearing at everybody in their haste to arrange for transportation.**

(სთოუნი 1998: 249)

3. There are moments when Nature reveals the passion hidden beneath the careless calm of her ordinary moods – (1) **violent spring flashing white on almond-blossom through the purple clouds,** (2) **a snowy, moonlit peak, with its single star, soaring up to the passionate blue,** or (3) **against the flames of sunset, an old yaw-tree standing dark guardian of some fiery secret.**

(გოლზუორთი 1974: 196)

4. They crossed the Mississippi on the bright and sparkling spring morning of May 16, the busiest period in St. Louis' life, (1) **with the roustabouts thronging the riverbanks,(2)the Mississippi churned by steamboats, vessels and scows moored to the rough wooden docks,** (3) **the levee crowded with Negro boat hands chanting rhythmically as they loaded up.**

(სთოუნი 1998: 97)

5. Yet it had not always been so: Jessie could remember when her mother had sat with them before the bright winter fire, (1) **her father at one side reading one of an endless successions of books,** (2) **Mrs. Benton sitting at a smaller table opposite her husband, knitting or embroidering;** (3) **Jessie and her sisters and brother working at their lessons at a heavy, square desk under the front windows.**

(სთოუნი 1998: 10)

6. wish often that I could have fixed my life at that moment – (1) **the car rolling smoothly down the narrow street** (2) **with the gas lamps washing the cobbles with orange light,** (3) **the smells of East Warley tugging at me for attention like children on their father's birthday;** (4) **malt, burning, mill-band, frying fish, that wonderful bread-and-butter smell coming from the open spaces nearby** – (5) **and inside the**


car, Alice, her smell of lavender and her own personal smell as musky as furs and as fresh as apples.

(ბრეინი 1981: 93)

საილუსტრაციოდ მოყვანილ ყველა მაგალითში ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა ხორციელდება ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციებით ერთიანი, სხივური მოდელით. თუ მახასიათებლური კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტი მონოთემატურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგანაც როგორც კონსტრუქციებს, ასევე ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვს ერთი სემანტიკური სუბიექტი აქვთ, ხდომილებრივ კონსტრუქციებს უკვე თავისი საკუთარი სუბიექტი გააჩნიათ, რის გამოც მათი საშუალებით ფორმირებული მიკროტექსტი ზოგადი შინაარსის მაკროთემით ერთიანდება: პირველ მაგალითში ასეთ მაკროთემას ქმნის მელანის გულწასვლის შედეგად წარმოქმნილი აურზაური, რომელიც ინფორმაციულად მისი თანხმლები ხდომილებებით განივრცობა; მეორე მიკროტექსტის ინფორმაციული განვრცობა კალიფორნიის საპორტო ქალაქის სეინტ ლუისის სიტუაციას გვიხატავს; მესამე ტექსტობრივი ფრაგმენტი ფონური ხასიათის ინფორმაციას შეიცავს, რის გამოც მის მაკროთემას ბუნების აღწერა ქმნის და ა.შ.

შესაბამისად, ამ ტიპის მაკროტექსტების ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა სხივური მოდელით ხორციელდება, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

სქემა 4



უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელები აბსტრაჰირებულ სქემებს წარმოადგენენ, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ ინფორმაციის განვრცობის სტრუქტურულ კანონზომიერებებს მიკროტექსტის დონეზე. მთლიანი ტექსტის დონეზე კი ეს მოდელები ურთიერთქმედებენ და ერთმანეთს ერწყმიან მეტყველი სუბიექტის ან ავტორის კომუნიკაციური ინტენციისა და კონკრეტული სამეტყველო სიტუაციის შესაბამისად.

მესამე თავის დასკვნები:

1. ნებისმიერი ტექსტის კითხვა წარმოადგენს რთულ გონებრივ პროცესს, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მკითხველის მიერ იმ ინფორმაციის (მესიჯის) აღქმა–დეკოდირება, რომელიც ავტორის მიერ არის ჩადებული ტექსტში. კომუნიკაცია წარუმატებლად ითვლება და შეწყდება, თუ ტექსტი არ შეიცავს ახალ, აქტუალურ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, თუ როგორ ხდება აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით ინფორმაციის მიწოდება და შემდგომი განვრცობა ტექსტში.

2. აბსოლუტური კონსტრუქციების ინფორმაციულ-კომუნიკაციური ასპექტის კვლევისას ვხელმძღვანელობთ ჩეხი ენათმეცნიერების – მათეზიუსის, დანეშის, ფირბასის და სხვათა ლინგვისტური კონცეფციებით, რომლებიც საფუძვლად დაედო ტექსტის ინფორმაციული განვრცობის მოდელირებას. მათეზიუსის მიერ შემუშავებული „წინადადების აქტუალური დანაწევრების“ თეორიის თანახმად, კომუნიკაციის პროცესში ყოველი მომდევნო წინადადება ინფორმაციულ პლანში წინამორბედს ეყრდნობა, წასწევს რა შეტყობინებას უკვე ცნობილი ან ადვილად მისახვედრი პუნქტიდან ახალ, აქტუალურ ინფორმაციამდე. შესაბამისად ხდება წინადადების დანაწევრება თემად და რემად.

3. მათეზიუსის ამ იდეამ შემდგომი განვითარება ჰპოვა პრაღის ლინგვისტური სკოლის ახალი თაობის წარმომადგენლების – იან ფირბასის, ფრანტიშეკ დანეშის და სხვათა შრომებში, რომლებმაც მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში შეიმუშავეს „წინადადების ფუნქციური განვრცობის პერსპექტივის თეორია“ („**Functional Sentence Perspective**“). ამ თეორიამ წარმოაჩინა, რომ შეუძლებელია კომუნიკაციის მოქცევა წინადადების ჩარჩოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ენობრივ ერთეულთა ფუნქციური ანალიზი მოითხოვს მათ განხილვას უფრო მაღალ, კონკრეტულად კი – ტექსტობრივ დონეზე.

4. ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის დანეშის მიერ შემუშავებული ტექსტის ინფორმაციული განვრცობის თეორია და მისი მოდელები, რომლებსაც ლინგვისტურ ლიტერატურაში უნივერსალიებად განიხილავენ. დანეშის თეორიის თანახმად, კომუნიკაციის პროცესში კომუნიკანტებს უგროვდებათ დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომლის კონტროლირებაც ხორციელდება მეტყველი სუბიექტის მიერ გამონათქვამ-მესიჯის თემის შერჩევით და დაფიქსირებით. დანეშმა და ფირბასმა დაამტკიცეს, რომ ტექსტის შინაგან გაბმულობას უზრუნველყოფს ინფორმაციის თემატური პროგრესია, მაშინ როდესაც თემა-რემატული დისტრიბუციის ტიპი განაპირობებს მისი ინფორმაციული მოდელირების ვარიაციულობას. შესაბამისად, ტექსტის თემატური პროგრესია წამოადგენს მისი სიუჟეტის მაორგანიზებელ ღერძს.

5. აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების კვლევის შედეგად წარმოჩინდა ტექსტის ინფორმაციული განვრცობის სტრუქტურული კანონზომიერებანი მიკროტექსტის დონეზე. კვლევამ დაამტკიცა ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს გარკვეული კანონზომიერება აბსოლუტურ კონსტრუქციათა ჩვენს მიერ დადგენილ ლოგიკურ-სემანტიკურ ტიპებსა და ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობის მოდელებს შორის. კერძოდ, წარმოჩნდა, რომ ტექსტის განვრცობის სქემატური მოდელები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის აბ-

სოლუტური კონსტრუქციების საშუალებით ხდება თემატური პროგრესია – მახასიათებლური თუ ხდომილებრივი.

6. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოყენების სიხშირის კოეფიციენტის მიხედვით, მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციებისთვის ტიპობრივია ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა მოდელით – **„ინფორმაციის თემატური პროგრესია გამჭოლი თემით და რთული „გახლეჩილი რემებით“,“** რომელიც მთელისა და ნაწილის სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება. შედეგად იქმნება ნარატიული უანრის მონოთემატური მიკროტექსტი, რომელშიც ტექსტის იფორმაციული განვრცობა მიმდინარეობს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა თანმიმდევრობით, რომლებიც რთულ რემატულ პიკებს ქმნიან თემასთან მიმართებაში. მეორე ადგილზეა **„ინფორმაციის თემატური პროგრესია გამჭოლი თემით და პარალელური ქვეთემებით,“** რომლებიც ზოგადი, უფრო ზუსტად კი, კრებითი შინაარსის მქონე თემის შემადგენელ კონსტიტუენტებად გვეცლინება. რაც შეეხება **„ინფორმაციის მარტივ ხაზოვან თემატურ პროგრესიას,“** რომლის დროსაც რემის თემატიზაცია ეფუძნება მათ შორის არსებულ ლექსიკურ-სემანტიკურ იზოტოპიას. კვლევამ გვიჩვენა, რომ მახასიათებლური კონსტრუქციები ნაკლებად ფუნქციონირებენ ტექსტის ამგვარ განვრცობაში, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ მოდელში აბსოლუტური კონსტრუქციების რაოდენობა, ფაქტიურად, ერთით შემოიფარგლება.

7. კვლევამ ასევე წარმოაჩინა, რომ მახასიათებლურისგან განსხვავებით, ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით ტექსტის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განვრცობა სქემატურად ხორციელდება მხოლოდ **„სხივური მოდელით“**. ეს განპირობებულია იმით, რომ ხდომილებრივი კონსტრუქციების საშუალებით ფორმირებული მიკროტექსტი სტრუქტურულ-სემანტიკურად ერთიანდება ზოგადი შინაარსის მქონე მაკროთემით, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება წინადადების ქვემდებრულ-შემასმენლური ბირთვიდან.

8. დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ განხილული მოდელები აბსტრაჰირებულ სქემებს წარმოადგენენ, რომლებიც ინფორმაციის განვრცობის სტრუქტურულ კანონზომიერებებს წარმოაჩენენ მიკროტექსტის დონეზე. ისინი ნაწილობრივ შესაბამისაობაში არიან ტექსტის ინფორმაციული განვრცობის დანეშისეულ მოდელებთან, რაც წინადადებისა და აბსოლუტური კონსტრუქციების სემანტიკურ იზომორფიზმზე მეტყველებს.

თავი IV

აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების სტილისტური ასპექტი ინგლისურენოვან მხატვრულ ნარატიულ ტექსტში

§1. სინტაქსური სტილისტიკა, როგორც ავტორის კომუნიკაციური კომპეტენციის და სტრატეგიის გამოხატულება

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ეტაპზე, აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირებას ტექსტში განვიხილავთ სინტაქსური სტილისტიკის ჭრილში, როგორც ავტორის კომუნიკაციური კომპეტენციის და სტრატეგიის გამოხატულებას.

საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება ენათმეცნიერებაში შემოტანილ იქნა დელ ჰაიმსის მიერ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩომსკისეული ტერმინის – „ლინგვისტური კომპეტენცია“ – საპასუხოდ და მასთან შინაარსობრივი კონტრასტის ხაზგასმის მიზნით. ამ ცნებაში ჰაიმსმა გააერთიანა ყველაფერი ის, რასაც მოუბარი უნდა ფლობდეს წარმატებული კომუნიკაციის განსახორციელებლად კულტურულად ღირებულ ვითარებაში(ჰაიმსი 1972: 103). ლინგვისტური კომპეტენციისგან განსხვავებით, აქ ყურადღების ცენტრში ექცევა არა ენის ცოდნა, არამედ მისი გამოყენების სოციალური ასპექტები. ლინგვისტური თეორიის ჩომსკისეულ ხედვას ჰაიმსი შეზღუდულად და არასრულად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ლინგვისტური კომპეტენციის გაიგივება ენობრივი სტრუქტურის ცოდნასთან, ყოველგვარი სოციოკულტურული მახასიათებლებისგან განყენებულად, არ არის გამართლებული. გრამატიკულ ცოდნაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვნად უნდა ჩაით-

ვალოს ცოდნა იმისა, თუ როდის ვილაპარაკოთ და როდის არა, ვისთან რაზე ვისაუბროთ, როდის, სად და როგორ (ჰაიმსი 1971: 277). აქედან გამომდინარე, ჰაიმსი აუცილებლად მიიჩნევს ლინგვისტური კომპეტენციის ნაცვლად შემოტანილ იქნეს საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება, რაც გააერთიანებს ყველაფერ იმას, რაც უნდა იცოდეს მოუბარმა კომუნიკაციის წარმატებით განსახორციელებლად.

ჰაიმსმა ვერბალური კომუნიკაციის კომპონენტების იდენტიფიკაციის მიზნით შეიმუშავა თექვსმეტი ელემენტისგან შედგენილი მოდელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში სხვადასხვა ტიპის დისკურსის ანალიზისათვის. საბოლოოდ მან შექმნა აკრონიმი **SPEAKING**, რომლის ქვეშ გააერთიანა რვა ჯგუფად ინტეგრირებული ეს თექვსმეტი ელემენტი (ჰაიმსი 1974: 55):

S – Setting and scene, ანუ გარემო და სცენა. აქ გარემო აღნიშნავს სამეტყველო ფიზიკურ სიტუაციას (ადგილს და დროს), რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციური აქტი ხორციელდება. სცენა კი უფრო ფსიქოლოგიური გარემოა, რამდენადაც, ერთი და იგივე ფიზიკურ გარემოში შესაძლებელია სხვადასხვა ფსიქოლოგიური (მაგ., სერიოზული ან სახუმარო) ატმოსფეროს შექმნა, რაც განსაზღვრავს კიდეც სიტუაციისათვის შესაფერისი ენობრივი ფორმების გამოყენებას (იბიდ: 55).

P – Participants, ანუ მონაწილენი, ადრესანტი და აუდიტორია. აქ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს არა მხოლოდ მონაწილეთა საერთო რაოდენობა, არამედ აუდიტორიის დაყოფაც ადრესატად/ადრესატებად და დანარჩენ მსმენელებად.

E – Ends, რაც გულისხმობს მიზნებსა და შედეგებს. ერთსა და იმავე გარემო'ში და იმავე აუდიტორიასთან შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა მიზნით (მაგალითად, აუდიტორიის გასახალისებლად, მისთვის საინტერესო ინფორმაციის მისაწოდებლად, ჭკუის დასარიგებლად და ა. შ.). ამასთან, შეიძლება მოუბარი და მსმენელი/მსმენელებიც სრულიად

განსხვავებული მიზნებით ჩაერთონ კომუნიკაციის პროცესში. თავის მხრივ, შედეგიც შეიძლება დაიყოს პროგნოზირებად და არაპროგნოზირებად სახეებად.

A – Act sequence, ანუ მოქმედების თანმიმდევრობა. ჰაიმსი ამ კომპონენტში მოიაზრებს სამეტყველო აქტის როგორც ფორმას და შინაარსს, ასევე სტრუქტურულ ორგანიზაციას (მაგალითად, ფორმაში იგი მოიაზრებს ტექსტის ხანგძლივობას – დავუშვათ, 20 წუთიანი მოხსენება; ხოლო შინაარსში კი ამ მოხსენების თემატიკას). ამასთან, მოქმედების თანმიმდევრობაში ჰაიმსი გულისხმობს ისეთ დეტალებს, თუ რა ეტაპზეა ნებადართული შეკითხვების დასმა, მოსმენილის კომენტირება და ა.შ.

K – Key წარმოადგენს მანერას, რომლითაც ხორციელდება სამეტყველო აქტი. მაგალითად: ერთი და იგივე ლექცია შეიძლება წაკითხულ იქნეს მათემატიკური სიზუსტითაც და მსუბუქადაც, უფრო სახალისოდ.

I – Instrumentalities, ანუ ინსტრუმენტები, რაც გულისხმობს არხებს და მეტყველების ფორმებს. იგი მოიცავს სალიტერატურო თუ დიალექტური ფორმების ან სხვადასხვა სამეტყველო სტილის გამოყენებას მიზნის მისაღწევად.

N – Norms, ანუ ნორმები. ეს ეხება იმ სოციალურ პირობითობებს, რომლებიც დომინირებს მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში და განსაზღვრავს კომუნიკანტთა ქმედებებს და რეაქციებს. სწორედ ნორმების გათვალისწინებით ყალიბდება ადრესატის მოლოდინი კონკრეტული სამეტყველო აქტის მიმართ.

G – Ganre, ანუ ჟანრი. აქ განიხილება სამეტყველო აქტის ტიპი, სახე. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობა განსხვავებულ ტერმინებს გვთავაზობს სამეტყველო აქტების კლასიფიკაციისთვის, თუმცა ამ ტაქსონომიების განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

ჰაიმსის ამ უაღრესად საინტერესო მოდელის მოკლე მიმოხილვა წარმოაჩენს, რამდენი ფაქტორი ურთიერთქმედებს

ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტის განხორციელებაში. ბუნებრივია, კომუნიკაციის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა მათგანის გათვალისწინებაა აუცილებელი, რაც იმას გულისხმობს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის ადეკვატური მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ყველა ზემოთ აღწერილ კომპონენტს. ამავდროულად, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ SPEAKING-ის პარამეტრები არა მარტო უნდა მიეწეროს შესაბამის კომპეტენციას, არამედ საჭიროა განისაზღვროს მათ შორის არსებული კავშირები და შეძლებისდაგვარად დადგინდეს, არის თუ არა მათ შორის იერარქიული მიმართებები, ე.ი. არის თუ არა ზოგიერთი ამ პარამეტრთაგანი უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დანარჩენები (ბელი 1980: 280).

საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომელიც ენობრივი კომპეტენციის გაგებაზეა აგებული, შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტუიციური ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს შექმნას და გაიგოს გამონათქვამები კონტექსტში. ლაიონზის ინტერპრეტაციით, ჰაიმსმა საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება შემოიტანა სუბიექტის იმ ცოდნისა და უნარის აღსანიშნავად, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს ყველა ის სემიოტიკური სისტემა, რაც ხელმისაწვდომია მისთვის, როგორც მოცემული სოციოკულტურული კოლექტივის წევრისათვის (ლაიონზი 1977). ასეთი ცოდნა უდავოდ გულისხმობს დისკურსის, შესაბამისად კი – ტექსტის დონეს, სადაც ენა მოქმედებს ღია სისტემის სახით და გამუდმებით ურთიერთქმედებს თავის გარემოცვასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციური კომპეტენცია წარმოადგენს პრაგმატიკული ცოდნის მაგალითს, რომლის ნაწილებადაც მოიაზრება სინტაქსური და სემანტიკური ცოდნა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნება მრავალი მეცნიერის კვლევის საგნად იქცა. ბუნებრივია, რომ თავად ცნების დაზუსტებისა და სიღრმისეული ანალიზის მცდელობამ გარკვეულწილად განსხვავებული, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივი თეორიების ჩამოყალიბე-

ბა გამოიწვია. ამ ხნის განმავლობაში საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნებამ არა ერთი მოდიფიკაცია განიცადა, შეიქმნა ბევრი უაღრესად საინტერესო მოდელი როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის, ისე ზოგადი ლინგვისტიკის წიაღში. მკვლევართა განსხვავებული პერსპექტივისა და ინტერესებიდან გამომდინარე, ამ მოდელებში წინა პლანზე წამოიწია იმ ასპექტებმა, რომლებიც, ფაქტობრივად, უგულვებელყოფილი იყო ჰაიმსისეულ ინტერპრეტაციაში.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს თავად ტერმინის და მისი დეფინიციის საკითხში. მაგალითად, ერვინ ტრიპი საუბრობს „სოციოლინგვისტურ კომპეტენციაზე“ (ერვინ ტრიპი 1972), სტერნი „საკომუნიკაციო კომპეტენციას“ აიგივებს „კომუნიკაციის უნართან“ (სტერნი 1983), სავინიონი მის სინონიმურად იყენებს ტერმინს „ენობრივი ოსტატობა“ (language proficiency. იხ.: სავინიონი 1972), ბახმანი კი გვთავაზობს ტერმინს „ენობრივი კომუნიკაციის უნარი” (ბახმანი 1990).

ჰაბერმასის მიერ შემოთავაზებული საკომუნიკაციო კომპეტენციის დეფინიცია ჩომსკისეულ ხედვასთან უფრო ახლოა ვიდრე ჰაიმსის ინტერპრეტაციასთან. იგი მიიჩნევს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენცია უნდა დავუკავშიროთ იმ წესთა სისტემას, რომლებიც წარმოქმნის იდეალურ სამეტყველო სიტუაციას, და არა ენობრივ კოდებს, რომლებიც ენასა და უნივერსალურ პრაგმატიკას უკავშირებს რეალობაში არსებულ როლებრივ სისტემებს (ჰაბერმასი 1970: 147). ჰაბერმასის განმარტებით, საკომუნიკაციო კომპეტენცია იდეალური სამეტყველო სიტუაციის ხერხების სრულყოფილი ფლობაა. აქ აშკარაა მსგავსება ენობრივი კომპეტენციის ზემოგანხილულ ცნებასთან, რამდენადაც ჰაბერმასი საკომუნიკაციო კომპეტენციას აკავშირებს წესების სისტემასთან, რომელიც წარმოშობს იდეალურ საკომუნიკაციო სიტუაციას.

საკომუნიკაციო კომპეტენციის განსაზღვრის პროცესში სერიოზული ყურადღება დაეთმო კომპეტენციისა და შესრულების (competence vs. performance) ტრადიციული დიქოტომიის გააზრებას ამ ახალ, უკვე კომუნიკაციურ დონეზე. თავად ჰა-

იმსი ამტკიცებს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის გაგება დამოკიდებულია იმ ორი ასპექტის აღიარებაზე, რომლებიც ადრე მკვეთრად იყო გამიჯნული: ეს არის ინტუიტიური ცოდნა და გამოყენების უნარი. ეს გულისხმობს საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნებაში იმის ნაწილობრივ ჩაროვას, რასაც ადრე შესრულება ერქვა, რამდენადაც ჩომსკის წარმოდგენით შესრულება იყო არა მარტო გამოყენების უნარი, არამედ რეალურად გამოყენება.

ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისის გაშლას გეთაეზობენ ქენალი და სუეინი (ქენალი, სუეინი 1980; ქენალი 1983). ქენალი ერიდება ტერმინის „შესრულება“ გამოყენებას მისი ინტერპრეტაციის შესაძლო მრავალფეროვნების გამო. იგი საუბრობს ფაქტობრივ კომუნიკაციაზე (actual communication) და განმარტავს მას, როგორც კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევათა ერთობლიობის (მაგალითად, ლექსიკის, სოციოლინგვისტური პირობითობების ცოდნა და ა.შ.) რეალიზაციას გარკვეული კონტექსტური და ფსიქოლოგიური შეზღუდვების პირობებში. ამ შეზღუდვებში იგულისხმება მეხსიერებისა და აღქმის პრობლემები, დაღლილობა, მღელვარება და ა.შ. (ქენალი 1983: 5). ქენალი (ისევე, როგორც მანამდე ქენალი და სუეინი) საკომუნიკაციო კომპეტენციას მიიჩნევს ფაქტობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, რომელიც მხოლოდ არაპირდაპირ და არასრულად ვლინდება. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნებაში ქენალი აერთიანებს არა მარტო ცოდნას, არამედ უნარ-ჩვევებსაც, რაც ტრადიციულად შესრულების სფეროს განეკუთვნებოდა.

განსხვავებულია უიდოუსონის (უიდოუსონი 1983) ხედვა. იგი ერთმანეთისგან გამიჯნავს საკომუნიკაციო კომპეტენციას და კომუნიკაციის ანუ პროცედურულ უნარს (communicative or procedural capacity). პროცედურული უნარის განსაზღვრისას უიდოუსონი ეყრდნობა დისკურსის ანალიზისა და პრაგმატიკის დებულებებს. იგი საკომუნიკაციო კომპეტენციას განმარტავს როგორც ლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ

პირობითობათა ცოდნას, ხოლო პროცედურულ უნარში გულისხმობს ენობრივი მნიშვნელობის შესაქმნელად ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. მისი აზრით ეს უნარი არ წარმოადგენს კომპეტენციის ნაწილს, არ გარდაიქმნება კომპეტენციად და რჩება მუდმივი შემოქმედებითობის მამოძრავებელ ძალად (Ibid: 27). სწორედ ამ ინტერპრეტაციებიდან გამომდინარე, უიდოუსონი მიიჩნევა პირველ ენათმეცნიერად, რომელმაც კომპეტენცია–შესრულების დიქოტომიის კვლევის პროცესში, შესრულებას, ანუ ენის რეალურ გამოყენებას მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე კომპეტენციას (ბაგარიჩი, უიგუნოვიჩი 2007: 95).

საინტერესოა ასევე სავინიონის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია. იგი ამტკიცებს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენცია არის ჭეშმარიტად კომუნიკაციურ გარემოში ფუნქციონირების უნარი, გარემოში, სადაც ხორციელდება დინამიური ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ლინგვისტური კომპეტენცია უნდა მოერგოს ერთი ან მეტი თანამოსაუბრის მიერ მოწოდებულ როგორც ლინგვისტურ, ისე პარალინგვისტურ ინფორმაციას (სავინიონი 1972: 8). მოცემულ განსაზღვრებაში აქცენტირებულია კომპეტენციის, როგორც უნარის (და არა ცოდნის) დინამიკური ინტერსუბიექტური ბუნება და მისი დამოკიდებულება კონტექსტზე. სავინიონის თვალსაზრისით კომპეტენციაზე დაკვირვება, მისი შესწავლა, განზოგადება და შემდგომი განვითარება მხოლოდ შესრულების მეშვეობით შეიძლება, რადგან ეს უკანასკნელი კომპეტენციის აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს.

საკომუნიკაციო კომპეტენციის შემდგომი პერიოდის გამოკვლევებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ქენალის და სუეინის (ქენალი, სუეინი 1980) მიერ შექმნილმა დიფუჟირებულმა მოდელმა, რომელიც მოგვიანებით ქენალის მიერვე იქნა მოდიფიცირებული. მასში გამოიყოფა ოთხი ძირითადი კომპონენტი: გრამატიკული, სოციოლინგვისტური, დისკურსის და სტრატეგიული კომპეტენცია. კომპეტენციის

ამ ოთხი სფეროს არსისა და საზღვრების დადგენა უაღრესად საინტერესო საკითხია.

გრამატიკული კომპეტენცია შემოიფარგლება ენობრივი კოდის ფლობით. აქ იგულისხმება ენის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ლექსიკური მარაგი, სიტყვათწარმოება, წინადადებათა ფორმირება, მართლწერა და სემანტიკა. კომპეტენციის ეს ტიპი კონცენტრირებულია იმ ცოდნასა და უნარზე, რომელიც საჭიროა გამონათქვამის პირდაპირი მნიშვნელობის გადმოსაცემად და გასაგებად. იგი გულისხმობს ენობრივ სიზუსტეს, რაც უცხო ენის შესწავლის მთავარი მიმართულება იყო საუკუნეების მანძილზე. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ *გრამატიკული კომპეტენცია არის ენის ლექსიკური, მორფოლოგიური და ფონოლოგიური ნიშნების აღქმისა და მათი წინადადებების ფორმირების მიზნით გამოყენების უნარი.* იგი არ არის დაკავშირებული ერთ რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ თეორიასთან. ამდენად, გრამატიკული კომპეტენციის ქენალის და სუეინისეული განმარტება ძალიან ახლოსაა იმასთან, რასაც ჩომსკი „ლინგვისტურ კომპეტენციას“ უწოდებს. ზოგი მკვლევარი, მაგალითად, სავინიონი (სავინიონი 1983), სწორედ ამ ტერმინს იყენებს გრამატიკული კომპეტენციის ნაცვლად.

სოციოლინგვისტური კომპეტენცია განსაზღვრავს იმას, რამდენად მისაღებადაა ჩამოყალიბებული და გაგებული ესა თუ ის გამონათქვამი. აქ იგულისხმება შესაბამისობა სოციოლინგვისტურ კონტექსტთან, ანუ ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა კომუნიკანტთა სტატუსი, ინტერაქციის ნორმები და პირობითობები. ამავდროულად, გასათვალისწინებელია გამონათქვამის შინაარსიც და ფორმაც. თუ კონკრეტული კომუნიკაციური ფუნქცია (მაგ., ბრძანება, საყვედური, მიწვევა და სხვ.) ან დამოკიდებულება (თავაზიანობისა და ფორმალობის ჩათვლით) მისაღებია მოცემული სიტუაციისათვის, მაშინ გამონათქვამი შინაარსობრივად გამართლებულად ჩაითვლება. მაგალითად, გაუმართლებელია, თუ მიმტანი უბრძანებს კლიენტს რესტორანში, რა კერძი შეუკვეთოს მენიუდან, როგორც

არ უნდა გამოხატოს მან ეს საკომუნიკაციო ფუნქცია (ბრძანება). გამონათქვამის ფორმა კი გამართლებულია მაშინ, როცა მოცემული მნიშვნელობა გამოხატულია ვერბალური ან არავერბალური ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება მოცემულ სოციოლინგვისტურ კონტექსტს. მაგალითად, ყოჯლად გაუმართლებელია, თუ მდიდრული რესტორნის მიმტანი იღებს შეკვეთას არაოფიციალური რეგისტრის, სლენგის გამოყენებით.

ქენალი და სუეინი სოციოლინგვისტური კომპეტენციის ჭრილში განიხილავენ ისეთ შემთხვევებს, როცა კომუნიკაციის წარმატებისათვის სასურველია კომუნიკანტმა გამოამჟღავნოს არაკომპეტენტურობა ან მაგალითად, გაჩუმდეს (ქენალი, სუეინი 1980). ავტორების აზრით, სოციოლინგვისტური კომპეტენციის მნიშვნელობა კომუნიკაციის წარმატებისათვის განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ჯერ ერთი, კომუნიკაციისას გამონათქვამის გრამატიკულ სისწორეზე არანაკლებ (ხშირად, მეტად) მნიშვნელოვანია რამდენად გამართლებული და მისაღებია იგი მოცემულ სიტუაციაში. ამას ადასტურებს ენით სარგებლობის შესახებ არსებული ემპირიული მონაცემები. მეორე ფაქტორია ის, რომ ხშირად პირდაპირი მნიშვნელობა და არავერბალური მინიშნებები (სოციოკულტურული კონტექსტი და ჟესტები) ვერ იძლევა საკმარის მასალას გამონათქვამის მნიშვნელობის გასაგებად.

დისკურსის კომპეტენცია – ეს არის უნარი, წარმატებულად განხორციელდეს გრამატიკულ ფორმათა და მნიშვნელობათა შერწყმა სხვადასხვა ჟანრის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის შექმნის პროცესში. ტექსტის ერთიანობა მიიღწევა კოჰეზიითა და კოჰერენტულობით. კოჰეზიაში ანუ ფორმის შეკრულობაში ქენალი გულისხმობს იმას, თუ როგორაა დაკავშირებული გამონათქვამები ერთმანეთთან სტრუქტურულად და რამდენად უწყობს ეს ხელს მთლიანი ტექსტის გაგებას (ქენალი 1983). ასე, მაგალითად, ისეთი საშუალებები, როგორიცაა ნაცვალსახელები, სინონიმები, ელიფსისი, კავშირები და პარალელური სტრუქტურები კავშირს ამყარებს ცალკე-

ულ გამონათქვამებს შორის და მიგვანიშნებს, როგორ უნდა იქნას აღქმული (ლოგიკურად თუ ქრონოლოგიურად) გამონათქვამთა ესა თუ ის ჯგუფი როგორც ერთიანი ტექსტი.

კოჰერენტულობა, ანუ „მნიშვნელობათა ურთიერთშესაბამისობა“ ტექსტში გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობას შორის ურთიერთობას ეხება, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ მნიშვნელობებს, ისე კომუნიკანტთა ინტენციებს. ეს ინტერპრეტაცია ახლოსაა ამ ტერმინების მაკაროვისეულ დეფინიციებთან, სადაც კოჰეზია აღნიშნავს „დისკურსის ფორმალურ-გრამატიკულ შეკრულობას“, ხოლო კოჰერენტულობა, ამასთან ერთად, „დისკურსის აზრობრივი და ინტერაქტიული შეკრულობის სემანტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტებსაც“ მოიცავს (მაკაროვი 2003: 195). დისკურსის წესების ცოდნა და მისი წარმართვის უნარი საკმაოდ ადვილად გაემიჯნება გრამატიკულ კომპეტენციასა და სოციოლინგვისტურ კომპეტენციას. საილუსტრაციოდ განვიხილოთ უიდოუსონის მაგალითი (uidousoni 1978: 87),

Speaker A: What did the rain do?

Speaker B: The crops were destroyed by the rain.

სადაც პასუხი გრამატიკულად და სოციოლინგვისტურად გამართლებულია, თუმცა კითხვას მაინც არ ესადაგება. აქ დარღვევა დისკურსის დონეზე ხდება, რადგან არ არის გათვალისწინებული, რომ, როგორც წესი, ინგლისური წინადადების სწორად ორგანიზებისას თემა (ძველი ინფორმაცია) წინ უნდა უსწრებდეს რემას (ახალ ინფორმაციას). ამდენად, დიკურსის კომპეტენცია უნდა მართავდეს გრამატიკულად და სოციოლინგვისტურად დასაშვები ფრაზების არანჟირებას ტექსტში.

სტრატეგიული კომპეტენცია ქენალისა და სუეინისეულ მოდელში მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რომელთა ამოქმედებაც ხდება არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული პერფორმატიული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით ან მისი კომპენსირებისთვის (ქენალი, სუეინი 1980: 30).

მოგვიანებით, ქენალმა დამატებითი განზომილება შეიტანა ამ განსაზღვრებაში და დააზუსტა, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები გამოიყენება აგრეთვე „კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდისათვის“ (ქენალი 1983). იგი მიიჩნევს, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები უნდა ამოქმედდეს ორ შემთხვევაში:

ა) თუ სრულფასოვან კომუნიკაციას აბრკოლებს კონკრეტული აქტისას წარმოქმნილი ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგალითად, თუ მოსაუბრე ვერ იხსენებს საჭირო აზრს ან გრამატიკულ ფორმას) ან ენობრივი სუბიექტის არასაკმარისი კომპეტენტურობა საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთ ან რამდენიმე ასპექტში;

ბ) თუ გვსურს უფრო ეფექტური გავხადოთ კომუნიკაცია (მაგალითად, მეტყველების განგებ შენელება ან შერბილება რაიმე რიტორიკული ეფექტის მისაღწევად).

სტრატეგიული კომპეტენცია, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, გამოყენებითი ენათმეცნიერების წიაღში გამოიყო. ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი გაგება კომუნიკაციის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სტერნი ეთანხმება ქენალისა და სუეინის დეფინიციას და მიიჩნევს, რომ უცხოური ენის შემსწავლელის საკომუნიკაციო კომპეტენცია მშობლიურ ენაზე მეტყველი სუბიექტის კომპეტენციისგან განსხვავებულად უნდა განვიხილოთ (სტერნი 1983: 229). რამდენადაც ენის შემსწავლელის დანარჩენი კომპეტენციები შეზღუდულია, ჩნდება დამატებითი უნარის ანუ სტრატეგიული კომპეტენციის განვითარების აუცილებლობა. ავტორის აზრით, რაც უფრო ვითარდება შემსწავლელის საკომუნიკაციო კომპეტენციის სხვა ასპექტები, მით უფრო მცირდება ამ დამატებითი ასპექტის მნიშვნელობა.

მოგვიანებით ამ ინტერპრეტაციებით დაუკმაყოფილებლობამ გამოიწვია სტრატეგიული კომპეტენციის ცნების გაფართოება. მაგალითად, ტაროუნისა და იულისეული განმარტება უფრო მრავალისმომცველია ვიდრე ქენალისა და სუეინის მიერ შემოთავაზებული. გარდა იმ სტრატეგიებისა, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადასალახად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კიდევ ერთ ასპექტზე. ეს არის ზოგადი უნარი, წარმატებით გადასცეს ინფორმაცია მსმენელს ან მოახდინოს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია (ტაროუნი, იული 1989: 103). ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც საკომუნიკაციო სტრატეგიების კვლევის თანამედროვე ეტაპზეც კი ყურადღება ძირითადად პროდუცირების სტრატეგიებზეა გამახვილებული და რეცეფციული სტრატეგიები ძირითადად უგულვებელყოფილია.

სტრატეგიული კომპეტენციის ბახმანის და პალმერის მიერ შემუშავებული განმარტება ბევრი თვალსაზრისით ახლოს არის ტაროუნისა და იულის დეფინიციასთან, თუმცა აქ უკვე საუბარია კომუნიკაციის პროცესში ენობრივი სუბიექტის მიერ საკუთარი კომპეტენციის გამოვლენისა და განხორციელების უნარზე (ბახმანი, პალმერი 1996). მათი განმარტებიდან ნათელი ხდება, რომ სტრატეგიული კომპეტენცია შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უნარი, სწორად შევაფასოთ კონტექსტი და განვსაზღვროთ, თუ ენობრივი კომპეტენციის რომელი კომპონენტების გამოყენება იქნებოდა ყველაზე მიზანშეწონილი და ეფექტური ამ სიტუაციაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორები სტრატეგიულ კომპეტენციას აღიქვამენ როგორც მეტაკოგნიტური კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს ენობრივ სუბიექტს დაისახოს მიზანი, შეაფასოს საკომუნიკაციო წყაროები და დაგეგმოს კომუნიკაცია. მიზანი აქ გულისხმობს შესაძლო ქმედებების, ამოცანების ერთობლიობას, მათ შორის არჩევანის გაკეთებას და გადაწყვეტილების მიღებას, ეცადოთ თუ არა რომელიმე მათგანის განხორციელება. შემდეგი ეტაპია

შეფასება, როდესაც ხდება ენის გამოყენების დაკავშირება საკომუნიკაციო კომპეტენციის სხვა ასპექტებთან, მაგალითად თემატურ ცოდნასა და ეფექტურ (ემოციურ) სქემებთან. დაგეგმვის ეტაპზე ენობრივი სუბიექტი გადაწყვეტს, როგორ განახორციელოს შერჩეული მიზანი ენობრივი ცოდნის და ენის გამოყენების პროცესის სხვა კომპონენტების მეშვეობით. ამ მოკლე მიმოხილვის საფუძველზეც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ სტრატეგიული კომპეტენციის ბახმანისა და პალმერისეული ინტერპრეტაცია უფრო ღრმა და დეტალურია, ვიდრე ჩვენს მიერ მანამდე განხილული მოდელები.

ანალოგიურ აზრს გვთავაზობს კომუნიკაციურ კომპეტენციასა და სტრატეგიასთან მიმართებაში რუსი მკვლევარი მაკაროვი (მაკაროვი 2003: 193). იგი აღნიშნავს, რომ ფორმალური ლინგვისტიკა ეყრდნობა წესებს, მაშინ როდესაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა, განსაკუთრებით კი – პრაგმატიკა, სტრატეგიებს ეფუძნება. მაკაროვი *კომუნიკაციურ სტრატეგიას განიხილავს, როგორც მეტყველი სუბიექტის გადაწყვეტილებათა ერთგვარ ჯაჭვს, რომელიც აერთიანებს არჩევანს განსხვავებულ სამეტყველო ქმედებებსა და ენობრივ საშუალებებს შორის, საკუთარი ინტენციის განხორციელების მიზნით.* ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაკაროვი საკომუნიკაციო სტრატეგიას უკავშირებს მიზნების რეალიზაციას, რამდენადაც მას მიაჩნია, რომ ეს ორი მომენტი – გადაწყვეტილების მიღება არჩევანის გაკეთებაზე და მიზნების რეალიზაცია – ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება; უფრო მეტიც, ისინი ავსებენ ერთმანეთს და ერთობლიობაში უფრო ნათლად წარმოაჩენენ ვერბალური ურთიერთობის მრავალდონიან და მრავალფუნქციურ ბუნებას. კომუნიკაციის პროცესში ენობრივი სუბიექტი აკეთებს არჩევანს იმ საშუალებების სასარგებლოდ, რომლებიც მის მიზნებს მეტად შეესაბამება. მაკაროვის აზრით, ასეთ შემთხვევაში საკომუნიკაციო სტარტეგია გვევლინება როგორც კოგნიტური პროცესი, რომელშიც ხდება კომუნიკაციური მიზნისა და კონკრეტული ენობრივი გამონათქვამის შეთავსებადობის დადგენა.

კომუნიკაციური სტრატეგიის ცნებამ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან სერიოზული ევოლუცია განიცადა. თუ თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ მათი გააქტიურება მხოლოდ არასაკმარისი კომპეტენციის ან გარკვეული პერფორმატიული ფაქტორების გამო კომუნიკაციის ჩაშლის საფრთხის საკომპენსაციოდ ხდებოდა, დღეს მათი ფუნქციის გაცილებით უფრო ფართო ინტერპრეტაციაა მიღებული. ეს ნაწილობრივ იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავდაპირველად სტრატეგიული კომპეტენციის შექმნის ყველა მცდელობა კონცენტრირებული იყო ე.წ. ლექსიკურ სტრატეგიებზე, რომლებიც ორიენტირებული იყო კონკრეტული ერთეულების სემანტიკური პრობლემების დაძლევის გზებთან. დღეს კი მკვლევართა ყურადღებამ ლექსიკურიდან კოგნიტურ სტრატეგიებზე გადაინაცვლა. *აღნიშნული ტერმინოლოგიური ცვლილება, ამასთანავე, გულისხმობს სემანტიკურიდან პრაგმატიკულ მიდგომაზე გადასვლას, რადგანაც ყურადღების ცენტრში ექცევა კოგნიტური სტრატეგიები, რომლებიც ადრესანტის სუბიექტური მოდალობის გამომხატველია, რაც რეალიზებას ჰპოვებს არა მარტო ლექსიკური ერთეულების შერჩევაში, არამედ წინადადებებისა და ტექსტის სინტაქსურ სტრუქტურაციაშიც.*

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქართველი მკვლევრის – ნინო ნიჟარაძის სადისერტაციო ნაშრომზე, რომელზეც ნაწილობრივ გვქონდა მსჯელობა მონოგრაფიის პირველ თავში (ნიჟარაძე 2010). ავტორი კრიტიკულად განაზოგადებს საკომუნიკაციო კომპეტენციასა და სტრატეგიებზე არსებულ თანამედროვე ლინგვისტურ კონცეფციებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს ხსენებულ ცნებათა უაღრესად საინტერესო დეფინიციებს. ნიჟარაძეს კომუნიკაციური კომპეტენციის ცნებით შინაარსში „ცოდნასთან“ ერთად შემოაქვს, ერთი მხრივ, ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორიც არის „უნარი“; მეორე მხრივ კი, დეფინიციაში რთავს „სოციუმის“ და „სემიოტიკური სისტემის“ ცნებებს. შედეგად, იგი გვთავაზობს კომუნიკაციური კომპეტენ-

ციის საკუთარ განმარტებას, რომლის მიხედვითაც იგი განიხილება, როგორც *„ენობრივი სუბიექტის ცოდნა და უნარი, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს მისთვის, როგორც კონკრეტული სოციუმის წევრისათვის, ხელმისაწვდომი ყველა სემიოტიკური სისტემა“* (ნიჟარაძე 2010: 6). ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ლინგვისტთა მსგავსად, ავტორი ყურადღების კონცენტრირებას ახდენს კომუნიკაციური კომპეტენციის დიფერენცირებულ განხილვაზე და ცალკე გამოყოფს სტრატეგიული კომპეტენციის ცნებას, რომელიც ზოგადად განიხილება როგორც რაიმე მიზნის მისაღწევად *მეტყველი სუბიექტის გადაწყვეტილებათა ერთგვარი ჯაჭვი*, რომელიც აერთიანებს არჩევანს სხვადასხვა სამეტყველო ქმედებებსა და ენობრივ საშუალებებს შორის. ნიჟარაძე აქაც გვთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციას და სტრატეგიული კომპეტენციის ცნებაში დომინანტურ მაიდენტიფიცირებელ პარამეტრად მიიჩნევს არა „გადაწყვეტილებათა ჯაჭვს“, არამედ „მეტყველი სუბიექტის უნარს, საკუთარი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც ოპტიმალურად შეასრულებს მისი კომუნიკაციური ინტენციის განხორციელების ფუნქციას“ (ნიჟარაძე 2010: 3). ავტორს სტრატეგიული კომპეტენციის კვლევა გადააქვს სინტაქსურ დონეზე, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს მის ცნებით შინაარსში, რომელსაც იგი გვთავაზობს მოგვიანებით: “საკომუნიკაციო *სტრატეგიებს განვიხილავთ, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მეტყველ სუბიექტს, მოახდინოს გამონათქვამის იმგვარი სტრუქტურირება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ადრესატისთვის რაც შეიძლება ეფექტურად“* (Ibid: 34). შესაბამისად, ნიჟარაძე სინტაქსურ სინონიმიას განიხილავს, როგორც სტრატეგიული კომპეტენციის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს და ინსტრუმენტს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ენობრივ სუბიექტს ერთნაირი მნიშვნელობის, მაგრამ განსხვავებული შეფერილობის მქონე ალტერნატიული სტრუქტურებიდან

აირჩიოს ის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ოპტიმალურად ეფექტურია კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში.

რამდენადაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვოსემიოტიკური და სტილისტური თავისებურებების კვლევა მხატვრულ ნარატიულ ტექსტში, იმდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომუნიკაციური სტრატეგიის ცნებითი შინაარსის კიდევ უფრო გაფართოება და დაზუსტება. ჩვენ მიერ განხილულ თითქმის ყველა ნაშრომში მკვლევართა ინტერესი საკომუნიკაციო კომპეტენციისა და სტრატეგიების მიმართ განპირობებული იყო გამოყენებითი ლინგვისტიკის, კერძოდ, ენის სწავლების მეთოდიკის სრულყოფის მიზნით, რის გამოც ყურადღების მიღმა რჩებოდა ამ ცნებების განხილვა მხატვრული ტექსტის დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგნორირებული იყო ავტორის შემოქმედებითი უნარი, რომელიც, პირველ რიგში, ორიენტირებულია თხრობის ემოციურობასა და ექსპრესიულობაზე, რაც უმთავრესად მიიღწევა ლექსიკურ და სინტაქსურ საშუალებათა სტილისტური გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **წინამდებარე ნაშრომში საკომუნიკაციო სტრატეგიას განვიხილავთ, როგორც ენობრივ კომპეტენციაზე დაფუძნებულ მეტყველი სუბიექტის (ავტორის) შემოქმედებით უნარს, საკუთარი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის ენობრივი საშუალებები, იქნება ეს ლექსიკური, სტრუქტურული თუ სტილისტური, რომელთა ერთობლიობაც თანმიმდევრულად უზრუნველყოფს მისი კომუნიკაციური ინტენციის და ესთეტიკურ-შემეცნებითი მოდუსის წარმატებით განხორციელებას.**

§2. აბსოლუტური კონსტრუქციები, როგორც ავტორის ესთეტიკურ-შემეცნებითი მოდალობის გამომხატველი სინტაქსურ-სტილისტური საშუალება

ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში აბსოლუტური კონსტრუქციების ხშირი გამოყენება დაკავშირებულია ისეთ პრაგმატიკულ ფაქტორებთან, როგორიც არის ავტორის კო-

მუნიკაციური კომპეტენცია და სტრატეგია, მისი ესთეტურ-შემეცნებითი სუბიექტური მოდუსი. წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ კომუნიკაციური კომპეტენციისა და სტრატეგიის ცნებები. ამ პარაგრაფში კი ყურადღების კონცენტრირებას მოვახდენთ აბსოლუტური კონსტრუქციების როლზე სუბიექტური მოდუსის გამოხატვაში. ვფიქრობთ, რომ კვლევის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური მეთოდოლოგიის კონცეპტუალური აპარატის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს სრულად წარმოვაჩინოთ ის უნიკალური როლი, რასაც ეს კონსტრუქციები ასრულებენ ავტორის ესთეტურ-კომუნიკაციური ჩანაფიქრის რეალიზებაში.

ჩვენ პირველ თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობას განიხილავენ, როგორც უნივერსალურ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს როგორც გამონათქვამის მიმართებას სინამდვილისადმი, ასევე მასში მოცემული შეტყობინების სხვადასხვა ტიპის სუბიექტურ კვალიფიკაციას (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990: 303). შესაბამისად, განასხვავებენ მოდალობის ობიექტურ და სუბიექტურ სახეებს. ობიექტური მოდალობა ნებისმიერი წინადადების აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რომელიც ზმნის კილოს კატეგორიის საშუალებით რეალიზდება წინადადების გრამატიკულ პარადიგმაში და, ტემპორალურობის კატეგორიასთან ერთად, მის პრედიკატულობას ქმნის, რითაც გამოხატავს გამონათქვამის დამოკიდულებას ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში მისი რეალურობა/არარეალურობის და ა. შ. პლანში.

სუბიექტური მოდალობა კი ავტორის დამოკიდებულებას გამოხატავს გამონათქვამში ასახული ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ. მის კონცეპტუალურ საფუძველს შეფასების ცნება წარმოადგენს ამ სიტყვის ფართო გაგებით, რადგანაც იგი გულისხმობს არა მარტო შეტყობინების სუბიექტურ კვალიფიკაციას, არამედ მეტყველი სუბიექტის ემოციურ რეაქციებსაც (Ibid: 1990: 303). მოდალობის ეს სახე პრაგმატიკულია თავისი არსით, რამდენადაც მასში

გამოხატულებას ჰპოვებს ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი ძირითადი თვისება: დაუპირისპიროს საკუთარი „მე“ „არა მე“-ს. იდეა, რომელიც გამონათქვამის ფაქტობრივი შინაარსის (დიქტუმის) შეპირისპირებას ითვალისწინებს მის ინდივიდუალურ შეფასებასთან (მოდუსთან), დასაბამს იღებს ფრანგი მეცნიერის, შარლ ბალის ლინგვისტურ კონცეფციაში. ბალი მოდუსს განსაზღვრავს როგორც მეტყველი სუბიექტის აქტიურ გონებრივ ოპერაციას იმ რეფერენტული სიტუაციის მიმართ, რომელიც დიქტუმშია მოცემული (ბალი 1955: 44).

ლინგვისტური პრაგმატიკის განვითარებამ ბიძგი მისცა სუბიექტური მოდალობის განხილვას სხვადასხვა დონეებზე. ოსტინის, სერლის და ვენდლერის მიერ შემუშავებულ სამეტყველო აქტების თეორიაში იგი გამონათქვამის პრაგმატიკულ კატეგორიად განიხილება მის პროპოზიციულ შინაარსთან მიმართებაში (ოსტინი 1962; სერლი 1969; 1986; კობოზევა 1986). მათგან განსხვავებით, კუხარენკო (კუხარენკო 1988), გალპერინი (გალპერინი 1981) და ტურაევა (ტურაევა 1986) უკვე ტექსტის მოდალობაზე მსჯელობენ და მას ავტორის ესთეტურ-ფილოსოფიური კონცეფციის, მისი კოგნიციის, პრაგმატიკული მიმართების, ინდივიდუალური სტილის და აზროვნების მაჩვენებლად მიიჩნევენ.

ავტორისეული მოდუსი გამოხატულებას ჰპოვებს არა მარტო ტექსტის საერთო შინაარსში, პერსონაჟების სახეების შექმნასა და ნაწარმოების არქიტექტონიკაში, არამედ მის სტილისტურ, სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურაციაშიც. მათგან ყველაზე ქმედით, მაგრამ ნაკლებად შესამჩნევ ფაქტორს სინ-ტაქსი წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მხატვრული მეტყველების მკვლევარის, იულია ნოვოტნაიას აზრი, რომლის ციტირებასაც ვ. კუხარენკო ახდენს[13]: „რამდენადაც ჩვენ ბუნებრივად მიდრეკილნი ვართ,

---

[13] «Так как мы естественно склонны воспринимать отношения, передаваемые синтаксисом без дополнительных усилий, его действенность в качестве источника поэтического наслаждения часто замечается нами в последнюю

სინტაქსური საშუალებებით გადმოცემული მიმართებები აღვიქვათ დამატებითი ძალდატანების გარეშე, იმდენად შეუმჩნეველი რჩება ან სულ ბოლოს მოვიაზრებთ სინტაქსს, როგორც პოეტური ტკბობის ქმედით წყაროს. შედეგად კი აღმოჩნდება, რომ სინტაქსი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც ხელოვანის, ისე მკვლევარისათვის, რადგანაც ის შეუმჩნეველად ქმნის ძლიერ ეფექტს და ეს ეფექტი აუხსნელი რჩება მანამდე, სანამ არ აღმოვაჩენთ სინტაქსის მნიშვნელობას" (კუხარენკო 1988: 53).

სუბიექტური მოდალობის სინტაქსური რეალიზება მის ექსპრესიულ ექსპლიკაციაში მდგომარეობს. თავის მხრივ, ექსპრესიულობა სინტაქსურ დონეზე გულისხმობს წინადადების ისეთ სტრუქტურულ ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამის ემოციურ და/ან ლოგიკურ ინტენსიფიკაციას, ასახავს რა მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ. ლინგვისტურ ლიტერატურაში სინტაქსური ექსპრესიულობის ძირითად პარამეტრებად *წინადადების სტრუქტურას* და *სიგრძეს* მიიჩნევენ (კუხარენკო 1988: 53; სოლგანიკი 1991). ემპირიული მასალის ანალიზი კი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ინგლისურენოვან მხატვრულ ნარატიულ ტექსტში ორივე მათგანის რეალიზებაში უდიდესი როლი მიუძღვის ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენას და მის შედეგად წარმოქმნილ აბსოლუტურ კონსტრუქციებს, რომლებიც სტილისტურად არიან მარკირებული, გააჩნიათ რა ავტორის სუბიექტური მოდალობის გამომხატველი კონოტაციური დატვირთულობა.

სტილისტურ ფუნქციას მკვლევარები ენის მეორად ფუნქციად მიიჩნევენ კომუნიკაციურის შემდეგ, რადგანაც იგი

очередь, а то и не замечается вовсе. В результате оказывается, что синтаксис чрезвычайно важен и для художника, и для исследователя, потому что он создает сильный эффект незаметно, и эффект этот остается необъяснимым до тех пор, пока не обнаруживается значение синтаксиса» (Кухаренко 1988: 53).

თავის თავში მოიცავს ემოციურობის და ექსპრესიულობის ცნებებს (არნოლდი 1981: 15). ენას აქვს შესაძლებლობა, გადასცეს ინფორმაცია ან გამოხატოს აზრი ნეიტრალური და არანეიტრალური საშუალებებით. ენის ნეიტრალური ფუნქციონირებისას, მის ძირითად დანიშნულებას საგნობრიეულოგიკური ანუ ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს, მაშინ როდესაც მისი სტილისტური გამოყენებისას ეს ინფორმაცია გამდიდრებულია ემოციური, აქსიოლოგიურშეფასებითი, ხატოვანი ან ესთეტურ-შემეცნებითი კომპონენტებით, რაც გამონათქვამს ექსპრესიულობას სძენს იმ ნეიტრალურ ეკვივალენტთან შედარებით, რომელიც სინამდვილის იგივე ფაქტს ასახავს. ესთეტურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით ენის სტილისტური ფუნქცია გულისხმობს შეტყობინებაში რეალური სამყაროს მხატვრული, ხატობრივი ხედვის ასახვას. პრაგმატიკულ ასპექტში კი იგი განიხილება როგორც მეტყველი სუბიექტის/ავტორის სუბიექტური მოდალობის გამოხატვა იმ მოვლენებისა და ფაქტების მიმართ, რომელთა შესახებაც შეტყობინება კეთდება. ანუ, ეს არის ემოციები, დამოკიდებულებები და შეფასებები, რომელსაც ავტორი მკითხველს გადასცემს (მარტაშვილი 2003: 8).

მიგვაჩნია, რომ ემპირიული მასალის ტრანსფორმაციული ანალიზით შეიძლება დასაბუთდეს, რომ მხატვრულ ნარატიულ ტექსტში ერთი და იგივე აზრის ექსპლიკაციის სინტაქსური ვარიანტულობის დროს, ნომინალიზაციის შედეგად წარმოქმნილი აბსოლუტური კონსტრუქციები ხდის წინადადებას სტილისტურად მარკირებულს, მატებს რა მას ემოციურ შეფერილობას და ექსპრესიულობას. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სინტაქსური წყვილები:

1. "He saw a long procession of people coming across the dunes, **all of them carrying parcels and bundles and some of them pulling carts.**" (მორიერი 1995: 291). < > She saw a long procession of people coming across the dunes; **all of them were carrying parcels and bundles and some of them were pulling carts.**

2. "She read one story from the Arabian Nights to Lily each Sunday night, **Lily calling it their Sunday dessert.**" (სთოუნი 1998: 150) < > She read one story from the Arabian Nights to Lily each Sunday night. **Lily called it their Sunday dessert.**

მოცემული წინადადებები ერთი და იგივე ექსტრალინგვისტური სიტუაციის ექსპლიკაციის სამეტყველო ვარიანტებს ანუ სინტაქსურ სინონიმებს წარმოადგენენ, რის გამოც მათი ურთიერთტრანსფორმირების შესაძლებლობა ორმხრივი ისრით არის აღნიშნული. ამავდროულად მათში ნათლად ჩანს, რომ საწყისი ანუ ავტორისეული წინადადება თავისი სინტაქსური სტრუქტურაციით (კერძოდ, ნომინალიზებული აბსოლუტური კონსტრუქციით) და ინტონაციური გაფორმების წყალობით სტილისტურად მარკირებულია და ხასიათდება ემოციურ-ექსპრესიულობითა და დინამიურობით, მაშინ როდესაც მის ტრანსფორმაციულ ვარიანტში სუბიექტური მოდალობის გამომხატველი ეს კონოტაციური ნიშნები დაკარგულია მეორე პროპოზიციის პრედიკატული (ანუ ქვემდებარულ-შემასმენლური) გაფორმების გამო, რის შედეგადაც თხრობა ფაქტების რაციონალური კონსტატაციით შემოიფარგლება.

კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირება ტექსტში უმთავრესად ორი სახით ხდება:

1. განკერძოებულად, დამოუკიდებელი გამონათქვამის სახით;
2. რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციით, რომლის საშუალებითაც სინტაქსურად მარტივი წინადადება სემანტიკურად ასიმეტრიულ, პოლიპროპოზიციურ სტრუქტურად გარდაიქმნება.

მიგვაჩნია, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირების აღნიშნული ტიპების საერთო, ინტეგრალურ თვისებას ავტორისეული მოდუსის გამომხატველი ექსპრესიულობა

წარმოადგენს, ხოლო დიფერენციალურ მახასიათებლებლად კი ამ მოდალობის ემოციურ-შეფასებით და ემოციურ-კოგნიტურ ასპექტებს განვიხილავთ.

§3. აბსოლუტური კონსტრუქციების ფუნქციონირება დამოუკიდებელი წინადადების სახით და მათი სტილისტური დანიშნულება

ა) ემოციურ-შეფასებითი მოდალობა

თავდაპირველად განვიხილოთ ავტორისეული მოდუსის გამოხატულება გამონათქვამის ნომინალიზაციის გზით, ანუ აბსოლუტური კონსტრუქციით, რომელიც დამოუკიდებელ წინადადებად არის გამოტანილი ტექსტში:

1. "Jessie got home as quickly as possible, refused dinner and went straight to bed, lying as still and lifeless as a corpse. **John coming home under arrest!"**

(სთოუნი 1998: 156)

2. "Rhett didn't mind lending his money to that old matron, Mrs. Merriwether. She started with a basket of pies and look at her now! **A bakery employing half a dozen people, old grandpa happy with his delivery wagon and that little Creole, Rene, working hard and liking it !"**

(მიჩელი 1995: 620)

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ემოციურად დატვირთული ეპიზოდებია წარმოდგენილი, სადაც ავტორი ე.წ. „ყოვლისმცოდნე მთხრობელად" გვევლინება, რომელიც გარედან აკვირდება განვითარებულ მოვლენებს. შესაბამისად, მისი სუბიექტური მოდუსი ტექსტში ორი სახით რეალიზდება: ერთპლანიანი, საკუთრივ მთხრობელის ემოციურ-შეფასებითი მოდალობა, რომელიც პირველ მაგალითში, ფაქ-

ტობრივ ინფორმაციასთან ერთად, საწყის გამონათქვამში არის უშუალოდ ექსპლიცირებული სტრუქტურულ-სემანტიკურად ხატოვანი შედარებით – "lying as still and lifeless as a corpse", რის გამოც მისი აღქმა-დეკოდირება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მკითხველისათვის.

ემოციურობა კულმინაციას აღწევს მომდევნო გამონათქვამში – **"John coming home under arrest!"**, რომელიც, ლექსიკურ-სემანტიკური ნეიტრალურობის მიუხედავად, სტილისტურად მარკირებულ და კონოტაციურად უაღრესად დატვირთულ ქვეტექსტს წარმოქმნის სინტაქსური და ინტონაციური ექსპრესიული საშუალებებით. ამ მიზნით ავტორი მიმართავს გამონათქვამის ნომინალიზაცია-დევერბალიზაციას, რითაც მთხრობელის ემოციურ-შეფასებითი ნარაცია ორპლანიანი ხდება, იღებს რა ამავდროულად მოქმედი პირის, ჯესის, შინაგანი მეტყველების ფორმას, რომელშიც უკვე მისი პირადი ემოციებია ჩაქსოვილი. გამონათქვამის ზედაპირულ სტრუქტურაში ავტორი ახდენს ჯესის ამგვარი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გამომწვევი მიზეზის ექსპლიცირებას ინტონაციურად გაფორმებული მიმღეობიანი აბსოლუტური კონსტუქციით, რის შედეგადაც გამონათქვამი კარგავს ობიექტური მოდალობის კილოსა და ტემპორალურობის მახასიათებლებს, მაგრამ სანაცვლოდ იძენს სუბიექტურ მოდალობას, რომელიც ქვეტექსტში რეალიზდება და რომლის აღქმაც მხოლოდ კონტექსტის ფონზეა შესაძლებელი. როგორც ვ. კუხარენკო აღნიშნავს, „ამასთან, ენობრივი ერთეულის იმპლიციტური მნიშვნელობა არ ემთხვევა მის ექსპლიციტურ მნიშვნელობას, მაგრამ გამოირჩევა დამოუკიდებელი აზრით, რომელიც ავტონომიურია ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურაში ხაზოვნად რეალიზებული აზრისგან" (კუხარენკო 1988: 97[14]). ილუსტრირებულ პირველ მაგალითშიც ავტორის მიერ

---

[14] «При этом имплицитное значение языковой единицы не совпадает с эксплицитным значением, но отличается самостоятельным смысл

ორი სახის ინფორმაციაა ჩადებული: ა) დიქტალური, რომ ჯონი დაპატიმრებული ბრუნდებოდა სახლში, რომელიც ექსპლიციტურად არის მოცემული გამონათქვამში, და ბ) მოდალური, რომელიც ავტორის მიერ ქვეტექსტშია იმპლიცირებული. ეს არის ჯონის დაპატიმრებით გამოწვეული ჯესის უარყოფითი ემოციები – შეშფოთება, შიში, გაურკვევლობა და ამ ფაქტის დაუჯერებლობა. რომ არა გამონათქვამის ნომინალიზაცია, ეს მოდალური ინფორმაცია დაიკარგებოდა ქვეტექსტთან ერთად.

ანალოგიურად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული მეორე მაგალითიც, სადაც აბსოლუტური კონსტრუქციებით წარმოქმნილ ქვეტექსტში მისის მერიუოთერის და მისი ოჯახის წევრების დაუღალავი შრომით და ბიზნესწარმატებებით გამოწვეული რეტ ბათლერის დადებითი ემოციები – მოწონება და აღტაცებაა ჩაქსოვილი (**"A bakery employing half a dozen people, old grandpa happy with his delivery wagon and that little Creole, Rene, working hard and liking it!"**).

ბ) ავტორისეული კოგნიციის ემოციურ-ექსპრესიულობა

ემპირიული მასალის ანალიზი გამონათქვამის ნომინალიზაციის და მისი დამოუკიდებელ წინადადებად გამოტანის კიდევ ერთ საინტერესო თავისებურებას წარმოაჩენს. ემოციური ხასიათის ნარატიულ ტექსტში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ტიპის ნომინალიზაცია ავტორის მოდუსის არა ემოციურ-შეფასებით, არამედ მისი კოგნიციის ემოციურ-ექსპრესიულ გამოხატულებას ემსახურება. ასეთ დროს ნომინალიზებული გამონათქვამების გამოყენება ემფატიკურად გამოყოფს და მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს სინამდვილის ისეთ მოვლენებსა და ხდომილებებზე, რომლებიც ავტორის ცნობიერებაში დაფიქსირებულია როგორც განსაკუთ-

---

автономным от того, что реализуется линейно» (Кухаренко В., Интерпретация текста. Ленинград: «Просвещение», 1988, стр. 97).

რებული ემოციური დატვირთულობის მქონე ცხოვრებისეული დეტალები. მაგალითად:

> "I remember every minute of our departure. **Jasper, knowing something was wrong, as dogs always do. Trunks being packed. Cars being brought to the door. Dogs standing with their drooping tails, dejecting eyes, wandering back to their baskets in the hall when the sound of the dies away."**
>
> (მორიერი 1995: 363)

მოცემულ ტექსტობრივ ფრაგმენტში სწორედ აბსოლუტური კონსტრუქციებით იქმნება ის სინტაქსურ-სტილისტური ექსპრესიულობა, რომელშიც ავტორის ემოციურ-კოგნიტური ასპექტი ჰპოვებს რეალიზებას. თითოეულ ასეთ კონტრუქციაგამონათქვამში თითქოსდა ფილმის კადრივით არის აღბეჭდილი ის ხდომილება-დეტალები, რომელთა ერთობლიობაც ტექსტის რეფერენტულ სივრცეს ქმნის. აზრის ასეთი ექსპლიკაცია ავტორის ინდივიდუალური სტილის და კომუნიკაციური სტრატეგიის მაჩვენებელია, რომლის საშუალებითაც იგი ტექსტს ერთდროულად სტატიკურობას და ემოციურობას სძენს.

საინტერესოა, რომ ლოკაციური და ეგზისტენციალური შინაარსის გამონათქვამებში ნომინალიზაციას თან ახლავს პრედიკატული წევრის იმპლიცირებაც, რაც ტექსტს უფრო მეტ გამომხატველობას ანიჭებს, აორმაგებს რა მის სტატიკურობას. აბსოლუტური კონსტრუქციების სტრუქტურული ტიპების განხილვისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში ასეთ იმპლიცირებას ექვემდებარება მხოლოდ ორი ზმნა – **be** და **have,** რომლებიც, მკვლევართა აზრით, ურთიერთჩანაცვლებადნი არიან, რადგან ორივე მათგანის ცნებითი შინაარსი მხოლოდ რელაციური მიმართებების აღმნიშვნელია (ბახი 1967; თორნი 1973; ნორმანი 1978: 77-94; კაცნელსონი 1972; ბენვენისტი 1974: 211; არუთიუნოვა 1976: 255). ჯონ ლაიონზის მიერ წამოყენებულ იქნა და ენობრივ მასალაზე დაყრდნობით დამტკიცებულ იქნა ჰიპოთეზა

ეგზისტენციალური და კუთვნილებითი კონსტრუქციების საერთო გენეზისის უნივერსალური ბუნების შესახებ, რის შესაბამისადაც ორივე მათგანი ლოკაციური კონსტრუქციის დერივატებად განიხილება (ლაიონზი 1977).

მაგალითად, ს. ბეკეტის მცირე პროზაში, რომელიც თანამედროვე კლასიკად არის აღიარებული, ემოციურობა ხშირად წინადადებათა ამგვარი სტრუქტურაციით მიიღწევა. შედეგად, თხრობა თითქოსდა ეკრანიზებული ხდება, რა დროსაც ავტორი მკითხველის ცნობიერებაში კადრების სახით აფიქსირებს ტექსტში აღწერილ მოვლენებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დასაწყისს მისი ცნობილი მოთხრობიდან „ერთ საღამოს", სადაც დინამიკურ თხრობას ენაცვლება სტატიკური სცენები, რომლებიც ნომინალიზებული დამოუკიდებელი წინადადებებით ანუ აბსოლუტური კონსტრუქციებით არის ექსპლიცირებული[15]:

One Evening

He was found lying on the ground. No one had missed him. No one was looking for him. An old woman found him. It happened so long ago. She was straying in search of wild flowers, yellow only. With no eyes but for these she stumbled on him lying there. He lay inconspicious in the greenish coat. **Face downward, arms outspread. Near the head a hat askew on the ground, at once on its brim and crown**... May she have seen him somewhere before? Somewhere on his feet before? Not too fast. She was all in black. **The hem of her long black skirt in the grass**. It

[15] თვალსაჩინოების მიზნით ტექსტი მოცემულია შემოკლებული სახით – ნ.ს.

was lambing time. But there were no lambs. She could see none. Were a third party to chance that way theirs were the only bodies he could see. **The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. Sky overcast all day till evening.** In the west-north-west near the verge already the sun came out at last..."

(ბეკეტი 2004: 253)

მიგვაჩნია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, წინადადებათა ნომინალიზებული სტრუქტურაცია აბსოლუტური კონსტრუქციებით და მათი არანჟირებით შექმნილი სინტაქსური პარალელიზმი აყალიბებს ბეკეტის სტილის განუმეორებელი ინდივიდუალურობის ერთ-ერთ თავისებურებას – რიტმულობას, რომელშიც პროზა პოეზიას ერწყმის და, როგორც მისი შემოქმედების ცნობილი მკვლევარი – გონტარსკი აღნიშნავს, „Beckett's intense awareness of human loneliness develops in its full complexity: the psychological, ontological, narratologiacal bewilderment at the duality of the human predicament, the experience of existence (გონტარსკი 2004: 19).

ავტორისეული მოდუსის ემოციურ-შეფასებითი და კოგნიტური ასპექტების ამგვარი რეალიზება ნომინალიზებული აბსოლუტური კონსტრუქციებით ყოველთვის ინტონაციურად არის სათანადოდ გაფორმებული, რაც მას დამოუკიდებელი წინადადების სტატუსს ანიჭებს. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის წინადადებები მხოლოდ სინტაქსურ-სტილისტურად მარკირებულ სამეტყველო კონსტრუქტებს წარმოადგენენ და არა ენის სისტემურ ერთეულებს.

§4. აბსოლუტური კონსტრუქციების როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური დანიშნულება

ენობრივი მასალის განზოგადება ინგლისურენოვანი ნარატიული ტექსტის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოაჩენს. ეს არის ავტორის სუბიექტური მოდუსის კოგნიტური ასპექტის რეალიზება პოლიპროპოზიციული, მაგრამ სინტაქსურად მარტივი წინადადებით, რომელშიც აბსოლუტური კონსტრუქციები რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციას ასრულებენ, ახდენენ რა ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის თვისობრივ კვალიფიკაციას სხვადასხვა პარამეტრით ან რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის თანმხლები ხდომილებებით დაზუსტებას. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში ჩვენ მოვახდინეთ ამ კონსტრუქციათა ლოგიკურ-სემანტიკური დიფერენცირება მახასიათებლურ და ხდომილებრივ ტიპებად.

ქვემოთ გთავაზობთ მახასიათებლური და ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციების ფუნქციურ-სტილისტური თავისებურებების კვლევას წინადადების ტექსტადქმნადობაში.

ა) მახასიათებლურ აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური თავისებურებები

პროპოზიციული კონფიგურაციის მიუხედავად, მახასიათებლური კონსტრუქციების საშუალებით ავტორი ახდენს წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის ემოციურ-ექსპრესიულ კვალიფიცირებას გარეგნული ნიშნების ან მისი შინაგანი მდგომარეობის მიხედვით. მათში სემანტიკური სუბიექტი მხოლოდ „ნაწილის“ სახით არის წარმოდგენილი ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ან ორგანოს აღმნიშვნელი სახელებით, ხოლო თავად სუბიექტი „მთელის“ სახით ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში ფიგურირებს:

1. James was brooding on the end of the bench, **his hands clasped over his umbrella.**

(გოლზუორთი 1974: 278)

2. Scarlett stood on the lower step of the train, **her crepe veil fluttering almost to her heels.**

(მიჩელი 1995: 122)

3. She saw Prissy leaning out of the upstairs window, **fright and worry on her face.**

(მიჩელი 1995: 304)

4. She swept into the reception room of Miss English's Academy, **her hazel eyes bright with anger.**

(სთოუნი 1998: 3)

ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნარატიული ჟანრის ტექსტში, მსჯელობის საგნის სხვადასხვა ნიშნით დახასიათებისას, აბსოლუტური კონსტრუქციები ხშირად გვხვდება ერთმანეთის თანმიმდევრობით ერთი წინადადების ფარგლებში, რის შედეგადაც ისინი ქმნიან თემატურად დახურულ მსჯელობათა ჯაჭვს, ანუ მიკროტექსტს. ასეთ დროს იქმნება სინტაქსური პარალელიზმი, რაც თხრობას სტილისტურად მარკირებულს ხდის, რითაც კიდევ უფრო ძლიერდება ავტორის ესთეტურ-შემეცნებითი მოდუსის ემოციურ-ექსპრესიულობა:

1. "As Jesiie stepped into the room she caught a picture: Lieutenant John Fremont on a high stool leaning over the table, (1) **a heavy drawing pencil in his right hand,** (2) **the wide-spread fingers of his left hand holding down the pages of a journal,** (3) **his shirt sleeves rolled high,** (4) **his plain Army shirt open at the throat,** (5) **his dark hair rumpled and falling slightly over his brow,** (6) **his face filled with the intensity of the man who is devoted to the job on hand."**

(სთოუნი 1998: 28)

2. "But even at the first numb moment of joy Jessie perceived that her husband was not responding. This grey-haired and sunken-cheeked person before her stood awkwardly, (1) **his arms not seeming to fit into their sockets,** (2) **his torso twisted at an ugly angle,** (3) **his legs slumped within the discolored trousers,** (4) **his face at war with itself,** (5) **the mouth taut awry,** (6) **the features twisted.** This was only the shell of the man she loved."

(სთოუნი 1998: 284)

ილუსტრირებულ ორივე მაგალითში ექვს-ექვსი აბსოლუტური კონსტრუქციაა გამოყენებული, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მსჯელობის საგნის, ჯესი ფრემონტის მეუღლის თვისობრივი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით: აქ ერთმანეთს ენაცვლება ექსტენსიონალური და ინტენსიონალური მახასიათებლური კონსტრუქციები, რომლებიც ადამიანის გარეგნულ მონაცემებსა და მის სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებენ. უმეტესწილად, მახასიათებლური აბსოლუტური კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტი კომპოზიციურად აბზაცის სახით არის გაფორმებული:

"Bosinney having exspressed the wish to show them the house from the copse below, Swithin came to a stop.

He sat down by the oak tree, in the sun; square and upright, (1) **with one hand stretched out resting on the knob of his cane,** (2) **the other planted on his knee,** (3) **his fur coat thrown open,** (4) **his hat, roofing with its flat top the pale square of his face,** (5) **his stare, very blank, fixed on the landscape."**

(გოლზუორთი 1974: 141)

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მახასიათებლური აბსოლუტური კონსტუქციებით წარმოქმნილი ნარატიული ჟანრის მიკროტექსტი ყოველთვის მონოთემატურია, რის გამოც მისი კომუნიკაციურ-ინფორმაციული განვრცობა ხდება გამჭოლი თემით და რთული გახლეჩილი რემებით, რომლებიც

რთულ რემატულ პიკებს ქმნიან თემასთან მიმართებაში, რამდენადაც თითოეულ კონსტრუქციაში შეტყობინება კეთდება მისი თვისობრიობის ახალ-ახალი ასპექტით წარმოჩენის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციათა საშუალებით წინადადების ტექსტად გარდაქმნა ავტორის კომუნიკაციური სტრატეგიის სტილისტურ გამოხატულებას წარმოადგენს და იგი ტექსტს სინტაქსურად მარკირებულ ემოციურ შეფერილობას სძენს. კერძოდ, კონსტრუქციების თანმიმდევრული არანუირება ტექსტში სინტაქსურ პარარელიზმს და მასთან ერთად რიტმულობას ქმნის, რითაც ავტორის მეტყველებას ემოციურობას და ექსპრესიულობას სძენს, ხოლო თხრობას კი დინამიურს ხდის.

ბ) ხდომილებრივ აბსოლუტურ კონსტრუქციათა როლი წინადადების ტექსტადქმნადობაში და მათი სტილისტური თავისებურებები

თვისებრივი კონსტრუქციებისგან განსხვავებით, ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციები წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვს განავრცობენ მასში მოცემული ხდომილების სხვა, თანმხლები ხდომილებების საშუალებით. თუ მახასიათებლური კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტი მონოთემატურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგანაც როგორც კონსტრუქციებს, ასევე ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვს ერთი სემანტიკური სუბიექტი აქვთ, ხდომილებრივ კონსტრუქციებს უკვე თავისი საკუთარი სუბიექტი გააჩნიათ, რის გამოც მათი საშუალებით ფორმირებული მიკროტექსტი ზოგადი შინაარსის მაკროთემით ერთიანდება. მაგალითად:

> "They remembered how Washington had treated them when they left, (1) **with few people calling,** (2) **the army wanting no part of their indic-ted brother,** (3) **the Cabinet officers remaining away for fear of embarrasing the administration,** (4) **the congressmen unwilling to take sides.**"
>
> (სთოუნი 1998: 300)

მოცემული წინადადება განიერცობა ოთხი ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციით, რომლებსაც საკუთარი, დამოუკიდებელი აგენსური სუბიექტი და პრედიკატი გააჩნიათ. მათი საშუალებით ხდება ნაწარმოების მთავარი გმირების ვაშინგტონიდან გამგზავრების მომენტისათვის შექმნილი სიტუაციის აღწერა, რომ:

1) მხოლოდ ცოტა ხალხი თუ სტუმრობდა მათ,
2) არმიას არ სურდა რამე საერთო ჰქონოდა დამნაშავედ აღიარებულ მის ოფიცერთან,
3) კაბინეტის მოხელეებიც თავს იკავებდნენ იმის შიშით, რომ ადმინისტრაცია უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ,
4) კონგრესმენებს კი არ სურდათ რაიმე პოზიციის გამოხატვა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თოთოეული აბსოლუტური კონსტრუქცია აზრობრივად დამოუკიდებელია, თუმცა მათ ყველას აერთიანებთ ერთი მაკროთემა – „ვაშინგტონში შექმნილი სიტუაცია“, რომელიც ლოგიკურად გამოიყვანება წინადადების ქვემდებარულ-შემასმენლური ბირთვიდან. ეს ერთიანობა ამ შემთხვევაში ხაზგასმულია გრამატიკულად და ინტონაციურად, რადგანაც, მიუხედავად აზრობრივი ავტონომიურობისა, ნომინალიზაციის შედეგად ყველა კონსტრუქცია სინტაქსურად არის დაქვემდებარებული ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვზე როგორც მისი დამაკონკრეტებელი თანმხლები გარემოება (adverbial modifier of attending circumstances).

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ კიდევ ერთ წინადადება-მიკროტექსტს, სადაც რეფერენტულ სივრცეს ქმნის ავტორის მიერ სინთეზურად დანახული ექვსი სხვადასხვა ხდომილება, რომელთა ერთობლიობაც მისი სუბიექტური მოდუსის გამომხატველ ერთიან პანორამას ქმნის აბსოლუტური კონსტრუქციებით, რადგანაც სწორედ მათი საშუალებით იქმნება ის სტილისტური ეფექტი, რაც უაღრესად ემოციურს ხდის თხრობას:

> "That purpose was accomplished. It should have been allowed to run down and then stop, (1) **the driver asleep at the wheel,** (2) **the passengers sitting docilely with their mouths wide open waiting for their bus to fly away,** (3) **the estate left unfinished,** (4) **the shops shuttered and overrun with rats,** (5) **the unmilked cows lowing in agony with swollen udders,** (6) **the dogs and cats running wild and bloody-mouthed."**
>
> (ბრეინი 1981: 241-242)

ლოგიკურია, რომ ამ ტიპის ნარაციის ინფორმაციულ-კომუნიკაციური განერცობა განსხვავდება მონოთემატური დესკრიფციული მიკროტექსტისგან, სადაც მსჯელობის საგნის დამახასიათებელი ინფორმაცია ტექსტში შემოდის პროპოზიციული სტრუქტურის მქონე გახლეჩილი რემების საშუალებით. წინა თავში ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტის კომუნიკაციური განერცობა „სხივური მოდელით" ხორციელდება, რომლის სქემაც სრულად მიესადაგება ჩვენ მიერ მოყვანილ ამ ტიპის ყველა ტექსტობრივ ფრაგმენტს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ წინადადების ტექსტად გარდაქმნა შესაძლებელია როგორც აგენსური, ასევე ფონური კონსტრუქციებით, რომლებშიც მოქმედების აქტიურ შემსრულებლად უკვე სხვადასხვა ბუნებრივი ძალა/მოვლენა ან ციური სხეულები გვევლინება. ამ ტიპის მიკროტექსტების ინტერპრეტაცია კიდევ ერთი თეორიული განზოგადების შესაძლებლობას გვაძლევს, რომელიც მათ სტილისტურ ორმაგ მარკირებულობას წარმოაჩენს – ლექსიკურს და სინტაქსურს. კერძოდ, ბუნების მოვლენები და სიტუაციები უმეტესწილად მეტაფორულად არის ვერბალიზებული აბსოლუტურ კონსტრუქციებში, რამდენადაც მათში რეალიზებას ჰპოვებს სამყაროს მიფოპოეტური აღქმა, რომელიც ავტორის ესთეტური კოგნიციით და ასოციაციური აზროვნების უნარით არის განპირობებული. ამავდროულად, ავტორი საკუთარი აზრის ექსპლიკაციას ახდენს აბსოლუტურ კონსტრუქციების საშუა-

ლებით, რა დროსაც თხრობა ხდება უაღრესად ექსპრესიული და ემოციურად შეფერილი, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ტექსტის ორმაგ – სინტაქსურ და ლექსიკურ სტილისტურ მარკირებაში, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშია:

1. "There moments when Nature reveals the passion hidden beneath the careless calm of her ordinary moods – (1) **violent spring flashing white on almond-blossom through the purple clouds;** (2) **a snowy, moonlit peak, with its single star, soaring up to the passionate blue; or** (3) **against the flames of sunset, an old yaw-tree standing dark guardian of some fiery secret.**"

   (გოლზუორთი 1974: 196)

2. "She went on deck in time to watch the tropical sunrise, (1) **the sun bursting above the horizon as though it were shot out of a cannon,** (2) **day breaking with the same roar with which the sea wa breaking on the white beach of Chagres.**"

   (სთოუნი 1998: 247)

რითაა განპირობებული წინადადების საზღვრების ასე გაფართოება და მისი გადაქცევა მიკროტექსტად? ფსიქოლინგვისტებმა დაასაბუთეს, რომ უმეტესწილად წინადადების სტრუქტურის გამართულებელ წევრთა რიცხვი არ აღემატება ადამიანის ოპერატიული მეხსიერების შესაძლებლობას, რომელიც ტოლფასია 7 ± 2 მოკლე შეტყობინების (მილერი 1964; ინგვე 1979). ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ მოძიებული მიკროტექსტების წარმოქმნა სწორედ ხუთი ან შვიდი აბსოლუტური კონსტრუქციის ფარგლებში ხდება. თუმცა, მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მიკროტექსტები, რომლებშიც რეფერენტული სივრცე შექმნილია უფრო მეტი ხდომილებით, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს აბსოლუტურ კონსტრუქციათა რიცხვში.

ბუნებრივია, რომ ამ ტიპის წინადადება-მიკროტექსტი უაღრესად რთული სტრუქტურაციით ხასიათდება, რამდენა-

დაც კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თავად აბსოლუტური კონსტრუქცია შეიძლება განივრცოს და დაზუსტეს სხვა პროპოზიციით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს დამოკიდებული წინადადების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იქმნება იერარქიული, ორმაგი დაქვემდებარებულობის სტრუქტურა, რის შესაბამისადაც აბსოლუტური კონსტრუქციების საშუალებით წარმოქმნილ მიკროტექსტს განვიხილავთ, ერთი მხრივ, როგორც მთლიანი ტექსტის კომუნიკაციურ-კომპოზიციურ ელემენტს; ხოლო მეორე მხრივ, ავტონომიურ ერთეულს საკუთარი სტრუქტურაციით, რომელიც თავად იქვემდებარებს მასში შემავალ შიდა სტრუქტურულ ელემენტებს. თვალსაჩინოებისათვის გავაანალიზოთ ნაწყვეტი, სადაც წინადადების ტექსტად ქმნადობა (ანუ, ტექსტად გადაქცევა) აბსოლუტური კონსტრუქციებით ხორციელდება:

> Scarlett sat in the window of her bedroom that midsummer morning watching the merry cavalcade, that streamed gaily out Peachtree road, (1) **girls cool in flowered cotton dresses, with light shawls, bonnets and mitts to protect their skins and little parasols held over their heads,** (2) **elderly ladies placid and smiling amid the laughter and carriage-to-carriage calls and jokes,** (3) **convalescents from the hospitals wedged in between stout chaperons and slender girls who made great fuss and to-to over them,** (4) **officers on horseback idling at snail's pace beside the carriages** – (5) **wheels creaking,** (6) **spurs jingling,** (7) **gold braid gleaming,** (8) **parasols bobbing,** (9) **fans swishing,** (10) **negroes singing.**
>
> (მიჩელი 1995: 137)

მოცემული ტექსტობრივი ფრაგმენტი უაღრესად დინამიკურ და ექსპრესიულ ერთწინადადებიან მიკროტექსტს წარმოადგენს, რომელიც აოი ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციის თანმიმდევრობით არის შექმნილი. მათი გამაერთიანებელი მაკროთემა – „მხიარული კავალკადა" წინადადე-

ბის ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვშია მოცემული, ხოლო რეფერენტული სივრცის შემქმნელი თითოეული ხდომილება კი აბსოლუტური კონსტრუქციით არის გაფორმებული. ამ ხდომილებათა ჯაჭვის ენობრივი რეპრეზენტაცია ერთი პოლიპროპოზიციული წინადადების ფარგლებში შესაძლებელი ხდება ავტორის მიერ თხრობის პროცესში ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის გამოყენებით, რის შედეგადაც თითოეული ხდომილების ქვემდებარულ-შემასმენლური გაფორმება კარგავს პრედიკატულობის მოდალურ-ტემპორალურ მახასიათებლებს და მათთან ერთად კომუნიკაციურ ავტონომიურობას. სამაგიეროდ, იქმნება სინტაქსური პარალელიზმით მარკირებული წინადადება-მიკროტექსტი, რომელშიც აბსოლუტურ კონსტრუქციათა სტრუქტურული კონფიგურაცია გრადუალურად (თანდათანობით) მარტივდება და ბოლოს ბინარული ხდება, რითაც პროპორციულად იზრდება თხრობის ემოციურობა და დინამიზმი. მიგვაჩნია, რომ წინადადების გადაქცევა მიკროტექსტის რანგში აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით წარმოადგენს ავტორის კომუნიკაციური ინტენციისა და მისი სუბიექტური მოდუსის კოგნიტურ-ემოციური ასპექტის რეალიზების სტილისტურ სტრატეგიას, რომლის საშუალებითაც იგი ტექსტის სინტაქსურად მარკირებულ და ინტონაციურად გაფორმებულ ექსრესიულობას ქმნის.

მეოთხე თავის დასკვნები:

ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ეტაპზე, აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირებას ტექსტში განვიხილავთ სინტაქსური სტილისტიკის ჭრილში, როგორც ავტორის კომუნიკაციური კომპეტენციის და სტრატეგიის გამოხატულებას, რომლის საშუალებითაც იგი ახორციელებს საკუთარი

ესთეტურ-შემეცნებითი. მოდუსის ემოციურ-ექსპრესიულ ეჭ სპლიკაციას.

1. ნაშრომში საკომუნიკაციო სტრატეგიას განვიხილავთ, როგორც ენობრივ კომპეტენციაზე დაფუძნებულ მეტყველი სუბიექტის (ავტორის) შემოქმედებით უნარს – საკუთარი რეპერტუარიდან შეარჩიოს ის ენობრივი საშუალებები (იქნება ეს ლექსიკური, სტრუქტურული თუ სტილისტური), რომელთა ერთობლიობაც ოპტიმალურად უზრუნველყოფს მისი კომუნიკაციური ინტენციის და სუბიექტური მოდუსის წარმატებით განხორციელებას. ხოლო სუბიექტურ მოდალობას მივიჩნევთ ავტორის ინდივიდუალური შეფასებითი დამოკიდებულების გამოხატულებად გამონათქვამში ასახული ექსტრალინგვისტური სიტუაციის მიმართ, რის შესაბამისადაც იგი გულისხმობს არა მარტო შეტყობინების სუბიექტურ კვალიფიკაციას, არამედ ავტორის ემოციურ რეაქციებსაც.

2. მიგვაჩნია, რომ ავტორისეული მოდუსი გამოხატულებას ჰპოვებს არა მარტო ტექსტის საერთო შინაარსში, პერსონაჟების სახეების შექმნასა და ნაწარმოების არქიტექტონიკაში, არამედ მის სტილისტურ, სემანტიკურ და სინტაქსურ სტრუქტურაციაშიც, რომელთაგანაც ყველაზე ქმედით, მაგრამ ნაკლებად შესამჩნევ ფაქტორს სინტაქსი წარმოადგენს. სუბიექტური მოდალობის სინტაქსური რეალიზება მის ეჭ სპრესიულ ექსპლიკაციაში მდგომარეობს, რაც გულისხმობს წინადადების ისეთ სტრუქტურულ ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს გამონათქვამის ემოციურ და/ან ლოგიკურ ინტენსიფიკაციას, ასახავს რა მეტყველი სუბიექტის/ავტორის დამოკიდებულებას ექსტრალინგვისტური რეფერენტული სიტუაციის მიმართ.

3. ენათმეცნიერები სინტაქსური ექსპრესიულობის ძირითად პარამეტრებად წინადადების სტრუქტურას და სიგრძეს მიიჩნევენ. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე დავასკვენით, რომ ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში ორივე მათგანის რეალიზებაში უდიდესი როლი მიუძღვის ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენას და მის შედეგად წარ-

მოქმნილ აბსოლუტურ კონსტრუქციებს. შესაბამისად, აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოგვიდგება ავტორის კომუნიკაციური სტრატეგიის სინტაქსურ-სტილისტური საშუალებად, რომლის გამოყენებითაც იგი ახდენს საკუთარი ესთეტურ-შემეცნებითი მოდალობის ექსპრესიულად გამოხატვას. ემპირიული მასალის ტრანსფორმაციული ანალიზით დავასაბუთეთ, რომ ნარატიულ მხატვრულ ტექსტში ერთი და იგივე აზრის ექსპლიკაციის სინტაქსური ვარიანტულობის დროს, სწორედ აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენება ხდის წინადადებას სტილისტურად მარკირებულს, მატებს რა მას ემოციურ შეფერილობას და ექსპრესიულობას, მაშინ როდესაც ქვემდებარულ-შემასმენლური პრედიკატულობით გაფორმებული გამონათქვამი მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით შემოიფარდგლება.

4. კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ აბსოლუტურ კონსტრუქციათა ფუნქციონირება ტექსტში უმთავრესად ორი სახით ხდება: ა) განკერძოებულად, დამოუკიდებელი გამონათქვამის სახით, და ბ) რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციით, რომლის საშუალებითაც სინტაქსურად მარტივი წინადადება სემანტიკურად ასიმეტრიულ, პოლიპროპოზიციულ სტრუქტურად გარდაიქმნება.

5. ემპირიული მასალის ანალიზმა აბსოლუტური კონსტრუქციების დამოუკიდებელ წინადადებად გამოტანის საინტერესო თავისებურება წარმოაჩინა. კერძოდ, ემოციური ხასიათის ნარატიულ ტექსტში ნომინალიზებული კონსტრუქცია-წინადადებების გამოყენება ემფატიკურად გამოყოფს და მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს სინამდვილის ისეთ მოვლენებსა და ხდომილებებზე, რომლებიც ავტორის ცნობიერებაში დაფიქსირებულია როგორც განსაკუთრებული ემოციური დატვირთულობის მქონე ცხოვრებისეული დეტალები. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის წინადადებები მხოლოდ სინტაქსურ-სტილისტურად მარკირებულ სამეტყველო, ე. წ. language-in-use კონსტრუქტებს წარმოადგენენ და არა ენის სისტემურ ეროვნულებს.

6. ნარატიული ტექსტის ანალიზმა აბსოლუტურ კონსტრუქციათა კიდევ ერთი თავისებურება გამოავლინა. ეს არის ავტორისეული მოდუსის კოგნიტური ასპექტის ემოციურობის რეალიზება პოლიპროპოზიციული, მაგრამ სინტაქსურად მარტივი წინადადებით, რომელშიც აბსოლუტური კონსტრუქციები რთული ადვერბიალური წევრის ფუნქციას ასრულებენ, ახდენენ რა ქვემდებარულ-შემასმენლურ ბირთვში მოცემული მსჯელობის საგნის სხვადასხვა პარამეტრით კვალიფიკაციას ან რეფერენტული ექსტრალინგვისტური სიტუაციის თანმხლები ხდომილებებით დაზუსტებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აბსოლუტური კონსტრუქციების თანმიმდევრული გამოყენება ერთი წინადადების ფარგლებში ქმნის თემატურად დახურულ მსჯელობათა ჯაჭვს, ანუ მიკროტექსტს, რომელიც სტილისტურად მარკირებულ სინტაქსურ პარალელიზმს ქმნის, რაც თხრობას რიტმულობას და ემოციურ-ექსპრესიულობას სძენს. ჩვენ მიერ მოძიებული მიკროტექსტების ანალიზმა წარმოაჩინა, რომ მათი წარმოქმნა, როგორც წესი, ხუთი ან შვიდი აბსოლუტური კონსტრუქციის ფარგლებში ხდება, რაც სრულ შესაბამისობაშია მილერისა და ინგვეს ფსიქოლინგვისტურ თეორიებთან იმასთან დაკავშირებით, რომ წინადადების გამართულებელ წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ადამიანის ოპერატიული მეხსიერების შესაძლებლობას, რომელიც ტოლფასია 7 ± 2 მოკლე შეტყობინების. თუმცა, ჩვენ შეგვხდა მიკროტექსტები, რომლებიც სტრუქტურირებული იყო უფრო მეტი კონსტრუქციების არანჟირებით.

7. კვლევამ გვიჩვენა, რომ წინადადების ტექსტად გარდაქმნა შესაძლებელია როგორც მახასიათებლური, ასევე ხდომილებრივი აბსოლუტური კონსტრუქციებით. ფონური კონსტრუქციებით წარმოქმნილი მიკროტექსტების ინტერპრეტაციამ, რომლებშიც მოქმედების აქტიურ შემსრულებლად სხვადასხვა ბუნებრივი ძალა/მოვლენა ან ციური სხეულები გვევლინება, კიდევ ერთი თავისებურება წარმოაჩინა. კერძოდ, ბუნების მოვლენები და სიტუაციები უმეტესწილად მე-

ტაფორულად არის ვერბალიზებული აბსოლუტურ კონსტრუქციებში, რამდენადაც მათში რეალიზებას ჰპოვებს ავტორის მიერ სამყაროს პოეტური აღქმა. შედეგად, თხრობა ხდება ექსპრესიული და ემოციურად შეფერილი, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ტექსტის ორმაგ – სინტაქსურ და ლექსიკურ სტილისტურ მარკირებაში.

8. აბსოლუტური კონსტრუქციების არანჟირებით შექმნილი წინადადება-მიკროტექსტი უაღრესად რთული სტრუქტურაციით ხასიათდება, რადგანაც თავად აბსოლუტური კონსტრუქცია შეიძლება განივრცოს და დაზუსტეს სხვა პროპოზიციით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მის რთულ სინტაქსურ-სემანტიკურ კონფიგურაციაში. იქმნება იერარქიულად ორმაგი დაქვემდებარებულობის სტრუქტურა, რის შესაბამისადაც, აბსოლუტური კონსტრუქციებით წარმოქმნილ მიკროტექსტს განვიხილავთ, ერთი მხრივ, როგორც მთლიანი ტექსტის კომუნიკაციურ-კომპოზიციურ ელემენტს, ანუ ტექსტს ტექსტში; ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ავტონომიურ ერთეულს, რომელიც თავად იქვემდებარებს მასში შემავალ სტრუქტურულ ელემენტებს.

მიგვაჩნია, რომ აბსოლუტური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადების გადაყვანა მიკროტექსტის რანგში წარმოადგენს ავტორის კომუნიკაციური ინტენციისა და სუბიექტური მოდუსის რეალიზების სტილისტურ სტრატეგიას, რადგანაც ნომინალიზებული სტრუქტურების პარალელური არანჟირებით იგი ქმნის ტექსტის სინტაქსურ-ინტონაციურად მარკირებულ რიტმულობას, სადაც პროზა პოეზიას ერწყმის, რაც თხრობას ემოციურობასა და ექსპრესიულობას სძენს.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები და თეორიული განზოგადებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატიული ტექსტის ჟანრობრივ-სტილისტური ტიპობრიობის ერთერთ ლინგვისტურ მახასიათებელს წარმოადგენს ე. წ. აბსოლუტური კონსტრუქციების უხვი გამოყენება, რაც თხრობას ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს. ემპირიული მასალის ანალიზმა ასევე თვალნათლივ წარმოაჩინა ამ კონსტრუქციათა სპეციფიური როლი ტექსტის წარმოქმნაში. მიუხედავად ამისა, ანგლისტიკაში დღემდე დაუდგენელია ამ კონსტრუქციათა ლინგვისტური სტატუსი, რადგანაც, სპეციფიური აგებულების გამო, მათ განიხილავენ როგორც სიტყვათშეთანხმების, ასევე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი დამოკიდებული წინადადების ან დამოუკიდებელი წინადადების რანგში.

ჩვენ არ ვეთანხმებით არც ერთ პოზიციას, რადგან მიგვაჩნია, რომ, ერთი მხრივ, წინადადებისგან განსხვავებით, აბსოლუტურ კონსტრუქციას არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი კომუნიკაციური ერთეულის ფუნქცია იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ მის სტრუქტურაში არ ფიგურირებს ზმნური შემასმენელი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აბსოლუტური კონსტრუქცია იმდენად განკერძოებული ხდება, რომ იგი დამოუკიდებელი წინადადების სახით ფორმდება. მეორე მხრივ, ასევე დაუშვებელია აბსოლუტური კონსტრუქციის გათანაბრება სიტყვათშეთანხმებასთან, რადგანაც მათ ერთმანეთისაგან მთელი რიგი ფორმალური და სემანტიკური ნიშან-თვისებები განასხვავებს. ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ განმასხვავებელი ნიშნების წარმოჩენა და განზოგადება შემდეგი სახით:

ა) აბსოლუტური კონსტრუქცია განსხვავდება სიტყვათშეთანხმებისაგან იმით, რომ მას პროპოზიციული სტრუქტურა აქვს, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს ლოგიკურ-სემანტიკური პრედიკაცია მისი სუბიექტურ-პრედიკატული წევრებით, რის საფუძველზეც მას შესწევს უნარი თავის სტრუქტურაში ასახოს ექსტრალინგვისტური სიტუაცია ან ხდომილება. სიტყვათშეთანხმებას კი ასეთი პროპოზიციულობა არ გააჩნია – იგი მსაზღვრელ-საზღვრულის სემანტიკურ ურთიერთობებს ეფუძნება, რის გამოც მის ექსტრალინგვისტურ რეფერენტს წარმოადგენს არა სიტუაცია ან ხდომილება, არამედ მისი რომელიმე კომპონენტი თანმხლებ ატრიბუტთან ერთად.

ბ) აბსოლუტურმა კონსტრუქციამ შეიძლება განვრცობილი ხასიათი მიიღოს მასში ასახული ექსტრალინგვისტური სიტუაციის შესაბამისად, მაშინ როდესაც სიტყვათშეთანხმება ასეთ განვრცობას გამორიცხავს;

გ) აბსოლუტურ კონსტრუქციათა პირველი კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ისეთი სტრუქტურულ-ფორმალური ელემენტებით, როგორიც არის თანამედროვე ინგლისურ ენაში **it** და **there**, რაც სიტყვათშეთანხმებაში სრულიად დაუშვებელია.

2. სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული განზოგადებისა და საკუთარი კვლევის განხორციელების საფუძველზე შესაძლებელი გახდა აბსოლუტურ კონსტრუქციათა ლინგვისტური და ნიშნობრივი სტატუსი გაგვესაზღვრა შემდეგნაირად: **აბსოლუტური კონსტრუქციები წარმოადგენენ ნომინალიზაციის სამეტყველო მოვლენის შედეგად წარმოქმნილ კონსტრუქტებს, რომლებშიც ზმნის უპირო ფორმით წარმოდგენილ პრედიკატს დაკარგული აქვს პრედიკატულობის გამომხატველი პირის, რიცხვის, კილოსა და ტემპორა-**

